


უნივერსალური პარტნიორი საქმიანი ადამიანებისთვის

# ბიზნესი კარხანების



№4 ივლის 2013



[www.b-k.ge](http://www.b-k.ge)  
[info@iverioni.com.ge](mailto:info@iverioni.com.ge)



# ბიზნესი რ წა კანონმდებლობა

№4 ივლისი 2013

სამეცნიერო,  
პრაქტიკული ჟურნალი  
რეფერანტი 2008 წლიდან

[WWW.B-K.GE](http://WWW.B-K.GE)

შურალი ხელმძღვანელობას თავი-  
სუფალი არასის პრინციპებით. რედაქ-  
ციის აზრი შესაძლოა გრველთანის არ  
ემთხვეოდეს აგზორისას. შემოსული  
სტატიების ზინაარსზე და მონაცემთა  
სიზუსტეზე პასუხისმგებლიდა აგზორი.

## რედაქტორის მისამართი:

თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. 36  
ტელ: 292-14-61, 599 56-14-57, 599 34-64-27  
ვებ გვერდი: [www.b-k.ge](http://www.b-k.ge)  
e-mail: info@iverioni.com.ge, gfaafm@gmail.com

## საბანკო რეკვიზიტები:

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“;  
ბანკის კოდი: BAGAGE22;  
ა/ა GE30BG0000000850902700; ს/კ 404956455.

## მართვა-გადახდა:

საკანონმდებლო საქმი, გადატვის  
და ფინანსურული გადახდის  
სამინისტრო-სალიტიკაზე სახალი  
„ივერიის“

## რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარე:

ზაუქ ნაჭყებია

## მთავარი რედაქტორი:

იური პაპასქეა, ეკონომიკური მეცნ. აკად. დოქტორი, პროფესიონალი

## სამეცნიერო რედაქტორი:

ნიკოლოზ ბაკაშვილი, ეკონომიკური მეცნ. დოქტორი, პროფესიონალი

## რედაქტორი:

ეკა ჯობერძე

## პასუხისმგებელი რედაქტორი:

ილონა აღამია

## ტექნიკური რედაქტორი:

ლივან ბოჭორიშვილი

## სამეცნიერო საბჭო:

ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი, პროფესიონალი:  
იაჩ მასხია, ნიმა ჭითანავა, ვებარა მაკარიშვილი, ვასა  
აოლაშვილი, ნიმა ხალაშვილი, ცაგარა კოსტავიშვილი, ნატო  
ანანია, ლავით არალონია, თავათ ხომიაშვილი, სამი  
აბა-ლაძე, ნიკოლოზ ჩიხლაძე, თავათ აკადემიური, ცაგისა თავალაძე,  
ბიორი ლავათაძე, ლი ლივა, ლავით ჭილაშვილი, სამია  
ფაჭახავაძე, ლამა ავახაშვილია, ბიორი ჭილაძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევე-კომისალენტი  
ავთანელი სიცაბაძე.

სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი  
ჯავახ გახოსტი.

იურიდიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესიონალი  
ბახამ ნაციურია,

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესიონალი  
მარაუ თავალიძე.

ბახამ ზიმილი (ბექტინის უნივერსიტეტის პროფესიონალი),  
იონა ფიშაშვილი (ბორის უნივერსიტეტის პროფესიონალი),  
ალი ალექსანდრი (ბაქოს სახ. უნივერსიტეტის პროფესიონალი).

## კონცერტაციები:

თამაზ იაშვილი, ანთონ მესხიშვილი, იქნე ლიონტი

## შინაარსი

SOS!

იური აკასეზუა, სულიკო ფუტკარაძე

ხანდაზმულობის ვადა... გადამხდელის ახალი თავსატეხი თუ უსამართლობის გახანგრძლივება?! 3

**გაცილებები**

**დასყიდა დარგუავილი**

მონობა დემოკრატიის მანქიით!

7

**აგრძელებული სესტრი**

ამბორსი გრძელიკავილი, ლია აიტიურიავილი

მიწას თვალისწინეთი უნდა გაფრთხილება

15

**თვითხარისხის გადაცემა**

**პორტს ჭიჭიათი**

რა უშლის ხელს თვითმმართველობების განვითარებას?!

21

**გაცილებები**

**თ. ლაშვილიანი, ვ. ზეიგიძე, გ. ციცაძე**

სოფლის კოოპერაციის განვითარების როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებაში

26

**გაცილებები**

**ასაგათ ჟავუგია**

ეკონომიკური სტრუქტურის მექანიზმი ზოგადსაგანმანათლებლო

სისტემის საკადრო პოლიტიკაში

28

**გაცილებები**

**თ. ლაშვილიანი, გ. ციცაძე, ნ. ნატროვილი**

სოფლის ტურიზმის განვითარების ზოგიერთი ასპექტები საქართველოში

34

**გაცილებები**

**პრისტინა ჯღანჯღავა**

რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ზეგავლენა უცხოურ

პირდაპირი ინვესტიციებზე განვითარებად ქვეყნებში

38

**გაცილებები**

**თბილი გეზურითიავილი**

პირადი დაზღვევის სახეობები საქართველოში

41

**გაცილებები**

**ცარგიზ ფალავადიავილი**

ტურისტული საწარმო და მისი ფუნქციონირების ნორმატიული რეგულირება,

როგორც ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა

44

SOS!

# ხანლაზე გულობის ვალა...

გადამხდელის ახალი თავსატეხი თუ უსამართლობის გახანგრძლივება?!

წინა ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული ადმინისტრირების მექანიზმი პირქუშ სახეს ჯერ კიდევ ინარჩუნებს. მის ძირფეს ვიან შეცვლას ჯადოსნური ჯოხის ერთი აქცევით არც არავინ ელოდა, გადამხდელთა მიმართ გაცხადებული პარტნიორული დამოკიდებულების კურსი და ახალი „უნესობის“ არდაშვების დაპირება უფრო აიმედებდა ოქტომბრის ცვლილებებით ოცნებაახდენილ ამომრჩეველს. ამიტომაც იმატა მიმართვებმა სამართალდამცავ თუ დავის განმხილველ ორგანოებისადმი. საზოგადოდ გახმაურებული საქმეებზე გამოვლენილი რეაქცია მეტნაკლებად ცნობილია ფართო აუდიტორიისთვის. არანაკლებ საყურადღებოა და სამართლიანობის ადგენით თავგამოდებულ პირთა ინტერესის ობიექტი უნდა იყოს ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე მიღებული გა-დანყვეტილებები და იმედგაცრუებაც.

ისევე, როგორც სხვა სფეროშიც, გადამხდელთა ძალადობრივ წარ-სულს დიდი ნაწილიც ემსხვერპლა. ბევრ მათგანს უმძიმესი ზემოქმე-დების წილ დაურბის ბიზნესი, უფ-რო მეტს კი წინასწარ ააფცქვნეს მოსალოდნელი სარგებელი. არავის გაუკირდება, თუ გადამხდელთა ეს წრე დაობს და წალლეტილი უფლებე-ბის აღდგენას (თანხის დაბრუნებას) ითხოვს... ბიუჯეტს გაუჭირდა თუ მძიმე ტვირთად დააწვება, სხვა აზრი არ უნდა იყოს, რომ მათი კანონიერი მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს!

საშიშ ტენდენციად, წარსულის მუხრუჭაწყვეტილ ინერციად უნდა აღიქვათ და რეაქციაც შესაბამისი მოჰყვეს, თუ კი გადამხდელთა კანო-ნიერ მოთხოვნას კვლავაც უტყვიან უარს, ამასთან, კანონის არასწორი ინ-ტერპრეტაციით, გაუმართავიდა ბუნ-დღოვანი პერეფრაზებით. სამწუხაროდ, ასეთი გადაწყვეტილებები მომრავ-ლდა და წლის დასაწყისში გადასახა-დების გადამხდელების პრობლემების გადაწყვეტის მიმართ გამოვლენილი შედარებით ლიონალური მიდგომა უხეშმა, მოუქნელმა, უკომპრომისი დამოკიდებულებამ ჩაანაცვლა. სანი-მუშოდ, მრავალთა შორის ერთი ასეთი მაგალითი გამოდგება:

**გადამხდელმა, რომელსაც 2004 წლის ბოლოს საგზაო ფონდში (იმ**

სანად გადასახადების ადმინისტრი-რების პრაქტიკაში დამკვიდრებული წინამდებრები გადახდების ძალა-დობრივი ზემოქმედების (შედეგად) ზედმეტად გადაახდევინეს საკმა-ოდ სოლიდური თანხა, 2012 წლის მიწურულს, წერილობით მიმართა შემოსავლების სამსახურის მომსა-ხურების დეპარტამენტს, სამომა-ლოვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად ზედმეტად გა-დახდილი თანხის გადასახადის სხვა სახეში (დღგ) გადატანის შესახებ. შემოსავლების სამსახურის მიერ გა-დამხდელზე გაცემული ცნობის თა-ნახმად, საგზაო ფონდში ზედმეტად გადახდილი თანხა გადამხდელის პი-რად ბარათზე დაფიქსირებული იყო, როგორც „სოც. დაზღვევის გადასა-ხადი სამეურნეოორგანიზაციიდან“, ამიტომ გადასახადის გადამხდელმა თავის მიმართვაში სწორედ ეს ანგა-რიში მიუთითა.

საკითხის არსის უკეთ აღქმის მიზ-ნით, დავამატებთ მიმასაც, რომ რიგით მეორე (2004 წლის) საგადასახადო კოდექსის მიღების, გადასახადების ოპტიმიზაციის და ამსახის (სხვა გადა-სახადებთან ერთად საგზაო ფონდში) გადასახადის გაუქმების შედეგად, რეორგანიზაციის პროცესში გადამ-ხდელის ბარათის წარმოების ტექნი-კური ხარვეზის გამო, შემოსავლების



იური პაპასეჩა,  
ეკონომიკურ მეცნიერებათა  
აკადემიური დოქტორი,  
პროფესორი



სულიკო ფუტკარაძე,  
ბიზნესის ადმინისტრირების  
აკადემიური დოქტორი

სამსახურის მიერ გაცემულ ცნობებში ზედმეტად გადახდილი თანხა გარ-კვეული პერიოდი აღრიცხული იყო, როგორც „სოც. დაზღვევის გადასა-ხადი სამეურნეოორგანიზაციიდან“, ხან საერთოდ არ ჩანდა, მოგვიანებით კი, აღნიშნული თანხა, შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 22 მარტის № 1205 ბრძანებით დამტკი-ცებული „გადასახადის გადამხდელ-თა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ მეთოდუ-რი მითითების შესაბამისად, ასახა



გაუქმებული გადასახადის დროებით ბარათზე(?!)

გარდა ამისა, ანგარიშგასაწევია ის გარემობაც, რომ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით, დაწესდა შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების განევისთვის საფასურების გადახდა და დამტკიცდა მათი განაკვეთები (საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დადგენილებით გადასახადის გადამხდელმა ერთი გადასახადის სახიდან მეორეგადასახადის ვალდებულებათა ანგარიშზე ზედმეტად გადახდილი თანხის გადატანის მომსახურების განევისთვის უნდა გადაიხდოს საფასური 200 ლარის ოდენობით).

მოკლედ, ნიმუშისთვის განვიხილავთ ფაქტს, როდესაც გადასახადის გადამხდელმა გადასახადა დადგენილი საფასურიც და სსკ-ის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ნერილობით მიმართა შემოსავლების სამსახურს ზედმეტად გადახდილი თანხის სხვა ანგარიშზე (დღგ-ში) გადატანისთვის. თითქოსდა უწყინარ ამ ერთ მაგალითში არაფერია განსაკუთრებული (რამდენიც გრძებავთ, იმდენია მსგავსი შემთხვევა), მაგრამ აქ ფინალი იქცევს ყურადღებას და იწვევს გაკვირვებას - შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტმა, მოვინანებით კი შემოსავლების სამსახურმაც, განი-

ხილა რა გადამხდელის მიმართვა, მიიჩნია, იგიარ უნდა დაკმაყოფილდეს იმის გამო, რომ გადასახადის გადამხდელსა არ გააჩნია შესაბამისი თანხა მითითებულ ანგარიშზე, ამასთან, სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, „გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადის თანხის დარიცხვისა და საგადასახადო ვალდებულების შესახებ საგადასახადო მოთხოვნის ნარდგენის ხანდაზმულობის ვადაა 6 წელი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“, ასევე, ამავე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, „საგადასახადო ორგანოსათვის გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის ნარდგენის ხანდაზმულობის ვადაა 6 წელი, რომელიც აითვლება გადასახადის ან/და სანქციის ზედმეტად გადახდილი თანხის დაპრუნების უფლების ნარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან“.

შემოსავლის სამსახურმა თავის გადაწყვეტილება „დაასაბუთა“ აგრეთვე იმით, რომ „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის ნარდგენის უფლება გათვალისწინებულ იქნა 2005 წლის 1 იანვრიდან მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსით. ამდენად, ზედმეტად გადახდილი თანხის გადასახადის ერთი სახიდან, მეორეში გადატანის მოთხოვნის უფლება ნარმოშვა 2005 წლის 1

იანვრიდან და შესაბამისად, ამავე პერიოდიდან აითვლება გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის ხანდაზმულობის 6-წლიანივადაც“,

ერთი შეხედვით, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში რაღაც რაციონალური მაინც უნდა ერიოს. ფაქტობრივად კი არც ერთი თეზა ახლოსაც არ არის გადამხდელის მიმართვის არსთან, რაც აშკარად ვლინდება შემდეგ არგუმენტებში:

სსკ-ის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, „თუ გადასახადის გადამხდელის გადასახადების ან/და სანქციების გადახდილი თანხა აღმატება დარიცხული გადასახადების ან/და სანქციების თანხას, საგადასახადო ორგანო: ზედმეტად გადახდილ თანხას ჩაუთვლის მომავალი საგადასახადო ვალდებულების ანგარიშში“, ამავე მუხლის მეორე ნაწილში კი პირდაპირა აღნიშნული, რომ „გადასახადის გადამხდელის მიმართვის საფუძველზე ცალკეული გადასახადის/ სანქციის მიხედვით ზედმეტად გადახდილი თანხა გადაიტანება სხვა სახის გადასახადში/ სანქციაში საგადასახადო ორგანოს მიერან საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით“. როგორც ციტირებული ნორმიდან ნათლად ჩანს, გადამხდელის გადამხდელს ზედმეტად გადახდილი თანხა (საკუთარი აქტივი) შესაძლებელია ჩაეთვალოს მომავალი საგადასახადო ვალდებულების ანგარიშში. დასაშვებია აგრეთვე ზედმეტად გადახდილი თანხის გადატანა სხვა სახის გადასახადში/ სანქციაში. ამასთან, ერთი გადასახადის სახიდან მეორე გადასახადის ვალდებულებათა ანგარიშზე ზედმეტად გადახდილი თანხის გადატანის ფორმალური და საკმარისი პირობაა გადასახადის გადამხდელის მიმართვა საგადასახადო ორგანოსადმი და მომსახურების განევისთვის დამტკიცებული საფასურის (200 ლარის) გადახდა, რაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის მიერ შესრულებულია. შესაბამისად, უარის თქმის საფუძველიც არ იყო. მაგრამ შემოსავლების სამსახური მიანიშნებს ხანდაზმულობის ვადაზე და გადაწყვეტილება მთლიანად ეყრდნობა ამ ერთ მოტივს, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, საქმე გვაქვს ნორმის

## SOS!

სათავისო ინტერპრეტირებასთან და ხანდაზმულობის ვადით მანიპულირებასთან.

საცხებით ბუნებრივია, სხვა ბევრ გადამხდელსაც გაუჩნდება კითხვები: მანც რა არის ეს ხანდაზმულობის ვადა და ვრცელდება თუ არა იგი აღნიშნულ კონკრეტულ მაგალითზე? რატომ იქცა ის გადამხდელისთვის ახალ თავსატეხად თუ საქმე გვაქვს უსამართლობის გახანგრძლივებასთან?

ცხადია, დასმული კითხვები საინტერესო და პასუხეასაცემია, ამიტომ გაგვიჩნდა სურვილი გაგიზიაროთ მოსაზრება.

ზოგადი განმარტების თანახმად, ხანდაზმულობა არის დრო, პერიოდი, რომლის განმავლობაში პირ უფლება აქვს მოითხოვოს სხვა პირისგან რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება.

საცხადასახადო მიზნებისთვის ხანდაზმულობის ვადა განსაზღვრულია ექვსი წლით, თუმცა, ის ეხება აღურიცხავი ვალდებულებების მოთხოვნას (გადასახადის გადამხდელისთვის გადასახადის თანხის დარიცხვას), აგრეთვე გადასახადის გადამხდელის მიერ სხვადასხვა მიზეზით თანხის დაბრუნების მოთხოვნას.

ხანდაზმულობის ვადა, რომლითაც აქელირებს შემოსავლების სამსახური, არ ვრცელდება ზედმეტად გადახდილი თანხის გაუქმებული გადასახადიდან სხვა სახის გადასახადში გადატანის ხანდაზმულობას, ამასთან, აქ პირდაპირ ჩანს, რომ ხანდაზმულობით არის შებოჭილი „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა“, რაც სსკ-ის 65-ე მუხლისთვის თანახმად, „არის პირის მიერ საცხადასახადო ორგანოსათვის ნარდგენის ხანდაზმულობის ვადას და არა ზედმეტად გადახდილი თანხის გაუქმებული გადასახადიდან სხვა სახის გადასახადში გადატანის ხანდაზმულობას, ამასთან, აქ პირდაპირ ჩანს, რომ ხანდაზმულობით არის შებოჭილი „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა“, რაც სსკ-ის 65-ე მუხლისთვის თანახმად, „არის პირის მიერ საცხადასახადო ორგანოსათვის ნარდგენილი მოთხოვნა გადასახადების ან/და სანქციების ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების შესახებ, რომლის შესრულებაც სავალდებულოა საცხადასახადო ორგანოსათვის ამ კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში და დაგენილი წესით“.

ჩერ ერთი, სსკ-ის მე-4 მუხლის 1 წანილის 1-ლი და მე-2 პუნქტის „ნართი“ („გადასახადის გადამხდელისთვის გადასახადის თანხის დარიცხვისადასაცადა ვალდებულების შესახებ საცხადასახადო მოთხოვნის ნარდგენის ხანდაზმულობის ვადაა 6 წელი, რომელიც აითვლება გადასახადის ან/და სანქციის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების უფლების ნარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან“), რომელიც აითვლება გადასახადის ან/და სანქციის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების უფლების ნარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან“), რომელიც აითვლება გადასახადის ან/და სანქციის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების უფლების ნარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან“), რომელიც დამონაბეჭდის სამსახურმა, განსაზღვრავს გადასახადის გადამხდელთან მიმართებაში საცხადასახადო ორგანოს უფლებას და არ ეხება გადასახადის გონიერების შეზღუდვას დროში ზედმეტად გადახ-

დილი თანხის სხვა სახის გადასახადში გადატანის თაობაზე. სსკ-ის 64-ე 1-ლი წანილის თანახმად, „საცხადასახადო მოთხოვნა არის საცხადასახადო ორგანოს ინდივიდუალური აღმინისტრუაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის შესრულებაც სავალდებულოა ამ კოდექსით დადგენილი წესით“. ამასთან, ამ მუხლის მე-2 წანილიგანსაზღვრავს იმ პირობებს (საფუძვლებს), რომლის დროსაც „საცხადასახადო ორგანო ვალდებულია პირს წარუდგინოს საცხადასახადო მოთხოვნა“ (თუმცა ეს განსაზილებელ საკითხს არ ეხება);

მეორე, ამავე მუხლის მე-8 წანილი („საცხადასახადო ორგანოსათვის გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის ნარდგენის ხანდაზმულობის ვადა 6 წელი, რომელიც აითვლება გადასახადის ან/და სანქციის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების უფლების ნარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან“), განსაზღვრავს გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის ნარდგენის ხანდაზმულობის ვადას და არა ზედმეტად გადახდილი თანხის გაუქმებული გადასახადიდან სხვა სახის გადასახადში გადატანის ხანდაზმულობას, ამასთან, აქ პირდაპირ ჩანს, რომ ხანდაზმულობით არის შებოჭილი „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა“, რაც სსკ-ის 65-ე მუხლისთვის თანახმად, „არის პირის მიერ საცხადასახადო ორგანოსათვის ნარდგენილი მოთხოვნა გადასახადების ან/და სანქციების ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების შესახებ, რომლის შესრულებაც სავალდებულოა საცხადასახადო ორგანოსათვის ამ კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში და დაგენილი წესით“.

ჩვენს შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურისადმი მიმართვა ითვალისწინებს მხოლოდ ზედმეტად გადახდილი თანხის გაუქმებული გადასახადის ანგარიშიდან მეორეში (დღგ-ში) გადატანას და არა თანხის დაბრუნებას. აქედანაც კარგად ჩანს და ნებისმიერი გონიერული ინტერპრეტაციისაც კი, არაიდენტურია „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა“ (თანხის დაბრუნება) და „გადასახადის გადამხდელის მიმართვა“ ზედმეტად გადახდილი თანხის სხვა ანგარიშზე გადატანის თაობაზე; მესამე, საქართველოს საცხადასა-

ხადო კოდექსი (და აგრეთვე, შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 22 მარტის № 1205 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“

მეთოდური მითითები), რომელშიც განსაზღვრულია ხანდაზმულობის ვადები, ბოჭავის მხოლოდ „საცხადასახადო მოთხოვნას“ და „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნას“, რომლებიც როგორც ჩანს, გადასახადის გადამხდელის მიერ „ზედმეტად გადახდილი თანხის სხვა ანგარიშზე გადატანის შესახებ“ მიმართვის იდენტური არაა. ამდენად, გადასახადის გადამხდელს აქვს მყარი საფუძველი, გარკვეული დროის გასვლის მიუხედავად, გამოიყენოს უფლება მის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხის გაუქმებული გადასახადიდან სხვა სახის გადასახადში გადატანის ხანდაზმულობის შესრულებაში. სხვა შემთხვევაში, ეს იქნება შემოსავლების სამსახურის მიერ გადასახადის გადამხდელისთვის თანხის ძალადობრივად წარმოევა, რაც პირველყოვლისა, სსკ-ის მე-5 მუხლით განსაზღვრულ პრინციპებს ეწინააღმდეგება („დაუშევებელია ამ კოდექსის დარღვევით დაწესებული ან ამ კოდექსისთვის გაუთვალისწინებული გადასახადის გადახდის ვალდებულების ვინმეტობის დაკისრება“);

მეოთხე, გადაწყვეტილების მიღებისას, შემოსავლების სამსახურმა იხელმძღვანელა იმ ნორმით (სსკ-ის მე-4 მუხლის 1 წანილი), რომელიც არ ეხება გადამხდელის მიმართვის, შესაბამისად, საჩივრის შინაარსს, არ დაეყრდნო იმ ნორმას (სსკ-ის 63-ე მუხლის მე-2 წანილი), რომელიც იყო გამოსაყენებელი, უგულვებელყო „შინაარსის ფორმაზე აღმატებულობის“ პრინციპი. მოცემულ შემთხვევაში „ფორმაზე“ ძირითადი აქცენტი გადატანილი (შემოსავლების სამსახური „გამოეკიდა“ ფორმალურ მხარეებს, მათ შორის იმას, რომ მიმართვაში მითითებულია სოციალური გადასახადის პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული ზედმეტად გადახდილი თანხის) და „შინაარსი“ — ფაქტობრივად სახეზე არსებული ზედმეტად გადახდილი თანხის (სხვა ანგარიშზე გადატანის შესაძლებლობა) არაშესაბამისი არგუმენტაციით უარყო (სხვათა შორის, ეს გარემოებაც

საყურადღებოა: კეთილი ნების შემთხვევაში შემოსავლების სამსახურს შეეძლო (ვალდებულიც იყო კიდეც) გაერკვეთ გადასახადის ზედმეტად გადახდის ფაქტი (გარემოებები), მიმართვაში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში გაეცა მითითება მის აღმოსაფხვრელად, თუ კი ასეთს ჰქონდა ადგილი).

მეცუთე, ნებისმიერ შემთხვევისთვის შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს დასაბუთებულ, სამართლიან, ობიექტურ, მხარეთა თანასწორობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს, რაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელთა მიმართებაში დაცული არ არის - იქმნება შთაბეჭდილება, რომ შემოსავლების სამსახური არ ახორციელებს ქვეყნის ახალი ხელისუფლების მიერ გადამხდელთა მიმართ გაცხადებული პარტნიორული დამოკიდებულების კურსს და ადგილი აქვს ისევ, ხისტ, უკომპრომისო, გადამხდელთა წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებებს მაშინაც კი, როცა ბიუჯეტს ზარალი არ ადგება და ასეთი მოქმედების სამართლებრივი საფუძველიც არ არსებობს (ზარალი მიიღო გადამხდელმა - წლების განმავლობაში ვერ იყენებდა თავის აქტივს, ხოლო თანხის ანგარიშიდან ანგარიშზე გადატანა არ წარმოადგენს ზარალს, მით უმეტეს, აღნიშნულ მომსახურებაზეც გადახდილია დადგენილი საფასურიც). ასეთი დამოკიდებულებით, გადასახადის გადამხდელს ეკარგება სამართლიანობის აღდგენის რწმენა (რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია), გარდა ამისა, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები (სადაო საკითხები) აშკარად მიანიშნებს იმაზე, რომ ახლაც ირლვევას სკ-ის 298-ე მუხლით 1-ლი ნაწილით განსაზღვრული დებულება, რომლის თანახმადც „დავისგანმხედველი“ ორგანო საჩივრის განხილვისას ხელმძღვანელობს სამართლიანობის, ობიექტურობის, მხარეთა თანასწორობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებით“, ყველანაირი ხერხებით

იბლოკება გადამხდელის კანონიერი უფლებები.

შემოსავლების სამსახურის ასეთი გადაწყვეტილება, არც ერთ ეპიზოდში არ არის დასაბუთებული, ობიექტური, მხარეთა თანასწორობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებით მიღებული (რაც სამართლიანობის აღდგენის პროცესის გახანგრძლივების ცდის ელემენტებს უდაოდ შეიცავს);

**მეცნიერებული სამსახური**, ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში შემოსავლების სამსახური ცალსახად აღიარებს გადამხდელისთვის კანონით მონიჭებულ უფლებას ზედმეტად გადახდილი თანხის გადასახადის ერთი სახიდან მეორეში გადატანის შესაძლებლობაზე, რითაც ხაზი გვინდა გავუსვათ იმას, რომ მოცემულ შემთხვევაში, ძირითად სადაც გარემოებას წარმოადგენს არა ამ უფლების არსებობა, არამედ არსებული უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა. შემოსავლების სამსახურის მიერ ხანდაზმულობაზე მითითება გულისხმობს არსებული უფლების რეალიზაციაზე, მის განხორციელებაზე უარის თქმას. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიხედვით, რომ არა ხანდაზმულობის ვადის გასვლა, შემოსავლების სამსახური დააკმაყოფილებდა გადამხდელის მიმართვას მითითებული ზედმეტად გადახდილი თანხის სამომავლო ვალდებულებათა შესარულებლად გადასახადის ერთი სახიდან მეორეში გადატანის ზარალი აღნიშნული გადამხდელი გადამხდელებით შემოსავლების სამსახურმა, საკანონმდებლო საფუძვლების გარეშე, ხანდაზმულობა გაავრცელა გადასახადის გადამხდელის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხების სამომავლო ვალდებულებათა შესასრულებლად

გამოყენებაზეც, რაც ზემოთ წარმოდგენილ არგუმენტებიდან ნათლად ჩანს, სრულიად უსაფუძლოა. ამასთან, საგულისხმოა საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 23-ე პუნქტი, რომლის მიხედვითაც „საგადასახადო დავალიანება ესაა სხვაობა გა-

დასახადის გადამხდელის მიერ დადგენილ ვადაში გადაუხდელი გადასახადების ან/და სანქციების თანხასა და ზედმეტად გადახდილი გადასახადების ან/და სანქციების თანხას შორის“. ამ საკანონმდებლო დეფინიციის თანხმად, გადასახადის გადამხდელის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხები ყოველთვის ექვემდებარება მხედველობაში მიღებას კონკრეტული საგადასახადო დავალიანების გადახდების გადამხდელი საგადასახადო ორგანოს შორის პარიტეტული, დენადი დინამიკური ურთიერთობის წარმართვა. მსგავსი პოზიციით გაჯერებულია საგადასახადო კოდექსის სხვა დებულებებიც და მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარებომატიული აქტები.

ამგვარად, ანალიზის შედეგი გვაფიქრებინებს, რომ ზედმეტად გადახდილი თანხების ანგარიშიდან ანგარიშზე გადატანის შესახებ გადასახადის გადამხდელის უფლება არ ექვემდებარება ხანდაზმულობას და შემოსავლების სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სახით, სახეზე გვაქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>ე</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ბათილი ადმინისტრაციული აქტი.

ცხადია, ჩვენ გამოვხატავთ მოსახრებას და ეს არ შეიძლება ჩაითვალოს რაიმე სახელმძღვანელო დოკუმენტად, თუმცა, მასში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მიუხედავად პირდაპირი, მწვავე შეფასებებისა, საყურადღებოა და მიმართულია გადამხდელის მიმართ პარტნიორული დამოკიდებულების დამკვიდრების კურსი უზრუნველყოფის აუცილებლობისკენ.

გადამხდელზე დგას ბიუჯეტი, მაშასადამე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და სოციალური გამოწვევები. ამ განწყობით უნდა იმოქმედოს, მაღალმა თუ დაბალმა ჩინოსანმა, ვისაც ხელენიფება სამართლიანობის აღდგენაზე პასუხიმგებლობა.

# მონობა ლიკირაციის მაჩიტი!

არ მინდა დავიჯერო, რომ ყველაფერი მიზანმიმართულად ხდება. თუმცა, ის სქემები და სისტემები, რაც ჩვენს ქვეყანაშიამ ბოლო ხანებში დაინერგა და მოქმედებს, ბადებს სერიოზულ ეჭვს, რომ ეს ყველაფერი შემთხვევითი არ არის!

მოსახლეობას მუდმივად არწმუნებენ იმაში, რომ საბჭოთა სისტემა არაა დამიანური, კაცომძღვრულე და საშინელი რეჟიმი იყო ხოლო საბაზრო ეკონომიკა უფრო ეფექტური ეკონომიკაა, ვიდრე გეგმიური ეკონომიკა და ა.შ.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ მიზანმიმართულად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ზიზღისა და შეურიგებლობის დანერგვა სოციალისტური რეჟიმის მიმართ. თუმცა, ეს თემა ცალკე განხილვის საგანია. ერთი რამ ფაქტია: კომუნისტურმა რეჟიმმა „ბარის და თოხის“ ქვეყანა ჩაიპარა და 70 წელიწადში ინდუსტრიულად განვითარებული სახელმწიფო დატოვა. დამოუკიდებლობის მიღებიდან 20 წლიან პერიოდში ქვეყანა მთლად გაპარტახდა და განვითარებადი სახელმწიფოების სიაში აღმოჩნდა. კომუნისტური რეჟიმის დროს არავინ შიმშილობდა, მოსახლეობა დასაქმებული იყო, იყო უფასო სწავლება, უფასო ჯანდაცვა და ა.შ. ხშირად გავიგონებთ, რომ ჩვენ დაპყრობილები ვიყავით; მართალია ქვეყანაში გაჭირვებაა, მაგრამ სამაგიეროთ თავისუფლები ვართ და ა.შ.

თუმცა, გაჭირვებაც არის და გაჭირვებაც – ქვეყანაში სადაც მოსახლეობის თითქმის ნახევარი სილარიბის ზღვარს მიღმაა, ოფიციალური სტატისტიკით 77000 ბავშვი შიმშილობს, 1,5 მლნ. ადამიანი უცხოეთშია გადახვენილი ლუკმაპურის საძებნელად, ქვეყანაში დარჩენილი მოსახლეობის 66%-ს კი ქვეყნიდან წასვლა უნდა, ამის საშუალება რომ პქონდეს, 400 000 კაცზე მეტი გადახდის უუნაროა და ბანკების შავ სიებშია შეტანილი, ეს უკვე გაჭირვება აღარ არის – ამას ერის ეკონომიკური, გნებავთ სოციალური გენოციდი ქვია.

რა გამოდის? დაპყრობილები



ვიყავით და ქვეყანა წარმატებულად ვითარდებოდა, დამოუკიდებლობა მივიღეთ და ქვეყანა გაპარტახდა და იღუპება. მაშრავია დამოუკიდებლობის ხიბლი?

## ვართ კი დამოუკიდებლები?

ჩვენ მივიღეთ პოლიტიკური დამოუკიდებლობა და მასთან ერთად ეკონომიკური ექსპანსია. ეკონომიკური ექსპანსია ქვეყნების დაპყრობისა და დამონების ახალი, ეშმაკური, ბევრად უფრო საშიში, ცბიერი და სახიფათო ფორმაა, ვიდრე იარაღის ძალით ქვეყნის დაპყრობა. ნიშანდობლივა, რომ თანამედროვე სამყაროში ჯარი და იარაღი ქვეყნების დასაპყრობად უკვე აღარ გამოიყენება. მათი დანიშნულებაა ქვეყნის სიძლიერის იმიჯის შექმნა და იმ ქვეყნების წინააღმდეგ მათი გამოყენება, რომელთა ეკონომიკური ექსპანსია ვერ ხერხდება და გლობალური საშუალოს თამაშის წესებში არ ჯდება. ეკონომიკურად ქვეყნის დაპყრობა ხდება ფინანსური ინსტიტუტების გამოყენებით. სისტემა უაღრესად დახვეწილი და სასტიკია. პრინციპი მარტივია: ქვეყანამ მაქსიმალურად დაკარგოს ეკონომიკური პოტენცია-

ლი, ჩაეფლოს ვალებში და ვალების მომსახურების მოტივით მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ეკონომიკური, ბუნებრივი და სხვა რესურსები დამპყროფთა მოვალე ქვეყნების სასარგებლოდ!.. როგორ მიიღწევა ეს?

თუ ხატოვნად შევადარებთ ფული ისეთივე ფუნქციას ასრულებს ეკონომიკაში, როგორც სისხლი ადამიანის ორგანიზმში. სისხლის მეშვეობით ხდება ორგანიზმში სხვადასხვა მოგანიერების კვება სხვდასხვა კომპონენტებით. ამამ კომპონენტებს სისხლი იღებს ფილტვებიდან უანგბადს, კუჭიდან ცილებს ცხიმებს ნახშირნყლებს და ა.შ. სისხლსვე გამოაქვს სხვადასხვა ორგანიზმიდან ანრჩენები. ამავე დროს, ღვიძლის მეშვეობით ხდება თავად სისხლის განმენდა და გამომუშავება. თუ სისხლის მოცულობა შემცირდა, ორგანიზმი არასტაბილურად იწყებს მუშაობას. სისხლის მნიშვნელოვანი დანაკარგის შემთხვევაში კი ორგანიზმი კარგავს ფუნქციონირების უნარს და კვდება.

ზუსტად ასევე ეკონომიკაში – ფული. თუ ფულის მასა არ შეესაბამება ეკონომიკის არსებულ დონეს და მის პოტენციური განვითარების შესაძლებლობას, ეკონომიკა სტაბილურად არ ვითარდება. თუ ფუ-

ლის მასა კრიტიკულია, ეკონომიკა არასტაბილური ხდება და იწყება ჯაჭვური პროცესი. ეკონომიკის ვარდნა ინვესტიციების ინფლაციას, ანუ იგივე პროცესს, როგორც

ბრუნვაში ფულის მასის შემცირება, ვინაიდან ფულის იგივე მასა მომსახურებას უწევს უფრო ნაკლებ პროდუქციას. ეს თავის მხრივ ინვესტიციების კიდევ უფრო მეტ ვარდნას და ა.შ.

### რა შეიძლება ასეთ ვითარებას დაუზირისას?

გავიხსენოთ ადამიანის ორგანიზმი. თუ სისხლის მოცულობა არ შეესაბამება საჭირო ნორმას, ხდება ორგანიზმში სისხლის გადასხმა. ხოლო, თუ ორგანიზმში ჭარბი რაოდენობის სისხლი წარმოიშობა ხდება სისხლის გამოშვება ესეც თავისებური მეურნალობაა. ეკონომიკის სწორად მართვისთვის კი საჭიროა მოქნილი ფულადსაცემის მოლიტიკა. გვაქვს კი ასეთი პოლიტიკა? რა თქმა უნდა არა.

უცხოური ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნით ქვეყანაში ტარდება მკაცრი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა. ეს კინიშნავს მაღალ გადასახადებს და მინიმალურ ფულს მასას, რაც ეკონომიკის განადგურების უზუსტესი ფორმულაა. ისმება კითხვა: როგორ ხდება ფულის შეტანა ბრუნვაში, ანუ ფულის მასის გაზრდა?

არსებობს ბრუნვაში ფულის მასის გაზრდის რამდენიმე საშუალება:

- სახელმწიფოს მიერ ფულის გაყიდვა, ანუ კრედიტით გაცემა;
- სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება;
- სახელმწიფოს მიერ ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის შესყიდვა.

ფულის კრედიტით გაცემა სწორდაც, რომ ფულის გაყიდვა არ ერთადერთი საქონელია, რომლის გაყიდვის დროსაც მოგებას გამყიდველი ღებულობს მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული, წინასწარ შეთანხმებული დროის შემდეგ. სახელმწიფოს მიერ ფულის გაყიდვის დროს მნიშვნელოვანია საპროცენ-

ტო განაკვეთი. იგი ფულის გაყიდვის დროს დამატებულ ღირებულებას ნარმადგენს, რომლის დიდი ნაწილი გაყიდვით მიღებული მოგებაა. როცა სახელმწიფოს მიერ გასაყიდი ფულის საპროცენტო განაკვეთი იზრდება, ანუ, ფული ძვირდება ბაზარზე, ფულზე მოთხოვნილება მცირდება, ასეთ დროს ადგილი აქვს ძვირი ფულის პოლიტიკას. ამ შემთხვევაში ინფლაცია მოთვეობის, მაგრამ ეკონომიკური ზრდა ფულზდება, ვინაიდან საკრედიტო რესურსების სიძვირის გამოარაცექტური ხდება კრედიტის აღება და ეკონომიკური საქმიანობის წარმოება და გაფართოება. როცა სახელმწიფოს მიერ გასაყიდი ფულის საპროცენტო განაკვეთი მცირდება, ანუ ფული იაფდება, ბაზარზე ფულზე მოთხოვნილება იზრდება, ასეთ დროს ადგილი აქვს იაფი ფულის პოლიტიკას.

ამ შემთხვევაში მოსალოდნელია ინფლაცია, მაგრამ სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში შესაძლებელია ეკონომიკური აქტივობის გაზრდა და ინფლაციის მოთვეკა. ამ შემთხვევაში ეკონომიკა ვითარდება, ვინაიდან საკრედიტო რესურსების სიიაფის გამო ეფექტური ხდება კრედიტის აღება და ეკონომიკური საქმიანობის გაფართოება. ხოლო, მკაცრი მონეტარული პოლიტიკის დროს, სახელმწიფოს მიერ ფულის ყიდვა-გაყიდვა მკვეთრად შეზღუდულია და პრაქტიკულად არ ხდება, რაც ფულის განსაკუთრებულად გაძვირებას იწვევს. ასეთ შემთხვევაში ბაზარზე ნებისმიერი ახალი ეკონომიკური სუბიექტის გამოჩენა, ან არსებული სუბიექტების მიერ ეკონომიკური აქტივობის გაზრდა განაპირობებს სხვა სუბიექტების ეკონომიკური აქტივობის შემცირებას, ან ზოგი მათგანის გაჩერებას.

მცდარია იმის მტკიცება, რომ არსებული ფულის მასა მომსახურებას გაუწევს ბაზარზე ახლად შემოსულ ეკონომიკურ სუბიექტებს და გაიზრდება ფულის ბრუნვის სიჩქარე. ეს უკანასკნელი პირდაპირ დამოკიდებული არა ფულის მასაზე და მას ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის, ეკონომიკური ციკლების ხანგრძლივობა განაპირობებს. შეუძლებელია, რომ ბაზარზე ახალი სუბიექტის შემოსვლით, დანარჩენი

ეკონომიკური სუბიექტების ეკონომიკური ციკლების ხანგრძლივობა შემცირდეს და ეკონომიკური ზრდა მოხდება ფულის ბრუნვის ზრდის ხარჯზე. ასეთ დროს ეკონომიკა სტაგნაციურ მდგომარეობაშია და ნაკლები ფული მიდის ეკონომიკის განვითარებაზე ფულის დეფიციტის პირობებში მკვეთრად იზრდდება საკრედიტო რესურსის საპროცენტო განაკვეთი. გავიხსენოთ პერიოდი, როცა წლიური საპროცენტო განაკვეთი 300-360 პროცენტს აღწევდა. ასეთი სახის საკრედიტო რესურსი კი ქვეყნის ეკონომიკის და სოციალური ინფრასტრუქტურის ნგრევას ემსახურება.

სავალუტო ფონდი იძლევა გარკვეულ კრედიტებს ძალიან დაბალ პროცენტში, კონკრეტული მიზნობრიობით, ძირითადად სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად. იმავდროულად, მსოფლიოს განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი იძლევა დაბალ პროცენტიან კრედიტებს ინფრასტრუქტურის (გზები, წყალგაყანილობა, გაზგაყვანილობისა და ა.შ.) განვითარებისთვის და არანარიდაბმარება არხდება ეკონომიკის რეალური სექტორის გადასარჩენად, არგუმენტი: „არ შეიძლება საბაზო ეკონომიკაში ხელისუფლების ჩარევა“. უფრო მეტიც, ქვეყნის ბიუჯეტს კატეგორიულად უკრძალავენ რაიმე ფორმით ეკონომიკური მონაწილეობას მიღებას, რეგულირების, სუბსიდირების ან სხვა მიზნებისთვის. წპასუხი მარტივია დაუშვებელია საბაზო ეკონომიკაში ჩარევა. თუმცა, როცა ამერიკის ეკონომიკას გაუჭირდა 2009 წელს ბარაკ ობამას მთავრობამდაუყოვნებლივ გამოყოფილი ეკონომიკის შემცირებას, ან ზოგი მათგანის გაჩერებას.

კარგად დავაკვირდეთ რასთან გვაქვს საქმე: პრაქტიკულად ფული ყველგან იდება და არცთუ ცოტა, გარდა ეკონომიკის კვლავნარმოების სექტორებისა (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვიღებთ იმ ვალებს, რომელთა გასტუმრებაც წინასწარი ცნობილია რომ ვერ მოხდება.

## თვალსაზრისი

გაუსტუმრებელი ვალების მომსახურებას ახალი ვალებით ვახდენთ. ასე და ამრიგად ვალები იზრდება მილიარდობით, რომელთა გასტუმრების პერსპექტივაც სულ უფრო და უფრო იკარგება. ამის შემდგომ მავანისა და მავანის კეთილ წებაზე დამოკიდებული, როდის რასიურპრიზს შემოგვთავაზებს. თუ მოისურვებს ქვეყნიდან ხე-ტყეს გაიტანეს, თუ მოისურვებს ჯართის გატანაზე მათვის სასურველ კანონს მიგვალებინებს, თუ მოისურვებს მიწების გაყიდვის კანონის მილებას გვაიძებს, რუსეთს ან სხვა ქვეყანას დაგვაპირისპირებს, გაგვიყალებები არჩევნებს და დასკვნას დაგვიწერენ, რომ მიუხედავად დარღვევებისა ყველაფერმა კარგად ჩაიარა!

რეალურად ყველაფერს ულტიმატუმის სახე ეძლევა, დოკუმენტალურად კი რჩევებისა. თუ რჩევებს არ გაითვალისწინებ, სულ მალე აღმოჩდება, რომ მილიარდობით ვალი ერთბაშად გაქვს გასასტუმრებელი (არავითარი რესტრუქტურიზაცია, არავითარი გადავადება). თუ კარგად მიიქცევი ყველაფერი შესაძლებელია და მომდევნო „სულის ამოხდამდე“ ცოტახანი გვაცოცხლებენ.

მოდით „რჩევებით იძულების“ პრაქტიკული მაგალითი მოვიყვანოთ 2000 წელს საქართველოს რუსეთის წინაშე არსებული დავალიანების 80 მლნ. დოლარის გადახდის ვადა დაუდგა. ქვეყანას ამ ვალის გადახდის საშუალება ამ პერიოდში არ ჰქონდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა პარიზის კლუბის მეშვეობით საქართველოს მთავრობას ურჩია ვალის გადახდა ან რესტრუქტურიზაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო ვერ მიიღებდა სავალუტო ფონდის ახალ ტრანშს – 60 მლნ. დოლარს. რუსეთის მთავრობა თანახმა იყო ვალის გადახდის გადავადებაზე, თუ საქართველოს მთავრობა ჩამოანერდარუსეთს საქართველოს წინაშე არსებულ დავალიანებას 2 მილიარდ დოლარს, რომლის გადახდაც მომავალში უნდა მომხდარიყო. ეს ის ვალია, რომელიც სსრკ-ს უცხოეთში არსებული ქონების გაყიდვით საქართველოს ერგოდარუსეთის მთავრობამ ამ ქონების სანაცვლოდ აღიარა. საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ რუსეთს ჩამოაწერა ეს ვალი. 2 მილიარდი კი ისე ჩამოწერეს, რომ 80 მილიონი 2 წლის შემდეგ კვლავ გადასახდელი გვქონდა. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ზუსტად ამ ვალში

რუსეთმა 2 წლის შემდეგ რუსთავის აზოტის ქარხანა აიღო 50 წლით. აღბათ მეტი თვალსაჩინოება აღარაა საჭირო იმისათვის, რომ დავინახოთ თუ როგორ ხდება ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა სახის გადაწყვეტილებებზე ზემოქმედება და მართვა. ეს ყველაფერი კეთდება ვითომდა დემოკრატიული სახელმწიფოს ასაშენებლად, სინამდვილეში კი ნერგავენ მონობას დემოკრატიის მანაფიით.

მოსახლეობის დიდი ნაწილი არსებული გაუსაძლისი ეკონომიკური მდგომარეობიდან თავის დაწესვას უცხოეთში სამუშაოს შოვნით ახერხებს. მათი უმრავლესობა უცხოეთში არალეგალები არიან. სამსახურებშიც არალეგალურად მუშაობენ შიდა მოსამსახურებად ან მძიმე სამუშაოზე. ერთიდა იგივე სამუშაოზე არალეგალების ანაზღაურება ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე ამ ქვეყნის მოქალაქეებისა. (იმის გამო რომ არალეგალები არიან, მათზე არ ვრცელდება ამ ქვეყნების შრომის კანონმდებლობა და სოციალური გარანტიები).

არ შეიძლება არ ავღნიშნო ერთი რამ: „დემოკრატიული“ სამყარო კატეგორიულად ითხოვს ჩვენგან საპატიო კანონმდებლობების ლიბერალიზაციას. თანამედროვე სამყაროში მთელ მსოფლიოში საქონელი თავისუფლად უნდა გადაადგილდებოდეს და არ უნდა ექმნებოდეს რაიმე სახის დაბრკოლებები. თუმცა, აქივეთება ერთი ფრიად საინტერესო საკითხი – ადამიანი, რომელიც უმუშავარია და მუშაობის დაწყება სურს, წარმოადგენს სამუშაო ძალას. სამუშაო ძალა კი ბაზარზე ისეთივე საქონელია, როგორც ნებებისმიერი სხვა საქონელი. ისმება კითხვა: რატომ ექმნება დაბრკოლებები ამ სახის საქონელს ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლისას? არსებული შეთანხმებების პირობებშიც კი თუ ადამიანი უცხოეთში მიდის სამუშაოს საძებრად, მას დაბრკოლებები არ უნდა ექმნებოდეს. თუმცა, სრულიად საწინააღმდეგო რეალობასთან გვაქვს საქმე: ამ საქონლის წინააღმდეგ დასავლეთის განვითარებული ქვეყნები უმნიშვნელოვანეს



პოლიტიკურ და საკანონმდებლო გადაწყვეტილებებს იღებენ. ხელშეწყობის ნაცვლად ყველაფერს აკეთებენ, რომეს საქონელითავია-ანთ ბაზარზე არ დაუშვან.

რამდენად შეესაბამება ეს ვითა-რება დემოკრატიისა და თავისუ-ფალი საბაზრო ეკონომიკის პრინ-ციპებს? ადამიანის უფლებების დეკლარაციას?

დღეს ბევრს საუბრობენ საერ-თაშორისო ტრეფიკინგზე. ყველა ქვეყანა თითქოსდა ებრძვის ამ დანა-შაულს. სინამდვილეში ამ ქვეყნების მთავრობები თავიანთი გადაწყვე-ტილებებით თვითონ ქმნიან იმ გარე-მოს, რომელშიც ტრეფიკინგი ყვავის. ადამიანებს რომ ქვეყნებს შორის თავისუფალი გადაადგილების საშუ-ალება ჰქონდეთ და ოფიციალურდ დასაქმება შეეძლოთ, ტრეფიკინგის საფრთხეც აღარ იქნებოდა.

ცალკე უნდა აღინიშნოს საბაზრო ეკონომიკის ეფექტურობა. პირდაპირ ვიტყვი: ავლნიშნოთ, რომ ასეთი არა-ეფექტური ეკონომიკა არასდროს არ ყოფილა. ამის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მაგალითად, დღეს საქართველოში უამრავი მშენებლობაა გაჩერებული, ამ მშენებლობებში კი ასეულ მილი-ონობით თანხებია ჩადებული. რა გამოდის? ეს ქონება გაყინული და გამოუსადეგარია. კიდევ ერთი მაგალითი, ერთ ქუჩაზე უამრავი მაღაზია (ქვეყანა ფაქტიურად ერთ დიდ ქარვასლადა ქცეული) თითოეულმათვანიათი ათასობით ლარის, პრაქტიკულად ერთიდა-იგივე პროდუქცია აწყვია, მაშინ როდესაც ერთ ქუჩას ერთი, ან ორი მაღაზია თავისუფლად, პრობლე-მების გარეშე მოემსახურებოდა. ამ შემთხვევაში არაეფექტურად მუშაობს ფულადი სახსრები რომ-ლებიც ამ მაღაზიებშია ჩადებული, არაეფექტურად გამოიყენება ფარ-თები, არაეფექტურად გამოიყენება შრომითი რესურსები და ა.შ.

კომერციული კრედიტები ვიდრე საქართველოში არსებულ ქარხებს მუშაობის პოტენციალი ჰქონდა არ შემოდიოდა. სამაგიროდ XIX საუ-კუნის დასაწყისში მილიარდობით ასეთი კრედიტი შემოვიდა. ვის და რას ხმარდება ეს კრედიტები? პასუ-ხი მარტივია – უცხოურ კომპანიებს,

რომელებსაც ქვეყანაში თავიანთი პროდუქცია შემოაქვთ. ახლა დავ-სვათ კითხვა, როგორ გამოიყენება იგი?

მოგეხსენებათ, დღეს საქართ-ველოში განვადებების ბუმია. კრე-დიტები ძალიან იოლად გაიცემა სხვადასხვა საქონლის განვადებაზე. ძირითადად უცხოური კომპანიე-ბის საქონელზე, ადგილობრივი ხომ პრაქტიკულად არაფერი იწარმოება.

განვიხილოთ მარტივი მაგალითი ძვირად ღირებულ მანქანაზე. მან-ქანის გაყიდვა, განვადების გარეშე რომ ხდებოდეს, ცოტა თუ ვინმე მო-ახერხებდა ასეთი მანქანის შექმნას, დავუშვათ მანქანის ღირებულება შეადგენს 50 000 დოლარს. ესე იგი ამ შემთხვევაში ქვეყნიდან გავიდო-და სავარაუდო 4 000 000 დოლარი, ადგილობრივი გამყიდველის მოგე-ბისა და სხვა ხარჯების გათვალის-წინებით.

განვადებით გაყიდვის შემთხვე-ვაში კი რეალიზებული მანქანების რაოდენობა მკერად იზრდება პი-რობითად 1000 მდე. ამ შემთხვევაში ქვეყნიდან გავა 40 000 000 დოლარი და დაფინანსებას უცხოური საგვო-მობილო ქარხები მიიღებენ. სხვა სა-ქონელზეც ანალოგიური ისტუაციაა.

საგულისხმოა ისიც, რომ სა-ქართველოში იმპორტ-ექსპორტის ბალანსი უარყოფითია და 6,0 მლრ. დოლარს აჭარბებს. ეს იმას ნიშ-ნავს, რომ ყოველწლიურად ჩვენი, საქართველოს მოსახლეობის ფი-ნანსური რესურსებით უცხოეთში ვემნით დაახლოებით 200 000 სა-შუალო ანაზღაურებად სამუშაო ადგილს. შემოსული იმპოტული პროდუქციის დიდი ნაწილი სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემთ-ხვევაში საქართველოში შეიძლება გაკეთდეს და აქ 100 ათასობით სა-მუშაო ადგილი შეიქმნას.

საინტერესოა, საიდან ხდება უარყოფითი სავაჭრო ბალანსის 6,0 მლრ. დოლარის დაფინანსება? ჩემი ანალიზით, ეს ის თანხა, რომელსაც უცხოეთში გასული ჩვენი თანამემა-მულები ყოველწლიურად აგზავნიან საკუთარი ოჯახების დასახმარებ-ლად და რომლის აღრიცხვაც არ არსებობს და ვერც იარსებებს მანამ, სანამ არ მოხდება უცხოეთში გასული თანამემამულების შემოსავლების

გადასახადებიდან განთავისუფლება.

როგორც ვხედავთ, არსებული საბანკო და ეკონომიკური პოლიტი-კის შედეგად ქვეყნის საკრედიტო რესურსები უცხოეთის ქარხების დაფინანსებაზე მუშაობენ, თანაც საუკეთესო დაფინანსებაზე – რო-ცა ფინანსური ნაკადები შემოდის პროდუქციის რეალიზაციის გაზრ-დის შედეგად. ნებისმიერი უცხოური კომპანია ათასგვარ საშუალებას მიმართავს, მილიონებს ხარჯავენ პროდუქციის რეკლამირებაზე, რომ გაზარდოს პროდუქციის რეალიზა-ცია. საქართველოს ეროვნული ბანკი კი თავისი პოლიტიკით უანგაროდ ეხმარება უცხოურ კომპანიებს ამ საქმეში. რამდენადაც ვიცი, საქარ-თველოს ეროვნულ ბანკს უცხოე-თის ბანკებში საგარეო რეზერვის სახით ჩადებული აქვს დაახლოებით 3 მლრ. დოლარი. ეს სახსრებიც უცხო ქვეყნების ეკონომიკაზე მუშაობს. რა გამოდის? ყოველწლიურად უცხო ქვეყნების ეკონომიკაში არა პირდა-პირ 9 000 000 000 დოლარის ინვის-ტირებას ვახდენთ. ჩვენ კი სხვაგან დავეძებთ ინვისტიციებს. ამაზეა ნათქვამი ერთი ქართული ანდაზა: ძალი შინ არ ვარგოდა სანადიროთ დარბოდაო.

ფულის ნაკადებთან მიმართებაში კიდევ ერთი საკითხი უნდა განვიხი-ლოთ: რა უკეთესია? კრედიტების, თუ ინვესტიციების მოზიდვა? აამ კითხვაზე ყველა დაუფიქრებლად გვპასუხობს: რა თქმა უნდა ინვეს-ტიცია. ანალიზი კი გვიჩვენებს, რომ საკითხი ასე მარტივი არაა.

ინვისტიციის მოზიდვის დროს, ინვესტიროს ქვეყნიდან ყოველწლიუ-რად მოგების სახით 20-25% გააქვს, ჩვენნაირი მაღალი რისკის ქვეყნები-დან კი 35-40 და მეტი პროცენტი გა-დის. ესე იგი, საშუალოდ 1 000 000 000 დოლარი ჩადებული ინვესტიციიდან, ყოველწლიურად ქვეყნიდან გადის 250 000 000 დოლარის სავალუტო რესურსი. აღარაფერს ვამზობ სხვა შედეგებზე, გაყიდული მიწები, ტყის მასივები, ბუნებრივი სიმდიდრეები და ა.შ. გარდა ამისა, ეკონომიკური ან პოლიტიკური კრიზისის დროს შეიძლება ინვესტიონების ერთდრო-ულად მოინდომონ ინვისტიციებული თანხების სრულად გატანა. ასეთ შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკამ შე-

## თვალსაზრისი

იძლება სრული ფიასკო განიცადოს. ამის მაგალითად სამხრეთ კორეა გამოდგება. 1998 წელს აზისის ეკონომიკური კრიზისის დროს ინვესტორებმა სამხრეთ კორეიდან ინვისტიციების გატანა დაიწყეს. გასატანი ფულადი სახსრების მოცულობა კორეის მთავრობის დათვლით ასობით მიღიარდ დოლარს შეადგინდა და ეკონომიკურ კრიზისში მყოფ კორეების ეკონომიკას სრული ჩამოშლით ემუქრებოდა. კორეის მთავრობამ მოსახლეობას აუხსნა შექმნილი მდგომარეობა და ხალხს მიმართა თხოვნით, ვისაც რითი შეეძლო დახმარებოდა საკუთარ ქვეყანას. მოსახლეობამ არნახული მოქალაქეობრივი პოზიცია გამოვლინა და ყოველმა მათგანმა მაქსიმუმი გაიღო საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის გადასარჩენად და კრიზისის დასაძლევად.

სულ სხვა ვითარება გვაქვს კრედიტების შემთხვევაში. ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა სახის კრიზისები კრედიტის დაბრუნებაზე პირდაპირ არ მოქმედებს. უცხოური კრედიტების წლიური პროცენტი კი, როგორც წესი, 3-5%-ს არ აღემატება. მარტივი მათემატიკით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ქვეყნიდან გასატანი პროცენტის და ძირის ოდენობა ჯამში ნაკლებია, ვიდრე, ანალოგიური თანხის ინვესტირების შემთხვევაში გასატანი მოგების ოდენობაა. მაგალითად 1 000 000 000 დოლარის 10 წლის ვადით კრედიტით აღების დროს 5%-ინი წლიური განაკვეთის შემთხვევაში, პირველ წელს ქვეყნიდან გასატანი თანხის მოცულობა იქნებოდა 150 000 000 დოლარი. არაფერს ვიტყვია იმაზე, რომ 10 წლის შემდეგ საერთოთ აღარაფერი გავაქვეყნიდან.

შევადაროთ ერთმანეთს ერთიდა-იგივე თანხის შემთხვევაში ინვისტირებისას ყოველწლიურად ქვეყნიდან გადის 250 მლნ. დოლარი, კრედიტის შემთხვევაში 150 მლნ. დოლარი. ცალსახად ნათელია, რომ ინვესტიციების მოზიდვას კრედიტების მოზიდვა სჯობს.

ახლა ყურადღება მინდა შევაჩერო კიდევ ერთსა კითხზე, ეროვნული ბანკის წყალობითა (და ხელშეწყობით) შეიქმნა ეგრეთნოდებული შავი სიები, რომლებშიც ყოველგვარი ანალიზის გარეშე შეჰყავთ ეგრეთ-

ნოდებული ურჩი გადამხდელები, რომლებმაც კრედიტი დროულად არ გადაიხდეს. ამ სიაში მოხვედრილთა ოდენობამ 400 000 კაცს გადააჭარბა. რატომ მოხდა ასე? ასეთი უსანდოსოები ვართ ქართველები, ვალები ავიღეთ და არ ვიხდით?!

საქართველოში კრედიტების გაცემის ბუმი 2005-2007 წლებში იყო, ამ პერიოდში ბანკები მეტრონომში და ქუჩებში დასდევდნენ ხალხს – მობრძანდით, კრედიტები აიღოთ. ყველასთვის კარგადა ცნობილი რომ 2007 წელს ახალი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი დაიხინებოდა 2008-2009 წლებში პიკს მიაღწია. ამას დაერთო 2008 წლის აგვისტოს ომი, რამაც ისედაც მძიმე მდგომარეობა, კიდევ უფრო დაამძიმა. ჩერდებოდნენ ფირმები, მოსახლეობა უმუშავარი რჩებოდა, თავად ბანკებიდან უამრავი ადამიანი დაითხოვეს სამსახურიდან. მთავრობამ მსხვილ ბანკებს ფინანსური დახმარება გაუნია, ხალხი კი სულაც არ გახსენებია (თუმცა, როდის ახსოვდათ, ხალხი მათ მხოლოდ არჩევნებზე სტატისტიკური მასის სახით სჭირდებოდათ). უფრო მეტიც, მთავრობამ 2008 წლის ომის შემდგომ არსებულ მძიმე ვითარებაში არ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა. ამ შემთხვევაში შეიქმნებოდა ფორსმაჟორული სიტუაცია, რომელიც ფაქტიურად ისედაც იყო. ასეთ დროს, როგორც მოსახლეობა და ფირმები ბანკების წინაშე, ისე საქართველოს ბანკები უცხოური ბანკების წინაშე გარკვეული ხნით ვითარების გამოსწორებამდე (თუნდაც ერთი წლით), შენვეტდნენ ვალდებულებების შესრულებას კანონისა და ხელშეკრულებების შესაბამისად. ვალდებულებების შესრულება განახლდებოდა საგანგებო ვითარების დასრულების შემდეგ. ამის ერთ-ერთი ინიციატორი, თუ ერთადერთი არა ეროვნული ბანკი უნდა ყოფილიყო. ეს არ მოხდა! კატასტროფული შედეგი მივიღეთ. უამრავი ფირმა გაჩერდა, ბევრი მადგანი საერთოდ დახსურა, უამრავი მათგანი კი ბანკებმა გაყიდეს. ამ პერიოდში მოსახლეობის დიდი ნაწილს არამც თუ კრედიტების გასტუმრების თავი არ ჰქონდა, ლუკმა პურის ფულსაც კი ვერ შოუ-

ლობდა. უამრავ ადამიანს გაუყიდეს მანქანები, ბიხები და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება. ვინ აგებს პასუხს მთავრობის უმოქმედობის და არასწორი გადაწყვეტილებების შედეგად 100 ათასობით სახლეარდაკარგულ გაუბედურებულ ოჯხზე, ათასობით გაჩერებულ და განადგურებულ ფირმაზე? მიმართია, რომ სწორედ მთავრობისა და ეროვნული ბანკის დანაშაულებრივი უმოქმედობაა იმის მიზანი, რომ მოსახლეობამ და ფირმებმა კრედიტების მომსახურება ვერ შეძლეს.

ეროვნული ბანკის კიდევ ერთი დაუდევრობა მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანის შესახებ ინფორმაცია კომფიდენციალურია და გასაჯაროებას არ ექვემდებარება მითუმეტეს, როცა ამას აკეთებს კერძო სამართლის იურიდიული პირი. ეროვნული ბანკი წინ არ აღუდგა, უფრო მეტიც, ხელი შეუწყო საქართველოში შავი სიების დანერგვას. ნაცვლად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილი მოსახლეობის დახმარებისა, როგორც ეს ცივილიზებულ ნორმალურქვეყნებში ხდება, ეროვნულმა ბანკმა (და სხვა ბანკებმა) საქართველოს მოსახლეობას შავი სიები შესთავაზა.

ბევრი პოლიტიკოსი და ეკონომიკის ექსპერტი ხახს უსვამს ეროვნული ბანკის წარმატებულ პოლიტიკას, იმის გამო, რომ ქვეყანაში დაბალი დონის ინფლაცია და ლარის კურსი უცხო ვალუტებთან მიმართებაში მყარია.

თავს წებას მივცემ ამ მოსაზრებებს არ დავეთანხმო! თვალსაჩინოებისთვის მაგალითს მოვიყენ სოფლის მეურნეობის სამინისტროზე. აღნიშნული სამინისტროს პოლიტიკა წარმატებულად ჩაითვლება მაშინ, როცა, პროდუქცია უხვადაა და ხელმისაწვდომი ფასად, როცა ამ ფასით კმაყოფილია როგორც მყიდველი, ისე, პროდუქციის მიმწოდებელიც. წინააღმდეგ შემთხვევაში სამინისტროს პოლიტიკა წარმატებულია. ეროვნული ბანკის პოლიტიკა კიმაშინაა წარმატებული, როცა საკრედიტო რესურსები, ფული, ხელმისაწვდომია ყველასათვის, ანუ ფული იაფია და ინფლაცია მოთვილი. ეს იგი, ეროვნული ბანკის პოლიტიკა წარმატებული იქნებოდა



მხოლოდ მაშინ, რომ ტარდებოდეს იაფუ ფულის პოლიტიკა და არ იყოს ინფლაცია.

რაც შეეხება ლარის კურსს. როგორც ვთქვი, ლარის კურსის შენარჩუნება ძირითადად ხდება უცხოეთში გადახვეწილი ჩვენი თანამემამულეების მონური შრომით მიღებული შემოსავლების საქართველოში გადმოვზავნის შედეგად. უფრო მეტიც, ეროვნული ბანკი უცხოური ვალუტის სპეციულაციური ფასებით ყიდვა-გაყიდვის შედეგად მიღებული მოგებით საგარეო რეზერვებს ავსებს. ეს ასეც უნდა იყოს, უცხო ვალუტებთან ლარის კურსის სტაბილური შენარჩუნებისთვის. მაგრამ ლარის კურსის შენარჩუნების საქმეში, ეროვნული ბანკის დამსახურება ნაკლებია.

როგორც ვხედავთ, არსებული პოლიტიკის პირობებში, მთელი ჩვენი საბანკო სისტემა და ფინანსური რესურსები, არაპირდაპირ, მაგრამ უცხო ქვეყნების ეკონომიკაზე მუშაობს. არ იქნება ახალი თუ ვიტყვი, რომ არსებული პოლიტიკის შედეგად ქვეყნის ეკონომიკა მძიმე კრიზისში იმყოფება. მართალია, პენსიები და ხელფასები გაიცემა და სახელმწიფო ბიუჯეტი სხვა ვალდებულებებსაც ასრულებს, მაგრამ, პრაქტიკულად ქვეყანაში ცოტა რამ თუ მუშაობს. მაშინ როგორ ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება?! შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ აქაც საინტერესო სქემები მუშაობს, რომელიც ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობასთან

პრაქტიკულად კავშირში არ არის. განვიხილიოთ ეს სქემა პენსიების მაგალითზე:

თუ საარსებო მინიმუმი ბევრად აღემატება პენსიონერის პენსიას, მაშინ, მის მიერ გაღებული თვიური ხარჯებიდან (თუ ამის წყაროები მას გააჩნია), გადასახადებით ამოღებული თანხა საქმარისი და შეიძლება მეტიც იყოს პენსიის გასაცემ თანხაზე. თუ მას დაფინანსების სხვა წყაროები არ გააჩნია, მაშინ იგი იღუპება ნელი სიკვდილით, შიმშილის, უდენობის, უნამლობის და ა.შ. შედეგად.

ამ სისტემამ, რომ იმუშაოს საჭიროა შესრულდეს 2 პირობა:

- საარსებო მინიმუმი ბევრად უნდა აღემატებოდეს პენსიას. ამის დასათვლელად ფორმულის გამოყვანაც კი შეიძლება.
- უმკაცრესი საგადასახადო დისციპლინა.

ასეთი პოლიტიკის დროს სოციალურად დაუცველი ადამიანები პრაქტიკულად განიჩირულები არიან. ვინაიდან, მათი სოციალური დახმარება ბევრად ნაკლებია, ვიდრე, პენსიონერის პენსია.

სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების უამრავი სხვა სქემები არსებობს, რომელიც კავშირში არა არის ეკონომიკურ აქტივობასთან:

**გარიგებითი სამართალი.** თუ სოლიდურ თანხას შეიტან ბიუჯეტში, მაშინ

შეგიძლია ციხეში არ ჩაჯდე ბიუჯეტში შესატან თანხებს გვახდევინებენ ყველაფერში. ელემენტარული

ცნობის აღებისას 35-50, ხოლო თუ იმავე დღეს გინდა, 150 ლარია გადასახდელი. ელემენტარული დარღვევის დროს, მძლოლების მიერ გადასახდელი ჯარიმა 50 ლარიდან 250 ლარამდეა. იურიდიული პირების მიერ კანონდარღვევებზე ჯარმები ათასობით ლარს შეადგენს, მიზეზები კი უამრავი შეიძლება მოიძებნოს. ეს სხვა არაფერია, თუ საკუთარი ხალხის ძარცვა, რომელიც კანონითაა დაშვებული.

გარდა ამ სქემებისა, რომლებიც ბიუჯეტის შევსებას ხმარდება, არსებობს კიდევ სხვა სქემები, რომლებიც მოსახლეობის გაღატაკებას და ეკონომიკის ნგრევას ემსახურება. ყოფილმა ხელისუფლებამ მოსვლის დღიდან ბიზნესების

ჩამორთმევა დაიწყო. ყველას ეგონა გასწორდებოდა ის უკანონობები, რომლებიც წლების წინ ხდებოდა – როცა, ერთეულებმა მილიარდით დოლარის სახელმწიფო ქონება „კაპიკებად“ ჩაიგდო ხელში. დანარჩენ მოსახლეობას კი ხელისუფლებამ, ჯერ რაც ქონდა ის წაართვა ბანკების ანაბრების სახით, შემდეგ კი 5 დოლარიანი (საბაზრო ლირებულების მიხედვით) ვაუჩერი შესთავაზა მილიარდით დოლარის სახელმწიფო ქონების სანაცვლოდ. თუმცა, ამით სამართლიანობა კი არ აღსდგა, ახალი უსამართლობა მოხდა. მილიარდით დოლარის ქონება კიდევ უფრო მცირე ჯგუფის ხელში გადავიდა და მათი საკუთრება გახდა. ხელისუფლება არ მოერიდა არა მხოლოდ არსწორი პრივატიზების შედეგად ქონების ჩამორთმევას და მათთვის სასურველი „ახლად გამოჩეკილი“, „ბიზნესმენებისთვის“ გადაცემას, არამედ, სრულიად კანონიერ მფლობელობაში მყოფ კერძო საკუთრებასაც უცერემონიოდ ართმევდნენ. ერთერთ მაგალითად ტელეკომპანია „იმედი“ გამოდგება, ანალოგიურ ხდებოდა ბევრ სხვა კომპანიაში: „მაგთი“, „კავკასუს ონლაინი“, ნავთობის ბიზნესი და ა.შ. უკანონობას უკანონობა ემატებოდა – სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფი ათასობით ობიექტი სიმბოლურ ფასებში (ხშირ შემთხვევაში 1 ლარად) კერძო საკუთრებაში გადადიოდა ერთეულების ხელში. „დემოკრატიის პირველი ტალღის“

## თვალსაზრისი

დროს ქონების გადანაწილება, რომ დაამთავრა, ხელისუფლებამ „დემოკრატიის მეორე ტალღა“ დაიწყო და „ახალი სიმაღლების“ აღება გადაწყვიტა. დაიწყეს ბიზნესების გამსხვილების პროცესი. ეს პროცესი აფთიაქებით დაიწყო. სახელმწიფოს ხელშეწყობით რამდენიმე კომპანია ამ ბაზარზე დომინანტი გახდა. შემდეგი „იერიში“ ქუჩებში მდგარ სავაჭრო ჯიხურებზე და ზოგიერთ ბაზრისებზე მიიტანეს. ძალიან მაღლე ისინი გააუქმეს და მათ ადგილზე სუპერმარკეტები გააკეთეს, რომლებსაც რამდენიმე კომპანია მართავს. ამას მოჰყვა ხორცის ბიზნესი, მიკრო სამარმუტო ავტობუსები და ა.შ. ეს პროცესები ზოგ სფეროებში ღიად, ზოგან კი ფარულად მიდიოდა. ამის შესახებ საუბარი დიდხანს შეიძლება!..

კარგად დავაკვირდეთ – რა ხდება, პრაქტიკულად ერთი და იგივე ბიზნეს-ჯგუფების ხელში გადავიდა და თავი მოიყარა უზარმაზარი ქონება. ამ ყველაფერმა საშინელი, კატასტროფული ეკონომიკური შედეგების წინაშე დაგვაყენა. ათი ათასობით ოჯახი ელემენტარული შემოსავლების გარეშე დარჩა. ერთი სავაჭრო ჯიხური რამდენიმე ოჯახს ინახავდა. ერთი სამარმუტო ტაქსი, სულ ცოტა 3 ოჯახს არჩენდა. უამრავი ადამიანი ბიზნესის იმ სფეროებში

გადავიდა, სადაც მონოპოლია ჯერ კიდევ არ არის და ამ სფეროებში დასაქმებულთა შემოსავლებზე იმოქმედა უარყოფითად. მონოპოლიის პირობებში მკვეთრად გაიზარდა ფასები მედიკამენტებზე, პროდუქტებზე, ტრანსპორტზე, საწვავზე და ა.შ. ასეთი სახის დანაშაულებრივი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად მოსახლეობის უდიდესინაწილი უცებ მცირე დროში გადატაკდა. ამის მიზეზი იყო ერთის მხრივ ის, რომ ის ფინანსური რესურსები, რომლებიც მოსახლეობაში იყო, მცირე ბიზნეს-ჯგუფების ხელში აღმოჩნდა და მეორეს მხრივ, მონოპოლიის შედეგად გაძვირებული ფასები. პროდუქციის და მომსახურების ფასებში მოგება ხშირ შემთხვევაში ათასობით პროცენტში ითვლებოდა ასე იყო მედიკამენტებზე. ანალოგიური სიტუაცია იყო ბევრ სხვა პროდუქტზეც: გავიხსენოთ შემთხვევა, როცა ერთ-ერთმა კომპანიამ 20 ლარად შეძენილი ნაძვი 1000 ლარად გაყიდა და 5000 პროცენტიანი მოგება მიიღო. ვნახოთ რა ხდება სარეკლამო ბაზარზე მონოპოლიის შედეგად საერთო ნაციონალური მაუწყებელი დომინანტი ტელეკომპანიების ერთი წუთი სარეკლამო დროის ღირებულება 4000 დოლარიდან იწყება. უფრო ღრმად ჩავწერდეთ ამ დანაშაულებრივი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგებს.



რა თქმა უნდა, წუთში 4000 დოლარის გადახდას ცოტა თუ ვინმე შეძლებს ქართული ფირმებიდან და კომპანიებიდან. სამაგიეროდ ამ ტელეკომპანიების სარეკლამო დრო უხვადა გაჯერებული უცხო კომპანიების პროდუქციის სარეკლამო რგოლებით. როგორც ვხედავთ, არა მხოლოდ საკრედიტო რესურსი, არამედ სარეკლამო რესურსიც ფაქტიურად მთლიანად უცხო კომპანიებზე მუშაობს. ამ დროს რაც არ უნდა კარგი პროდუქცია გქონდეს, როგორ გინდა, გაყიდო, თუ რეკლამა არ გაუკეთე. შეიძლება ასეთ ვითარებაში თანაბარ კონკურენციაზე იყოს საუბარი?!

**ყოველივე ზემოთქმულიდან კარგად ჩანს, რომსაბაზრო ეკონომიკაში თუ არ ჩაერიც და გარკვეული რეგულირება არ მოახდინე, არა „თავისუფალი კონკურენციის კანონი“, არამედ, ჯუნგლების კანონი მოქმედებს: „დლიერი ჭამს სუსტს“.**

ახლად წარმოშობილი ბიზნეს ჯგუფების კომპანიები ითვლორულ ზონებში არიან რეგისტრირებულები, ყველაზე კარგად იცის, ვინც დგანან მათ უკან და ვისი კომპანიებიცაა, მაგრამ ცოტა თუ ვინმე ლაპარაკობს იმ ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებზე, რაც ამ კომპანიებმა შეიძლება დამართოს ქვეყანას. ფაქტიურად ქვეყნის ფინანსური რესურსების უდიდეს ნაწილს ეს ბიზნეს ჯგუფები აკონტროლებენ. ეს ფინანსური რესურსები საბოლოო ჯამში ითვლორულ ზონებში მავანისა და მავანის ანგარიშებზე ილექტება.

დავაკვირდეთ რა ხდება, მუშაობს ერთგვარი „საქაჩი“, რომელიც საქართველოს მოსახლეობიდან თანხებს ქაჩავს და ოფშორულ ზონებში გადააქვს. ეს სისტემა განაპირობებს მოსახლეობის კიდევ უფრო გაღარიბებას და ცალკეული ბიზნეს-ჯგუფების არნახულ გამდიდრებას. მთავრობა გვიმტკიცებს რომ კორუფცია არ არისო, მაგრამ ის, რაც არის, კორუფციაზე გაცილებით დიდ საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნისათვის.

ჩემი ანალიზით, არსებული სისტემა ეკონომიკური განვითარების შეჩერების მიზეზი და არა ხელისუფლებაში მოსული ახალი ძალა. ამ სისტემის შედეგები მომავალში კიდევ უფრო სახიფათო იქნება!

როცა უცხოეთში დიდი იდენტის ფინანსური რესურსი გადის, იზრდება მოთოვნილება უცხოურ ვალუტაზე, რაც ასახება ლარის კურსზე, აქმდე ეს არ იყრძნობოდა ვინაიდან აგვისტოს ომის შემდეგ დიდი ოდენობის უცხოური ვალუტა შემოდიოდა დახმარებებისა და კრედიტების სახით, რაც სტაბილურს ხდიდა ეროვნული ვალუტის კურსს. გარდა ამისა, თვითონ ეს სისტემა ახალია და საბოლოოსახე ცოტა ხნის წინ მიიღო. მომავალში დახმარებები და საკრედიტო რესურსები შეიძლება იმ იდენტით აღარ შემოვიდეს, სამუშაო ძალისა და პროდუქციის ექსპორტით მიღებული სავლუტო შემოსავლები კი შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს. აი მაშინ, ლარის კურსს ეს სისტემა მოულოდნელად წამოსული ზვავივით დაარტყამს.

**მთავრობა გვიმტკიცებს, რომ საკმარისი რესურსები გვაქვს და ლარის კურსს არაფერი ემუქრება.** ამტკიცებენ, რომ ის მილიარდები, რომელიც უცხოეთში საგარეო რეზერვის სახით აქვთ, ლარს ნებისმიერ საფრთხეს აარიდებს. ზუსტათ ასე გვიმტკიცებდნენ 1998 წელსაც. ამ პერიოდში საგარეო რეზერვი 280 მლნ. დოლარი იყო. როცა ეკონომიკური კრიზისი გალრმავდა და ლარის კურსს „დაარტყა“, მთავრობამ მცირე დროში (1 თუ 1,5 თვეში) 200 მლნ. დოლარზე მეტი დახარჯა იმ იმედით, რომ ლარის კურსის ვარდნას შეინარჩუნებდა, მაგრამ ვერ უშველა. ბოლოს თავისუფალ ვარდნაში გაუშვა და კურსი დოლართან მიმართებაში 1,68 დან 2,60 ავარდა. ლარის კურსს არანაირი მილიარდები არ უშველის, თუ ზემოთ მოყვანილი სისტემა არ შეიცვალა. არ მინდა ვისაუბრო ლარის კურსის ვარდნის ეკონომიკურ შედეგებზე, რაც სრული კატასტროფა იქნება.

როგორც ვხედავთ, ეკონომიკა ნადგურდება, ჩვენი, როგორც ბუნებრივი ისე ფინანსური რესურსები უცხოეთში გაედინება და უცხო ქვეყნების ეკონომიკაზე მუშაობს, ადგილობრივი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოელების ხელში გადადის, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მონურ შრომას ეწევა უცხოეთში, საქართველოში

დარჩენილ მოსახლეობას კი უმოწყალოდ ძარცვასაკუთარი ხელისუფლება – იგი არ ერიდება ადამიანთა სიცოცხლისა და ერის გენოფონდის გაყიდვასც კი!

ბიზნესის დაწყება სულ სხვა და მარტო რეგისტრაცია საკმარისი არ არის. ბიზნესის დასაწყებად საჭიროა: ოფისი, პროფესიული კადრები, საოფისე და სანარმოო მოწყობილობები, ფინანსური რესურსებიდა ა.შ. ყველა ამ ჩამოთვლილი მიმართულებით ხელისუფლება არანაირ პოლიტიკას არ აწარმოებს. სხვა ქვეყნებში დამწყები ბიზნესისთვის სხვადასხვა სახის ხელშეწყობა და შეღავათები არსებობს. ჩვენთან პირველივე დღიდან გადასახადები უნდა გადაიხადო. მხოლოდ ქართველ კაცს თუ მოუვა თავში აზრად, მომავალ წელში გადასახდელი მოგების გადასახადი, ავანსად გადაგახდევინოს სავარაუდო მოგების გადასახადის სახით მიმდინარე წელს. თუ გაგიმართლდა ბანკის კრედიტი შეიძლება აიღო მხოლოდ 6 თვის შემდეგ, ისიც სტაბილური შემოსავლები თუ გაქვს. არადა, რომელ სტაბილურ შემოსავლებზეა საუბარი არასტაბილურ ქვეყანაში (საპროცენტო განაკვეთები 2-3 ჯერ მეტია, ვიდრე სხვა ქვეყნებში)?!

მიუხედავად ბევრი სასიკეთო და საინტერესო ცვლილებისა, სამნებაროდ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ არსებული სქემები და სისტემები ძირითადში დატოვა და როგორც ჩანს, მათ შეცვლას არც აპირებს. ჩემი დაკვირვებით, არც იმ საფრთხეებს აანალიზებს, რაც ამ სქემების არსებობის შემთხვევაში ქვეყანას წინ ელოდება. პრემიერმა ფრთხილი პოლიტიკა უნდა გავატაროთ, საბანკო სისტემა, რომ არ დაგანვრითოთ!

დასანგრევი უნდა დაინვრეს და ახალი აშენდეს. ვის სჭირდება ისეთი ბანკები, რომლებიც უცხო კომპანიებს ამდიდრებენ და ქართულ ეკონომიკას და ქართულ სახელმწიფოს ანგრევენ, საქართველოს მოსახლეობას კი აღატაკებენ?! რა გამოდის? ანგარიში უნდა გაუწიოთ ყველას, მაგრამ არა საკუთარ ქვეყანას და მის მოსახლეობას!..

ახალი ხელისუფლება, გვამედებს, რომ ორი წელიწადი უნდა მოვითმინოთ და მერე ყველაფე-

რი კარგად იქნება. ეს მაშინ, როცა „გაჭირვებულმა“ მინისტრებმა ვერ მოითმინეს – ჯერ სარფიანი პრემიები დაირიგეს, შემდეგ კი ხელფასი გაიორმავს...

კარგია ახალმა ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობის აღორძინება რომ გადაწყვიტა. მაგრამ, გლეხს ერთ ჰექტარზე 300-500 ლარს, რომ მისცემ, ჰექტრის მოვლა კი გაცილებით მეტი ჯდება, დანარჩენი თანხა საიდან უნდა აიღოს?! გაცემული კრედიტების მოცულობა უჩვენებს, რომ ეს სქემა, არ მუშაობს. ხელისუფლების ეს პროგრამა ძალიან ჰგავს საკაშვილის ხელისუფლების „დასაქმების პროგრამას“. როცა პროგრამის განსახორციელებლად ჯერ 50 მლნ. ლარი გამოყო, შემდეგ 150 მილიონი. თუმცა, ამ თანხებით შექმნილი სამუშაო ადგილი არავის უნახავს(?)!

სამწუხაროა ისიც, რომ საქართველოში შოუბიზნესზე გაცილებით უფრო მეტი იხარჯება, ვიდრე მეცნიერებაზე და განათლებაზე. ეს სფეროები წინა ხელისუფლებამ ფაქტურად მინასთან გაასწორა.

**PS. სულაც არმინდა ახალი ხელისუფლების კრიტიკა, ამის საფუძვლიანი მიზეზი რომ არ არსებობდეს. დღევანდელმა მთავრობამ სხვა თუ არა, ერთი რამ კარგი გააკეთა: წერტილი დაუსვა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ შავ ლაქას, პერიოდს რომელსაც „ნაციონალური მოძრაობის“ მართველობის პერიოდი ქვით ნერტილი დაუსვა და შეაჩერა XXI საუკუნის ფაშისტური რეჟიმი საქართველოში. რომლის დროსაც ბევრი ზემოთ მოყვანილი და სხვა საშინელი სქემებიდა სისტემები მუშავდებოდა და ინერგებოდა.**

ახალი მთავრობის პოლიტიკის აკვარციანობაზე საუბარი, აღბათ ნაადრევია. ნეტავ უველავერი ისე გამოვიდეს, როგორც არჩევნების წინ „ვოცნებობდიოთ“. თუმცა, დღემდე რაც კეთდება, თუ ამით ვიმსველებთ: „ეს გზა ეკლესიამდე ნამდვილად არ მიგვიყვანს“!..

**ნასყიდა დარგუაშვილი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

## მიწას თვალისჩინივით უდღა გაფრთხილება და არა ხელალებით გაყიდვა

ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლია თამამად მოვითხოვოთ უბრალო, ბუნებრივი რამ, რომ ქართველის მინა ქართველისავე იყოს.

ილია ჭავჭავაძე,  
თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, გვ. 264

კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში ხალხები სხვადასხვა მიზეზით გამუდმებით იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს. ეს ზოგჯერ ომების, ქვეყნების დაცურობების გზით ხდებოდა, ზოგჯერაც მშვიდობიანად, ისე, რომ ეს ემიგრაცია მათვისაც სასარგებლო იყო, ვინც სამშობლოს ტოვებდა და იმ ქვეყნის თვისაც, სადაც ისინი საცხოვრებლად და სამუშაოდ გადადიოდნენ.



ზოგიერთი ქვეყანა მაგალითად, აშშ, კანადა, ახალი ზელანდია, ავსტრალია ნამდვილად ვერ განვითარდებოდნენ ასე, რომ არა ემიგრანტები. აღსანიშნავია, რომ ამერიკელ ნობელიანობთა, განსაკუთრებით ეკონომიკის დარგში, დიდი ნაწილი სწორედ ამ ემიგრანტთა რიგებიდანაა. კარგი იქნება, თუ აქ ჯორჯ სორისს, თავად უნგრელ ემიგრანტს, ამერიკელ მილიარდელს გავიხსენებთ, რომლის განცხადებითაც, რომ არა ემიგრანტები, შეერთებული შტატები არ იარსებებდა.

ადრეული საუკუნეების ხალხთა გადასახლებებზე, - როგორიც იყო ასურთა მიერ ებრაელთა აყრა-გადასახლება, არაბებისა და თურქების მიგრაციები და სხვ. რომ არაფრი ვთქვათ, ამ პროცესებმა განსაკუთრებით ფართო ხასიათი XVII-XVIII საუკუნეებში მიიღო. სწორედ ამ დროს გადასახლდნენ ევროპიდან ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში კათოლიკები, XIX საუკუნეში - ებრაელები, XX-ში - სომხები და ა. შ. განსაკუთრებით ბევრი ებრაელი გაექცა გერმანიდან ფაშისტთა დევნას. ზემოთ აღნიშნული ქვეყნები დღესაც მრავალ ემიგრანტს იზიდავენ.

ქვეყნიდან გონიერი და ბეჯითი ადამიანების გასვლას „ტვინების გადინება“ ენოდება. ეს ტერმინი, თუ არ ვცდები, მეთექვსმეტე საუკუნეში

წარმოიშვა, როდესაც კათოლიკების მიერ დევნილი პროტესტანტები (გავისენოთ 1572 წლის ბართლომეს ლამე, როდესაც ერთი ლამის განმავლობაში პარიზის ქუჩებში 30,0 ათას პროტესტანტზე მეტი მოკლეს). ამ პერიოდის ფრანგი პროტესტანტები სხვა ქვეყნებში - აშშ, ინგლისი, სამხრეთი აფრიკასა და ნაწილობრივ გერმანიაში გადავიდნენ საცხოვრებლად და სამუშაოდ. ეს ჰუგენოტები (როგორც პროტესტანტებს საფრანგეთში ეძახდნენ) საზოგადოების ელიტას შეადგენდნენ და ცხადია, მათ მიერ ქვეყნის დატოვება დიდად საზარალო იყო საფრანგეთის საზოგადოების, ხოლო, სასარგებლო - ყველა იმ ქვეყნის თვის, სადაც ისინი გადასახლდნენ. მაგალითად, ჰუგენოტებმა, განსაკუთრებით ბერლინში ამ ქალაქის მკვიდრთა 20% შეადგინეს და შემდგომ მათგან ბევრმა ადამიანმა გამოიჩინა თავი. გვარების მიხედვით გაგრომანელებულ ფრანგთა გამოცნობა დღესაც შეიძლება.

ასევე ძალიან ისახელეს თავი ჩინელებმა ინდონეზიაში. 1995 წლამდე ისინი აქაური მოსახლეობის ოდენ 3%-ს შეადგენდნენ, მაგრამ ისე ენერგოულად და აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი სამეურნეო ცხოვრებაში, რომ ჯაკარტას საფონდო ბაზარზე კაპიტალის ბრუნვის 70%-ზე მეტი სწორედ ეთნიკურ ჩინელებზე მო-

დიოდა, 10-დან 9 კონგლომერატს სწორედ ისინი ფლობდნენ, სამასი მსხვილი კომპანიიდან 68% მათი საკუთრება იყო. ცნობილი ინდონეზიელი დიქტატორის სუხარტოს დროს ჩინელებიდარბეუს და ქვეყანა დაატოვებინეს.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ემიგრანტებმა საქართველოშიც გამოიჩინეს თავი. განსაკუთრებით უნდა დასახელდნენ სომხები და ებრაელები.

როგორც ჩანს, საქართველოში კვლავ შეიქმნა მდგომარეობა, რომელმაც ქვეყანა მიმზიდველი გახადა უცხოელებისთვის. ესენი ნაწილობრივ არიან ახალგაზრდები, რომლებიც მათთვის მისაღებ ფასად ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში განათლებას ეზიარებიან. ამ მიზნით ჩამოდის ახალგაზრდობა ჩინეთიდან, აფრიკიდან, აღმოსავლეთ ევროპიდან, ინდოეთიდან და ა.შ. საკმათო არ უნდა იყოს, რომ განათლების მიღების შემდეგ ასეთი ხალხის საქართველოში საცხოვრებლად და სამუშაოდ დარჩენა მისასალმებელი იქნებოდა. ეს ნამდვილად წაადგებოდა ქვეყნის ეროვნულ მუურნებას და სარგებლობას მოუტანდა ჩვენ საზოგადოებას.

რა თქმა უნდა, ჩვენთვის მისაღები და მისასალმებელია აგრეთვე, თუ საქართველოში შემოვიდოდა კვა-



ლიფიციური მუშახელი, ჩატბებოდა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში და ამით ასარგებლებდა თავსაც და ქვეყანასაც.

მაგრამ ასეთ ხალხთან ერთად ბოლო წლებში ქვეყანაში ინტენსიურად შემოდიან აქსამუშაოს მძღვნელი უბრალო, კვალიფიკაციის არმქონე ადამიანები, განსაკუთრებით ისინი, ვისაც საქართველოში მიწის შეძენა და დასახლება სურს. აქ მათ ხიბლავთ გამარტივებული სავიზო რეჟიმი, კორუფციის დაბალი დონე, მინიმალური ბიუროკრატია, ბიზნესის წამოწყების სიადვილე, სწრაფი და გამჭვირვალე მომსახურება და ა.შ. ჩამოსულებს ზემოაღნიშულის გარდა საქართველოში იზიდავთ ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობა, გულითადობა, ზომიერი კლიმატი და სხვა.

სამწუხაროდ, ეს არის ძირითადად მოსახლეობის დაბალი კატეგორია, რომელთაც სამშობლოში 10 ათას დოლარამდე კაპიტალი დაუზოგავთ და სხვადასხვა კუთხეებში (ჯერ-ჯერობით ძირითადად ქართლსა და კახეთში) მრავალჯერ უფრო იაფად (350 დოლარადაც კი 1 ჰექტარი), ვიდრე ეს მათ საკუთარ ქვეყნაში შეეძლოთ, იძენენ მიწებს, საცხოვრებელს და ოჯახებთან ერთად აქ სახლდებიან. მაგალითად, ა.წ. 28 აპრილს, სატელევიზიო გადაცემაში, P. S. – მთავარი თემა – „იყიდება თუ არა საქართველო”, წნორში

ინდოეთიდან ჩამოსული პენჯაბელი ფერმერი გულლიდა ამბობს: „ინდოეთში ერთი ჰექტარი რომ გავყიდო, საქართველოში ამ ფულით 100 ჰექტარს შევიძენ”-ო.

ერთი პერიოდი იყო საუბარი და პრაქტიკული მცდელობაც ბურების საქართველოში ჩამოსახლებაზე (ცნობისთვის: ბურები სამხრეთ აფრიკაში ჰოლანდიიდან ჩასული ფერმერები არიან). კერძოდ, 2010 წელს მოხდა კიდეც სამხრეთ აფრიკიდან მათი რამდენიმე ოჯახის საქართველოში ჩამოსახლება, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ მხოლოდ მათი მცირენაში ინდილი გაჩერდა საცხოვრებლად და სამუშაოების საქმიანობისათვის.

„სამწუხაროდ“ იმიტომ ვამბობთ, რომ გამრჯე და ბეჯითი ბურების აქ დამკვიდრება გარკვეული მაგალითის მიმცემიც იქნებოდა ჩვენი გლეხებისთვის სამუშაოების აქტიურობის თვალსაზრისით და ვერც დემოგრაფიულ საფრთხეს გააჩინდა ქვეყნაში.

სამაგიეროდ, ჩვენს ქვეყანას ძალზე ეტანებიან ინდოეთის მკვიდრი (განსაკუთრებით პენჯაბელი) გლეხები, ასევე ჩინელები, არაბები ეგვიპტიდან, ალ-ჟირიდან და ზოგიერთი სხვა ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნიდან. არაბულ გაზაფხულს (სოციალურ რევოლუციებს) ხალხი გამოექცა ტუნეზიიდან, ლიბიიდან და იემენიდან, სამოქალაქო ომს სირიიდან (ერთ მილიონზე მეტი), მატერიალურ

## აგრარული სექტორი

სიდუხისი - ირანიდან, ბევრმა არაბმა დატოვა ერაყიდა ა.შ. მათგან მრავალი ადამიანი სწორედ საქართველოში შემოვიდა. მათი წარმომადგენლის განცხადებით, 10 ათასი დოლარი საკმარისია აქ ბიზნესის წამოსაწყებად (პატარა კაფე, რესტორანი, სასტუმრო, სასოფლო-სამუშაოების სავარგულის შეძენა), რაც სხვაგან შეუძლებელია.

აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებიდან ჩამოსულებს თავდაპირველად ისე მოენონათ აქ ცხოვრება და მუშაობა, ჩვენი სასოფლო-სამუშაოების სავარგულები, რომ დიდი რეკლამა გაუწიეს ყოველივე ამას, რის გამოც მათი ჩამოსულა შემდგომ თვეებში კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. მაგალითად, 2013 წლის თებერვალში ეგვიპტიდან დასასახლებლად და სამუშაოდ ჩამოვიდა ათჯერ მეტი არაბი, ვიდრე 2012 წლის შესაბამის თვეს. ჯერჯერობით მსგავსი ტენდენცია შეინიშნება სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულთა მიხედვითაც.

ისმება კითხვა: არის თუ არა სასარგებლო ქვეყნისთვის უცხოებზე სასოფლო-სამუშაოების მიყიდვა? ჩვენ ხაზს ვუსვამთ, - „სასოფლო-სამუშაოები“, იმიტომ, რომ მათზე არასასოფლო-სამუშაოების მიყიდვის ჩვენი ქვეყნისთვის სარგებლიანობა, ვფიქრობთ, ეჭვსარუნდა ინვევდეს. ამ გზით შემოდის ინვესტორი, კაპიტალს დებს ამ მიწაზე სასტუმროს, რესტორნის, სანარმოს თუ სხვა სამუშაოების ბიუროების ასაშენებლად და ასამუშავებლად, რითიც სარგებლობს ორივე მხარე – ჩვენი ქვეყანაც და ინვესტორიც.

ახლა რაც შეხება სასოფლო-სამუშაოების მიწებს, აქაც, მე ვფიქრობ, უნდა განვასხვაოთ ორი ასპექტი: პირველი, როდესაც მიწის დიდ ფართობებს აუქციონის წესით ყიდულობს უცხოელი და მეორე, როდესაც პატარ-პატარა ფართობებს ყიდულობენ უცხოელი გლეხები აზია-აფრიკიდან (არა მგონია, ეპროპა-ამერიკიდან, მით უმეტეს, ავსტრალიიდან აქ ფერმერი ჩამოვიდეს მიწის შესასყიდად, ძალზე იშვიათი გამონაკლისის გარდა). ეს უკანასკნელი აქ სახლდებიან, მრავლდებიან და ქვეყნის ისედაც მძიმე დემოგრაფიულ სურათს კიდევ უფრო

## აგრძელები სექტორი

ამიმიმებენ (ამასთან დაკავშირებით მწერალი რევაზ ჯაფარიძე მახსენდება: კი თქვა მარქსმა პროლეტარებო ცველა ქვეყნისა შეერთდითო, მაგრამ ის ხომ არ უთქვაში, მაინც და მაინც საქართველოში შეერთდითო). ალბათ, ასეთ ლიბერალიზაციას ერთ წინ უნდა აღუდეს, უფრო სწორედ, მისი ლეგიტიმური ხელისუფლება, და არა ისე, როგორც ამსა უკვე ადგილი ჰქონდა ქართლსა და კახეთში, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა სტიქიურად გამოვიდა თავისი მიწების გაყიდვის წინააღმდეგ. ეს ქვეყნის იმიჯს ლაბავს და ცხადია, მას მსოფლიო საზოგადოება ქსენოფონბიაში დაადანაშაულებს.

სხვათაშორის, მსგავსი პრობლემები ზოგიერთ სხვა ქვეყნისაც აქვს. მაგალითად, როგორც ამ ბოლოს დროს მოსახლეობასთან შეხვედრისას პოლონეთში თავისი გავლენითა და მნიშვნელობით მეორე პარტიის - „სამართალი და სამართლიანობა“ ლიდერმა, ამ ქვეყნის პრეზიდენტის, ტრაგიულად დაღუბული ლეხ კაჩინსკის ძმამ - იაროსლავმა განცხადა, პარტიის ხელისუფლების სათავეში მოსელის შემდეგ ჩვენი ერთ-ერთი ლონისძიება მიზების უცხოელთათვის მიყიდვის აკრძალვა, ხოლო ცრუმაგიერპირებზე გაყიდული მინების უკან დაბრუნება იქნება (იხ. Gazeta Wyborcza, 2013 წლის 19 მაისი). მისივე განცხადებით, ამას ისინი გააკეთებენ ფრანგების მსგავსად, რომლებმაც უცხოელებზე მინის გაყიდვა აკრძალება.

ამდენად, მისასალმებელია, რომ ბოლო ხანებში ასეთი ხალხისთვის ვიზების გაცემის პროცედურა შედარებით გამკაცრდა. აღნიშნულმა ლონისძიებამ და აგრეთვე იმან, რომ ჩამოსულები მიხვდნენ, რომ არც ისე ადვილია საქართველოში მინის მაღალეფექტური დამუშავება-გამოყენება, იმოქმედა უცხოელთა შემოყვანის ინტენსიონური და ის მკვეთრად შეამცირა. კერძოდ, როგორც უცხოელთა ამ მიზნით შემოყვანით დაკავებული ერთ-ერთი ფირმის (Ground Immigration Consultancy Services) წარმომადგენელი აცხადებს, თუ ადრე მის ფირმას ერთი თვის განმავლობაში საქართველოში 400-700 გლეხი შემოჰყავდა, ძირითადად

### ინდოეთიდან, ახლა ეს მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა.

ეს კი იმან გამოიწვია, რომ როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ამ საქმეში ჩაბმული ფირმები მინის მყიდვები გლეხებს ვარდისფრად უხატავდნენ საქართველოში მინაზე მუშაობის პერსპექტივისა და აქედან მიღებულ სარგებელს. ამას მრავალი მათგანისთვის იმედის გაცრუება მოჰყვა. ინდოეთის ტელევიზიის ისიც კი გადაუცია, თუ როგორ მოიკლა თავი ერთმა გაკოტრებულმა ინდოელმა გლეხმა. სხვა გლეხის გაცხადებით, ყოფილა შემთხვევა, როდესაც ინდოელი გლეხი, რომელსაც რის ვაი-ვაგლახით მოუგროვებია 5-7 ათასი დოლარი, საქართველოში მინაშეუქმია, მაგრამ ვერ მიუღია სათანადო შემოსავალი და უკან ცარიელი ხელებით გაბრუნებულა (აღნიშნული მაგალითებია მთლიან დროს გაზირება „The Georgia Times“-მა გამოაქვეყნა, წერილით: „ინდოელები საქართველოში: „ტრეფიკინგის მსხვერპლი თუ იაფი მინის მაძიებელი“ (იხ. GT, 2013 წლის 13 მაისი)).

იმ მიზნით, რომ გამოგვერკვია, თურას ფიქრობენ შესაბამისი ქართველი სპეციალისტები მინების უცხოელთათვის მიყიდვის აკრძალვა, ხოლო ცრუმაგიერპირებზე გაყიდული მინების უკან დაბრუნება იქნება (იხ. Gazeta Wyborcza, 2013 წლის 19 მაისი). მისივე განცხადებით, ამას ისინი გააკეთებენ ფრანგების მსგავსად, რომლებმაც უცხოელებზე მინის გაყიდვა აკრძალება.

ეკონომიკის დოქტორის, ყოფილი ფინანსთა მინისტრის პროფესორ დავით იაკობიძის განცხადებით:

- მინა უნდა დაიხნას და დაითხოს;
- მინას ფერმერმა, აგროკულტურის მცოდნე კაცმა უნდა უპატრონოს;

• ამის მისასალნევად უნდა ჩატარდეს აგრარული რეფორმა.

ახლა საკითხი უფრო გასასება რომ გახდეს, ცოტა გაგებალოთ მესამე პუნქტი: ა. ჩვენი მინის სავარგულების მეტატრონები 700 ათასამდე კაცია, რომლებიც 2,5 მილიონ მინის ნაკვეთს განკარგავენ. შესაბამისად რეფორმა უნდა წარიმართოს ლოკაციური მეურნეობათა ფორმირება; ბ. რეფორმის საფუძველში უნდა ჩაიდოს კანონი სასოფლო-სამეურნეო მინის შესახებ (იხ. დანიის მაგალითი); გ. უნდა შეიქმნას სადაზღვევო მექანიზმი და ფერმერების დაკავებითი ფირმის სის-

ტემა; დ. პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის კლასტერული სისტემა და მისი ფუნქციონირების მექანიზმი; ე. შემუშავდეს ფერმერების სწავლებისა და აგრარული (გლობალური და თბობა, თანამედროვე აგრიკულტურული მიღწევების დანერგვა და ა.შ.) კვლევების სისტემა;

აღნიშნულის განხორციელებისას უცხოელი მასობრივად ვერ ჩამოვა, ხოლო, ვინც ჩამოვა, ჩვენ გამოგვადგება. ასევე სოფლის მეურნეობას და არა სოფელს, მოსცილდება ათასობით მიტმასნილი კაცი, ვისაც ვერ გაუგია, აქ არის თუ იქ. რაც შეეხება საქართველოში უცხოელთა ჩამოსახლებას, ამას სხვა მიზეზი აქვს, ლიბერალური (უაზრო) კანონები მხოლოდ ადვილებენ ამ საქმეს. მაგალითად, ჩინელებს სხვა ამოძრავებთ, პენჯაბელებს - სხვა.

ამ საქმეში ჩვენ შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ სხვა ქვეყნების მაგალითებით. მაგალითად, ზემოთნახსნების დანიაში ერთ პირს არა აქვს უფლება პქნონდეს 2 ნაკვეთზე მეტი 24 ჰა საერთო ფართო ფართობით, ამასთან, ნაკვეთებს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 20 კილომეტრს. თუ მაინც არსებობს მოთხოვნა ვინმეს პქნონდეს 24 ჰა-ზე მეტი, მაშინ ამ საკითხს უმაღლესი ხელისუფლება იხილავს. მინის ყიდვა არსად არავის არ შეუძლია, თუ არ დასტურდება მისი წინა საქმიანობით, რომ ის ფერმერია ან აქვს სპეციალური განათლება. სხვათაშორის, აშშ-ს აგრარულ შტატებშიც (არსებობს ასეთი ცნება) ანალოგიური წესებია. შედარებით ლიბერალურია მინის გასხვისების საკითხების მანძილი, მაგრამ იქაცის არ შეუძლია, თუ არ დასტურდება მისი წინა საქმიანობით, რომ ის ფერმერია ან აქვს სპეციალური განათლება. სხვათაშორის, აშშ-ს აგრარულ შტატებშიც (არსებობს ასეთი ცნება) ანალოგიური წესებია. შედარებით ლიბერალურია მინის გასხვისების საკითხების მანძილი, მაგრამ იქაცის ასეთი პირობებია, რომ მინის ბაზარზე უცხოელი ვერ შეგა. არის კიდევ ერთი პრობლემა: მცირები ნაკვეთი უნდა უზრუნველყოფდეს სამუშაო საათების ნლოური ოდენობის 75 პროცენტს მანც, რომ ადამიანი სოფლის მეურნეობის მინის გირებების და დაიკავება მეურნეობათა ფორმირება; გ. უნდა შეაქმნას სადაზღვევო მექანიზმი გვექნება.

- პატრონდა დავით, პაკისტანელები, ინდოელები, ჩინელები, არაბები მოედვნენ ქართულ მემკვეთი და მისი შემხედვარეს თავი ქუდში შიროგორ უნდა გვქონდეს?!

— საჭიროა აგრარული რეფორმა. ჯერჯერობით ჩვენ აგრარიკოსებს კარგად არა აქვთ გარკვეული, რა გააკეთონ. მათი მრჩევლები კი საქართველოსთვის შეუფერებელ ვარიანტებს სთავაზობენ, იმიტომ, რომ სხვა არ იციან.

**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სტუ სრული პროფესორი პა-ატა კოლუმნისტი:** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისს გააუქმა “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის საკუთრების შესახებ” საქართველოს კანონში გათვალისწინებული შეზღუდვები უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მინის შესყიდვასა და საკუთრებაში ქონაზე. ამით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მინა – საქართველოს ყველა მოქალაქის და მათი შთამომავლობის საარსებო ბაზა – გატანილი აღმოჩნდა მსოფლიოს ღია ბაზაზე, სადაც, დღესდღეობით არცერთი კონკურენტუნარიანი საქართველოს მოქალაქე არ არის. ამის მიზანი იყო საქართველოს დემოგრაფიული დექართველიზაცია და მისი მინა-წყლის ათვისება ახალი, გარედან მოყვანილი ან ბუნებრივად იმიგრირებული მოსახლეობის მიერ.

საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია თავისი მოქალაქის წინაშე, რომ სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსები არ შემცირდეს და უზრუნველყოს იმიგრაციის საკმარისად მკაცრი კონტროლი, მოქალაქეთა გამრავლების ტემპების გავლით, რომ საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობა განჭვრეტად მომავალში არ დადგეს სასურსათო, ეკოლოგიური, კრაუდნებული, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და სხვა სახის მძიმე გამოწვევების წინაშე.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მინის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს და ეს სფერო უმკაცრესად რეგულირდება. ისინი მიიჩნევენ, რომ მინის განუსაზღვრელი ოდენბით გასხვისება ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და ინტერესთან შეუთავს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არაკონსტი-

ტუციურად თვლის უცხოელთათვის სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებაში ქონის ბლანკეტურ (სრულად) აკრძალვას და არა ამ უფლების შეზღუდვას.

ამიტომაც შესაძლოა ჩამოყალიბდეს ისეთი საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც უშვებს უცხოელთა მიერ მინის საკუთრებაში ქონას, მაგრამ მხოლოდ გარკვეული შეზღუდვებით. ასეთი შეზღუდვა შეიძლება უცხო ქვეყნების პრაქტიკიდან გავითვალისწინოთ როგორიცაა: მაგალითად, ავსტრიაში (უცხოელი 10 წელი მაინც უნდა ცხოვობდეს ქვეყანაში, სადაც ის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინას შეიძენს) ან კიდევ თურქეთში (მას მხოლოდ გარკვეული ოდენობა სასოფლო-სამეურნეო მინისა შეუძლია ჰქონდეს საკუთრებაში), ან კიდევ პოლონეთში (სანებართვო სისტემა ამუშავდეს), საინტერესოა გერმანიის მაგალითი (სადაც მყიდველი ამ მინის დამუშავების კონკრეტულ გეგმას ნარადებს და ეს გეგმა უნდა იყოს გერმანიის პოლიტიკურ-სოციალური ინტერესის შესაბამისი. იგივეა ავსტრიაშიც). სასარგებლო იქნება არგენტინის მაგალითის გამოყენებაც, სადაც ს/ს მინის მაქსიმუმ 20%-ის გასხვისება არის უცხოელებზე დაშვებული. შეზღუდვა ასევე შესაძლებელია ორი, ან რამდენიმე ელემენტის ერთმანეთთან შერწყმით. ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება ს/ს მინის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადაცემა. ამ საკითხისადმი მსგავსი დამოკიდებულებაა შვეიცარიაში, საფრანგეთში, იაპონიაში, ისლანდიაში, დანიაში, ახალ ზელანდიაში, მექინიკაში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიიში და აშ. ახალ ზელანდიაში შექმნილია მინის დაცვის ტრიბუნალი და ესორგანო კონკრეტულად განიხილავს 2 ჰა-ზე მეტი მინის შესყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას, დადებითი გადაწყვეტილება კი უამრავი მოთხოვნის შესრულებაზეა დამოკიდებული (ეს მოთხოვნები ეხება სპეციალურ ს/ს განათლებას, აგრარული შრომის გამოცდილებას, სოფლად ცხოვრე-

## აგრარული სექტორი

ბას, სათანადო კაპიტალის ფლობას და სხვ.).

საჭიროა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს რიგი ცვლილებები, რომელშიც თანამედროვეობასთან მორგებულად აისახება ის რეგულაციები (შეზღუდვები), რომლებიც ეხება უცხოელებზე ს/ს მინის გასხვისებას.

პატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ რამაზ აბესაძის აზრით, საქართველო მცირებინიანი ქვეყანაა, მეტად გართულებული ტერიტორიული პრობლებებით. ამიტომ, ამ პირობების გათვალისწინებით მინის ყიდვა-გაყიდვის კანონმდებლობა უნდა დაიხვეწოს. იგიუშეალონდ უკავშირდება საქართველოს არსებობა-არარსებობის სკოთხს. ამ საკითხზე უნდა იმუშაონ შესაბამისი მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებმა (ეკონომისტებმა, იურისტებმა, სოციოლოგებმა და ა.შ.) და მთავრობას წარუდგინონ თავიანთი მოსაზრება. საერთოდ, აღმას, სასოფლო-სამეურნეო მინა არ უნდა მიეყიდოს ქვეყნის მოქალაქეობის არმქონებირებს, ხოლო მოქალაქეობის მიღების პროცედურები უცხოელებისთვის უნდა გართულდეს.

**ვანო ჩხაიძე,** საინვესტიციო კომპანიის „ვანო და კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, 1993 წლიდან ახალ საქართველოში მასობრივი პრივატიზაციის პროცესის ადგილიდან დაძვრის ნორმატიული საფუძვლების შემქნელი და პრაქტიკულად განმა-ხორციელებელი, ეკონომისტი და მათემატიკოსი:

- შინაური თუ უცხოელი, ვერავინ მიიღებს ეფექტს იაფ მინაზე!!!

ბატონი ვანო ერთადერთ სწორ და ყველა პრობლემის გადამწყვეტ, უმოკლეს გამოსავლად მიიჩნევს სახელმწიფო საკუთრებაში დატოვებული, 3 მილიარდ კვ. მეტრზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციის დასრულებას – ჩვენ მოქალაქეებზე მისა შეძლებისდაგვარად თანაბრად და აუცილებლად უფასოდ დარიგების გზით. მისი აზრით, მხოლოდ ამ გზით გაიზრდება მინის ფასი, მოიზიდება საკმარისი

## აგრარული სექტორი



ინვესტიციები და მიიღება სასურველი შედეგი. ჩვენი კანონით სასოფლო-სამეურნეო მიწის ყიდვა ადრე მხოლოდ საქართველოს ფიზიკურ, ან იურიდიულ პირს შეეძლო, რაც პრივატიზაციის დასრულებამდე და მიწის ფასის შესაბამის გაზრდამდე, ალბათ, ჩვენი ქვეყნისათვის სასურველი იყო. თუ მიწა უფასოდ ვერ დავურიგეთ ჩვენს მოქალაქეებს, ასე ის მაინც ხერხდებოდა, რომ ვერც უცხოელი იყიდვა ისფად ჩვენს მიწას, თუმცა პრივატიზაციის დასრულებისთვის საჭირო მოკლე პერიოდში, ცხადია, ეს არაკონსტიტუციური გადაწყვეტილება იყო და გაუქმდა.

მოკლედ, ერთადერთი სწორი გზა იყოდარჩება, მოქალაქეებზე მიწების უფასოდ განსახელმწიფოებრივის შემდეგ სოფლის მეურნეობაში სახელმწიფოს რაიმე ჩარევა, მინიმუმ 3-5 წლით, კატეგორიულად შენყდეს.

ქვეყნისათვის მთავარია ყოველ კვადრატულ მიწაზე მეტი დოვლათის მიღება და ეს მეტი კერძო კონკურენციით უფრო სწრაფად მიიღწევა. მთლიანი შიდა პროდუქტი, მოგება, შრომის ანაზღაურება და ა.შ., რაც მეტი იქნება ქვეყნაში, მით უკეთეს.

რაც შეეხება ცნობილ ფობიებს, შემდგომ ეტაპზე:

- მინას, როგორც სხვა უძრავ ფასეულობას, ვერავინ ვერსად წაიღებს;

- რაც უფრო დივერსიფიცირებული იქნება გარე ინტერესი ჩვენი სახელმწიფოს კანონებით და საფუძვლებით, მით უფრო განვითარდება საერთაშორისო ტექნოლოგიებისა და განვითარების

კონკურენცია და თან უფრო დაცულიც იქნება ტერიტორია – მთავარია ფარულად და კომპაქტურად ხალხი არ ჩამოასახლოს ვინმემ და მერე სეპარატიზმი არ გააღვივოს, თორემ თითო-ოროლა ინვესტიორი და ჩვენზე უკეთრაიმე ჩვენი საქმის გამკეთებელი, პირიქით, კარგია;

- რაც უფრო მომგებიანი გახდება მიწის ბიზნესი, ბოლოს, ასეთ საქმეში, უცხოელს აუცილებლად ისევ ადგილობრივები ჩაანაცვლებენ, ვინაიდან ადგილზე საქმე უფრო გულით და ადვილად კეთდება, ვიდრე შორიდან – გადახედეთ საქმეებს, რომლებიც უკვე განვითარდა და დარწმუნდებით... - გვითხრა ბატონმა ვანო ჩააიძეო.

**დამუშავითორისელიქა, ექსპერტი:**

**ბატონო დემურ, როგორ უყურებთ სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვას?**

ამ ეტაპზე ძალიან ცუდად! ღატაკ ქვეყანაში ეს საშიშია, ამასთან, ეს „ნაცეპს“ შეგნებულად ჰქონდათ ბლოკირებული, რომ ქართველებს არ ეყიდათ! არანაირი გაყიდვა უცხოელებზე ... შეიძლება ნინასნარ მოზომოს რაღაც ადგილი, მაგალითად, 1-2 პროცენტი და მხოლოდ ის გაიყიდოს... სხვა გამორიცხულია. ქართველი ღატაკია, ვერაფერს იყიდის და ... მალე უმიწოდ დარჩება.

**რევაზ ლორთიშვილი,** - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესიონალი:

**ბატონო რევაზ, თქვენი აზრი მანებერებებს სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვის თაობაზე...**

მიწის გაყიდვა რა პრობლემაა,

ამას წინ არაფერი არ უნდა ედგას, მაგრამ, ამასთანავე, ზომიერი გადასახადი ისეთი უნდა იყოს, რომ აიძულებდეს მესაკუთრეს მიწის რაციონალურ გამოყენებას. მაშინაზოს მოკლებული იქნება მიწის არასასოფლო დანიშნულებით შეძენა.

**მე აქ უფრო უცხოელისთვის მიყიდვას ვკულისხმობ...**

განსხვავებას ვერ ვხედავ, უცხოელი სხვას ამოეფარება, თუ მიწის შესყიდვა დასტირდება. რაც შეეხება უცხოელების კომპაქტურად ჩასახლებას, განსაკუთრებით ქვეყნის სასაზღვრო რეგიონებში, მიწის დანიშნულების შეცვლას და სხვა, ეს აკრძალული უნდა იყოს და საგადასახადო კოდექსიც არ უნდა იძლეოდეს ამის საშუალებას.

ისე, ებრაელები არ ყიდიან მიწას სხვებზე, მაგრამ სამართვად რომ გადასცემ სხვას 2-3 თაობით და უფრო მეტად, ფაქტობრივად მაინც მისია. შესაძლებელია ეს ფორმაც გამოვიყენოთ. მაგრამ ეს მიწის ბაზარს უფრო მწირს გახდის ჩვენს პირობებში. ისე, დამატებით ამას დაკვირვება და შესწავლა უნდა შესაბამის სპეციალისტებთან ერთად.

**ამას წინათ კახეთში ვიყავი და იქაურები ჩიოდნენ, მიწებს სპარსელები ყიდულობენ, არც თავად ამუშავებენ და არც ჩვენი საქონელს უშვებენ შიგ, რომ მოძოვონ...**

ეს საშინელებაა, ნამდვილად...

**და რა უნდა ქნას ქვეყნაში ამის საწინააღმდეგოდ?**

გადასახადები. გადასახადებს ვერ გადაიხდიან და სახელმწიფო დაუყადალებს.

გიზო გადიანაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეკონომიკის ექსპერტი

„უცხოელებზე მინის ყიდვა-გაყიდვის საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გავითვალისწინოთ, როგორც მინიმუმ, ორი ჯგუფის პრობლემის არსებობა – ეკონომიკური და სოციალური. ეკონომიკური პოზიციებიდან გამომდინარე, რათქმა უნდა, შეზღუდვის არასასურველობა უცხოელების მიერ მინის შეძენის პროცესისა ნაკლებად საკამათოა (თუმცა აქაც გასათვალისწინებელია ისეთი ასპექტები, როგორიცაა მინის პირდაპირ სასპეკულაციოდ გამოყენების აკრძალვა, მისი დანიშნულების მიხედვით ექსპლოატაცია, მინასთან დაკავშირებულ სამუშაოებში პირველ რიგში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და ა.შ.).

რაც შეეხება სოციალურ ფაქტორებს, საქართველოს დემოგრაფიული და ეროვნული თავისებურებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ მიზანშეწონილი არაა მინის, როგორც ობიექტის „თავისუფალ მიმოქცევაში“ უკინოსრიცო გაშენდა. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ამან შესაძლოა გამოიწვიოს ქვეყანაში სხვადასხვა ხასიათის არასასურველი პრობლემები.

აღნიშნულთან მიმართებაში დამაბალნებელი და მარეგულირებელი როლი უნდა შეასრულოს პირველ რიგში, მიგრაციის კანონმა, რისი შემუშავებაც, ჩემი აზრით, გაუმართლებლად ჭიანურდება. ამ კანონის საკანონმდებლო ორგანოებში მიღებამდე სასურველია მისი პროფესიული საზოგადოების მიერ განხილვა და შემდომ ყველა გამოთქმული პრინციპული შენიშვნის ასახვა-გათვალისწინება”.

ამას წინათ, კერძოდ კი გაზიეთ The Georgian Times-ის 27 მაისის ნომერში გამოქვეყნდა ეკონომიკურ ექსპერტი ირაკლი ლექვინაძესთან ურნალისტ ლიკა მოსიაშვილის ინტერვიუ. კითხვაზე, თუ როგორ უნდა შეუთანხმოს ხელისუფლებამ ქვეყნის მოხმოვნებულება უცხოურ ინვესიციებზე, განსაკუთრებით აგრარულ სფეროში, მისი ეროვნული მემკვიდრეობის დაცვის ინტერესებთან, ინტერვიუერი აცხადებს:

„მე არაფერი მაქვს უცხოური ინვესტიციების საწინააღმდეგო. ვფიქრობ, რომ ქვეყნის სოფლის მეურნეობისთვის კარგია თუ ისინი (იგულისხმება უცხოელი ინვესტორები) ქართულ მინაზე ოჯახებსაც შექმნია... მათ შემოაქვთ კაპიტალი, ცოდნა და გამომდილება, რომელიც ძალზე სასარგებლოა ქართული სოფლისთვის. სხვა საკითხია მინა გავყიდოთ, თუ გადავცეთ გრძელვაღიანი სარგებლობისთვის. ადგილობრივ მკვიდრთა კონფლიქტები უცხოელ ინვესტორებთან ჩემთვის უსამართლო და მიუღებელია. ადგილობრივებს არ შეუძლიათ მინების დამუშავება და არც იმაზე არიან თანახმა, რომ სხვამ გააკეთოს ეს. უფრო ხშირად ინვესტორები კერძო მესაკუთრეებისგან ყიდულობენ მინას, და არა სახელმწიფოსგან. ეს არ უნდა იყოს აკრძალული არც ქართველი და არც უცხოელი ფერმერებისთვის. უფრო მეტიც: თუ არ გვინდა ამ სექტორის პოტენციალის დაკარგვა, უნდა დაიბეგროს მინის ის მფლობელები, რომლებიც მინას არ ამუშავებენ. ახლა ჩვენი მინების ნახევარიც არ მუშავდება, და მინის ყიდვა-გაყიდვაზე აკრძალვები კიდევ უფრო გააუარესებს მდგრამეობას“.

კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით ამ აზრის ავტორს, განსაკუთრებით ქართულ მინაზე უცხოელების დასახლებისა და აქ ოჯახების მოწყობის თაობაზე. ეს ხომ ქვეყანაში შექმნილ მძიმე დემოგრაფიულ მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებდა. კიდევ ერთხელ გვსურს გავიმეოროთ: **სოფლის მეურნეობა სპეციფიკური დარგია და მას მხოლოდ ეფექტუანობის თვალსაზრისით არ უნდა ვუყურებდეთ!**

ბოლო ხანებში ქვეყნის პარლამენტი ინტენსიურად მუშაობს მინის კანონმდებლობის დასახვენად. უკვე შეიძლება ახალი ხელისუფლების მიღომებზეც ვისაუბროთ. როგორც უმრავლესების დეპუტატი დავით ლორთქიფანიძე აცხადებს, ახალი საკანონმდებლო წინადადების მიხედვით უცხოელზე შეიძლება გასხვისდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ფონდის მხოლოდ ხუთი პროცენტი.

## აგრძელებული სესტრიტი

საკანონმდებლო წინადადება უცხოელზე მინის გასხვისების კრიტერიუმსაც ადგენს. კერძოდ, მასზე მინის გასხვისება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის 10 წლის განმაზლობაში საქართველოში ცხოვრიბს. ასევე 2,5 პექტრის ოდენობითაა განსაზღვრული მინის მაქსიმუმი, რომელიც უცხოელზე შეიძლება გასხვისდეს.

მიგვაჩინა, რომ მომავალი კანონმდებლობა გარკვეულად დაარეგულირებს ამ მეტად როტულ, ქვეყნის-თვის არსებით საკითხს.

დასასარულს, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ბოლო წლებში ქართულ სოფელზე ისე მსჯელობენ, როგორც ფირმაზე, რომელიც აუცილებლად ეფექტუანად უნდა ფუნქციონირებდეს და მოგება უნდა მოჰკონდეს. ეს ნამდვილად ასე არ არის. სინგაპურად გადაქცეული საქართველო - საქართველო ალარიქნება. ამიტომ, ვიდრე გვიან არაა, ყველანაირად უნდა ვეცადოთ იქ მცხოვრებსალს ხელიშევუწყოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანი, რომელიც სოფელს რამდენიმე წლით მოწყდება და ქალაქში ცხოვრებას გაუგებს გემო, ის შემდეგ უკან დამბრუნებელი აღარაა. შედეგად ჩვენ სოფლებს მოკლე ხანში გაუკაცრიელება ელის. მას კი არამხოლოდ დემოგრაფიული პრობლემები მოჰკვება (გამრავლების ტემპები, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი სოფელზე მდიდარია, სოფლად უფრო მაღალია), არამედ ქართული ტრადიციების დაკარგვაც. მოკლედ, საქართველო ის ქვეყანა ალარიქნება, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ და გვიყვარს.

ამ ასპექტში მეტად დროული (იქნებ ცოტა დაგვიანებულიც) მეჩვენება „ქართული ოცნების“ მიერ ქართული სოფლის აღმოჩენების კუნძული ნაბიჯები.

მსგავსი პრობლემების სიმძაფრე კარგად აქვთ გაცნობიერებული ევროპაში, სადაც თვალისწინებით უფრთხილდებიან სოფელს და არამხოლოდ კომერციული ინტერესების გამო – ევროპაში ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნება სურთ!

**ამბობისი გრიშიკაშვილი,**  
**ლია პიტიშრიშვილი**

# რა უშლის ხელს თვითმმართველობების განვითარებას?

როგორც მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, სახელმწიფოს განვითარება ფაქტიურად წარმოუდგენელია ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების გარეშე. რადგანაც ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვან როლს სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობები ასრულებენ.

აქედან გამომდინარე, წინა პლანზე წამოწევს ეკონომიკური პროცესების რეგულირების ტერიტორიულ ასპექტებზე ყურადღების კონცენტრირების საკითხი, რამაც ასახვა უნდა ჰქონოს სახელმწიფო რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება-განსორციელების პროცესის სრულყოფაში სწორედ ცალკული ტერიტორიული ერთეულების (რეგიონების, რაიონების, მუნიციპალიტეტების) თავისებურებათა, ინტერესთა და კონკურენციულ ამოცანათა გათვალისწინებით.

ქვეყნის რეგიონული განვითარების პრობლემა უპირველესად ტერიტორიული ერთეულების უთანაბარო სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთანა დაკავშირებული<sup>1</sup>.

შექმნილ პირობებში აუცილებელია ეკონომიკაზე ახალი, ეფექტური მეთოდებით ზემოქმედება, რომელთა მორის ერთეული უმნიშვნელოვანესია პროგრამულ-მიზნობრივი პროგნოზირება, რაც შესაძლებლობას იძლევა კვალიფიციურად, სამედოდ, მოკლე ვადაში, სახელმწიფოს ერთიან პოლიტიკასთან კავშირში გადაწყდეს ცალკეული რეგიონების სტრატეგიული პრობლემები. რეგიონული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების საბაზისო მეთოდოლოგიური პრინციპებია; პროგრამის მიზნების, ამოცანების კომპლექსურობა, სინქრონულობა და და სისტემატურობა; პროგრამის ღონისძიებათა გარენტირებული შემუშავება და განხორციელების ალტერნატიული პირობების გათვალისწინება; რესურსული უზრუნველყოფა; პროგრამის ამოცანათა დამისამართება;

ადგილობრივი თვითმმართველობების მომავალი განვითარებისთვის აუცილებელია მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილები გატარდეს საკანონმდებლო დონეზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია საბიუჯეტო მოწყობის კუთხით გასატარებელი ღონისძიებები. საბიუჯეტო სისტემის სრულყოფილი კონტროლისთვის აუცილებელია საქართველოში გატარდეს შემდეგი სახის რეფორმები;

- სახელმწიფო აუდიტის დაახლოება თანამედროვე ეკონომიკულ სტანდარტებთან;
- ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების გეგმის შედგენა;
- ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვისას თანამედროვე ევროპული მიღწევების გამოყენება;
- ადგილობრივი მნიშვნელობების საკითხების გადაწყვეტისას მოქალაქეების მაქსიმალური ჩართულობა;
- ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯითი ნაწილის მაქსიმალურად ტრანსფარანტულობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობების უმაღლეს საჯარო მოხელეების საქმიანობაზე მოქალაქეების მხრიდან კონტროლის მექანიზმების შემუშავება;

<sup>1</sup> ნარიმანიშვილი ე. რეგიონული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებები და დაგეგმვის მეთოდოლოგია. თბ. 2013. პატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის კვლევების კრებული. გვ. 422.



ვეთანხმებით ცნობილი რუსი მეცნიერის ვიქტორია პროხოროვას აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ტერიტორიული ერთეულების განვითარება, როცა ხდება;

- მეცნიერებისა და განათლების ერთ სისტემად ინტეგრირება;
- კვლევებისა და განათლების სტანდარტების შეთანხმებულობა;
- განათლების, მეცნიერების და ბიზნესის ინტერესების თანხვედრა ადგილობრივი ტერიტორიული სუბიექტების განვითარებისთვის<sup>2</sup>.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოქალაქეების ნდობის დაკარგვა ძირითადად გამოიხატებოდა მთავრობის მხრიდან დაპირებების შეუსრულებლობით, ასევე 1991 წლიდან დაწყებული მასობრივი პრივატიზაციით. პრივატიზაცია ხშირ შემთხვევაში იყო ძალიან დახურული და გაუმჯობერვალე. მოქალაქეების მიერ წლების განმავლობაში შექმნილი სახელმწიფო ქონება თითქმის „ჩალის ფასად“ ხელში ჩაიგდეს ე.წ. „წითელმა დირექტორებმა“, რომლებიც შეზრდილი იყვნენ იმდროინდელ სახელმწიფოს მმართველ ელიტასთან და მათთან ერთად ახდენდნენ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მიტაცებას.

საქართველოს მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგრამარეობის ანალიზმა აჩვენა, რომ მუნიციპალიტეტების აბსოლუტური უმრავლესობა ღრმა ფინანსურ კრიზისშია, მნიშვნელოვნადაა შემცირებული მათი დამოუკიდებლობის ხარისხი, რაც გამოწვეულია, რიგორ მოიქმედება ასევე სუბიექტური ფაქტორებით. აღნიშვნული კრიზისიდან გამოსასვლელად, აუცილებელია ადგილებზე გატარებულ იქნას შემდეგი ღონისძიებები;

- ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარება;
- ადგილობრივი მნიშვნელობების საკითხების გადაწყვეტისას მოქალაქეების მაქსიმალური ჩართულობა;
- ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯითი ნაწილის მაქსიმალურად ტრანსფარანტულობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობების უმაღლეს საჯარო მოხელეების საქმიანობაზე მოქალაქეების მხრიდან კონტროლის მექანიზმების შემუშავება;

<sup>2</sup> Прохорова В. Автореферат. Территориальная экономическая система: Субрегиональные ресурсы, стратегии и инструменты интенсивного развития. Ст. 52.

ჯანმრთელობა;

• ტურიზმის განვითარება ისეთ სფეროებში როგორიცაა; სპორტული, კულტურული, მომსახურების და ბიზნეს-ტურიზმი;

• ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სატრანსპორტო-ლოგისტიკურ ცენტრებად გადაქცევა.

• ადგილობრივი თვითმმართველობების ცნობილი კომპანიების ფილიალების განთავსების ხელშეწყობა;

ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ახალი სტრატეგიის შემუშავების მიზნით საჭიროა გამოყენებულ იქნას შემდეგი ინსტრუმენტები;

• იმ თვითმმართველობების რებონდიგი და მარკეტინგი, რომლებსაც მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის და კრეატიული გარემოს არასებობის გამო ძალიან შეღაული აქვთ იმიჯი<sup>11</sup> (ამ მხრივ ადსანიშნავია ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სადაც წლების განმავლობაში და ახლაც სრულად იგნორირებულია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთამორისო კანონმდებლობა ეკოლოგიური უსაფრთხოების კუთხით, რაც თვითმმართველობაში და მის მეზობელ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოქალაქების სამართლიან გულისწყორმას იწვევს).

• ადგილობრივი კულტურული, სპორტული და საქმიანი ურთიერთობისთვის ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა, რომელმაც შემდგომ უნდა უზრუნველყოს სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების დაინტერესება შესაბამისი თვითმმართველობით, რაც საწინარია ადგილობრივი საზოგადოების გააქტიურების და ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარების.

• ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ უცხოურ თვითმმართველობებთან კავშირების დამყარება, აღნიშნული კავშირების დამყარების ძირითადი მიზანი უნდა იყოს უცხოეთის თვითმმართველობების გამოცდილების გაზიარება ადგილობრივი ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესების კუთხით და რაც მთავარია, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტის საქმეში ადგილობრივი მოქალაქეების მაქსიმალურდ თანამონაწილეობა, ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობის მაქსიმალური ხელშეწყობა, რადგანაც სწორედ ამ სეგმენტში უნდა დასაქმდნენ შესაბამის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები პირები. მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებს ამ მხრივ არანაირი ბერკეტი არ გააჩნიათ, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს აღნიშნული მიმართულებით სრულ საკანონმდებლო ვაკუუმზე.

• ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური პრინციპი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობების მნიშვნელოვანი განვითარება არის ის, რომ ადგილებზე უნდა მოხდეს „არსებული წარუმატებლობების სიკეთებად გადაქცევა“<sup>12</sup>. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი; თვითმმართველობაში არსებული მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება ადგილებზე მოხდეს ინოვაციური ეკოლოგიური მიმართულებების გენერირება. როს შემდეგაც უნდა განვითარდეს ეკოლოგიური კლასტერები, რომელიც იქცევა ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საფუძვლად

• ადგილობრივი კულტურული და სპორტული ინ-

1 Стародубровская И. В.. Лободанова Д. Л.. Борисова Л. В.. Филиюшина А. С.. Стратегии развития старопромышленных городов; международный опыт и перспективы в России. Москва 2010.

## აპრარული სესტრიტი

ფრასტრუქტურის მშენებლობა და ადგილებზე ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობა ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში. მიმართულებით. საქართველოს მუნიციპალიტეტებში კი პირიქითაა, ფაქტიურად ნულამდებად დასული მოზარდებშიც ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, რადგან, ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებში მიზერული თანხებია ამ კუთხით გათვალისწინებული, რაც საბოლოოდ მოქალაქეებში დაავადებების ზრდას უწყობს ხელს. მთლიანობაში კი ადგილობრივი და ცენტრალურ ბიუჯეტებს უფრო ძვირი უჯდებათ სხვადასხვა ჯანდაცვის პროგრამებით დასაფინანსებელი ღონისძიებები.

• აუცილებელია ადგილებზე სასწავლო ცენტრების ჩამოყალიბება, რომლებიც მნიშვნელოვანად შეუწყობს ხელს ადგილობრივი თვითმმართველობებში დასაქმებულ პირებს.

• ადგილობრივი ტერიტორიული მწვანე მასივებით მაქსიმალურად განაშენიანება, სწორედ ეს „მწვანე ზონები“ უნდა იქცეს ადგილობრივი მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების საფუძვლად.

• ყველაზე მნიშვნელოვანი, რამაც უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობების მნიშვნელოვანი განვითარება, მდგომარეობს იმაში, რომ ადგილობრივ დონეებზე უნდა მოხდეს ადგილობრივი ხელისუფლების, ადგილობრივი ბიზნეს-წრეების და აქტიური სამოქალაქი საზოგადოების მიერ წამოყენებული ინიციატივების საჯაროდ განხილვა და საკითხის გადაჭრის ერთობლივი გზების ძიება. ამ ინიციატივის ეფექტურობა მდგომარეობს იმაში, რომ ზემოთ დასახელებული ფენების მიერ საკითხების გადაწყვეტა უნდა მოხდეს კონსენსუსის გზით, საკითხის გადაწყვეტებში ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობითა მოგანიჭება უნდა შეასრულონ მკონრდინირებული როლი, რაც ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე უნდა იყოს ორიენტირებული

• ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების საქმეში მნიშვნელოვანია თვითმმართველობის ტერიტორიული არსებული ეკონომიკის ტრადიციულ დარგებში მოქმედი ბიზნეს-წრეების პოზიციებთან საკითხების შეჯერება-განხილვა, რადგან ადგილებზე მოქმედი ბიზნეს-წრეები თავისი საქმიანობით მნიშვნელოვანად უწყობენ ხელს ადგილობრივი ტერიტორიული ინიციატივების ინფრასტრუქტურულ განვითარებას.

საერთაშორისო გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაშია ადგილობრივი თვითმმართველობების მნიშვნელოვანი განვითარება არსებული ეკონომიკის ტრადიციულ დარგებში მოქმედი ბიზნეს-წრეების პოზიციებთან საკითხების შეჯერება-განხილვა, რადგან ადგილებზე მოქმედი ბიზნეს-წრეები თავისი საქმიანობით მნიშვნელოვანად უწყობენ ხელს ადგილობრივი ტერიტორიული ინიციატივების ინფრასტრუქტურულ განვითარებას.

საერთაშორისო გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაშია ადგილობრივი თვითმმართველობების ტერიტორიული არსებული ეკონომიკის ტრადიციულ დარგებში მოქმედი ბიზნეს-წრეების პოზიციებთან საკითხების შეჯერება-განხილვა, რადგან ადგილებზე მოქმედი ბიზნეს-წრეები თავისი საქმიანობით მნიშვნელოვანად უწყობენ ხელს ადგილობრივი ინიციატივებისადმი შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნას შემდეგი ფორმით.

იმედისმომცემ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ 2013 წლის 1 მარტის საქართველოს მთავრობის #223 განკარგულება - „საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის მირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისათვის“<sup>12</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ამასთან დაკავშირილია ცენტრალური ხელისუფლების მიერ, მირითადი მხარდაჭერა ადგილობრივი ინიციატივებისადმი შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნას შემდეგი ფორმით.

იმედისმომცემ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ 2013 წლის 1 მარტის საქართველოს მთავრობის #223 განკარგულება - „საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის მირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისათვის“<sup>12</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ამასთან დაკავშირილია ცენტრალური ხელისუფლების მიერ, მირითადი მხარდაჭერა ადგილობრივი ინიციატივებით არსებობს გარკვეული კითხვები, ის შეიძლება თამაზად მივიჩნიოთ თვითმმართველობების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ გეგმად.

განკარგულებაში აღნიშნულია, რომ განსახორციელებელი რეფორმის ამოსავალი პრინციპია მოქალაქეების მაქსიმალური გააქტიურება და უშუალო ჩართულობა მართვის პროცესში, საქართველოს მთავრობა დეცენტრალიზაციის პროცესს განხილავს ქვეყანაში დემოკრატიისა და მისი შესაბამისი

2 [www.government.gov.ge](http://www.government.gov.ge)—საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი.

## აპრილი სესტორი

ინსტიტუტების დამკვიდრების საკვანძო ასპექტად. პროექტში აღნიშნულია, რომ საჭიროა გაძლიერდეს ადგილობრივი თვითმმართველობები ფუნქციური და მატერიალური თვალსაზრისით, რაც მათ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებას უზრუნველყოფს.

სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტების სასოფლო დასახლებებში იჯუნქციონირებს სოფლის საერთო კრებები, რომლებიც აირჩევენ კრების თავმჯდომარეს და წარმომადგნლობით საბჭოებს, თითოეულ სოფელს მიენიჭება ქონების ფლობისა და მართვის, ასევე შემოსავლების მიღებისა და ხარჯთაღრიცხვის წარმოების უფლება. სოფელ შეძლება ასევე არასამეტარმო და კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნება, ასევე აღნიშნულია, რომ შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში საზოგადოებრივ თვითმმართველ ერთეულს 2016 წლის 1 სექტემბრამდე უსასყიდლოდ სარგებლობის უფლების გადაცემა მის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ტყე და წყალი<sup>1</sup>.

ადსანიშნავია, რომ სტრატეგიის ძირითადი მაზანია მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული სოფლად მცხოვრები მოაღესების ინტერესები, რათა გაზიზრდოს მათი ჩართულობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას.

გათვალისწინებულია საძოვრების (საინტერესოა უკვე გასხვისებულ საძოვრებს რა ბედი ეწვევა – ხაზგასმა ჩემია: ბ.ჭ.) გადაცემა სოფლისთვის განხორციელდეს სარგებლობის უფლებით, ხოლო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: წყალმომარაგება და გაზმომარაგება მუნიციპალიტეტების დონეზე უნდა დარჩეს. (ამჟამად წყალმომარაგებისა და გაზმომარაგების რეგულირების კუთხით ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს არანაირი ბერკეტი არ გააჩნიათ – ხაზგასმა ჩემია-ბ.ჭ.).

კონცეფციაში აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ სოფლის დონეზე გათვალისწინებული არ არის დამოუკიდებელი ბიუჯეტების არსებობა, სოფლის ადმინისტრაციები ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან მჭიდრო კოორდინაციით მოახდენენ ადგილობრივი ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების დაფინანსებას, პროექტების განხორციელებისა ადგილობრივი სასოფლო ადმინისტრაციების მიერ განხორციელდება მკაცრი მონიტორინგი.

კანონპროექტით, სოფლის საერთო კრება ჩატარდება 3 თვეში ერთხელ, კრების ჩატარებას უზრუნველყოფნ კრების თავმჯდომარე და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები ერთი წლის ვადით მოსახლეობის მიერ ფარული კენჭისყრით აირჩევიან, ხოლო, კრების თავმჯდომარეს ასევე ერთი წლის ვადით ფარული კენჭისყრით ირჩევნ, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს საზოგადოებრივი თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელს და ის პერსონალურად აგებს პასუხს საზოგადოებრივი თვითმმართველი ერთეულის საქმიანობაზე, ის ერთი წლის განმავლობაში წარმართავს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობას და უზრუნველყოფს სოფლის მოსახლეობის ინტერესის კავშირს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებთან და თანამდებობის პირებთან<sup>21</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სტრატეგია თვითმმართველობების განვითარების კუთხით წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ, მას მაინც გამოუჩნდენ კრიტი-

1 [www.governement.gov.ge](http://www.governement.gov.ge)—საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდი.

2 საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის განკარგულება - საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისათვის. თბ. 2013 წელი.

კოსები, რომლებმაც სხვადასხვანაირად აღიქვეს სტრატეგიაში აღნიშნული მონაცემები. სტრატეგიის მისამართით გამოთქმულია შემდეგი სახის შენიშვნები, კერძოდ: კრიტიკოსების განმარტებით, საზოგადოებრივი თვითმმართველობა არა კერძო, არამედ სოფლის საჯარო ადგილობრივი თვითმმართველობაა, რომელსაც საკითხების მოგვარების დიდი სპექტრი ვერ ეწება მისი მცირე მასშტაბების გამო. ასევე გაურკვეველია, თუ რა საჯარო პასუხისმგებლობა ვკისრება სოფლად არსებულ საზოგადოებრივ თვითმმართველობას, ასევე გაურკვეველია სტრატეგიაში აღნიშნული ახალი ინსტიტუტის სტატუსი, თვითმმართველობები და კავადგებიან ადმინისტრაციული საკითხებით, თუ მხოლოდ საკონსულტაციო საქმიანობით შემოიფარგლებიან. აღსანიშნავია, რომ ამჟამად სოფლის რწმუნებული წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ დანიშნულ მოხელეს სოფლებში და პასუხისმგებელია მხოლოდ გამგებლის წინაშე, იმ შემთხვევაში თუ სოფლის რწმუნებული თავს ვერ გაართმევს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, მას თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი. ახალი კანონპროექტით თუ რთულდება სოფლად არჩეული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელის მიმართ აღნიშნული ბერკეტის (სამსახურიდან განთავისუფლება – ბ.ჭ.) გამოყენება, გამოდის რომ ადგილებზე აღნიშნული პირები იქნებიან პატარა ავტონომიური ლიდერები, რომლებმაც შეიძლება პრობლემები შეუქმნან მთლიანად მუნიციპალიტეტს.

ამჟამად მოქმედი კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის“ შესახებ მკაცრადა განსაზღვრული თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა. აღნიშნული კანონის 58<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ადგილობრივი სამსახური და თანამდებობის პირები ვალდებული არიან, შექმნან არგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, თვითმმართველობის ორგანოების სხდომების მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა კონტროლის გამჭვირვალობისთვის და კანონით დადგნილი წესით;

ა) ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ან საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით გამოაქვეყნონ;

ა.ა) ინიციებული გადაწყვეტილებათა პროექტები;

ა.ბ) ინიციებული გადაწყვეტილებათა პროექტების განხილვის პროცედურები და ვადები;

ა.გ) საკრებულოს, აგრეთვე საკრებულოს კომისიის სხდომების დღის წესრიგი, ჩატარების ადგილი და თარიღი;

ა.დ) მიღებული ნორმატიული, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციული აქტები, მათი გასაჩივრების ვადები და პროცედურები;

ა.ე) გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლში მოქალაქეთა მონაწილეობის ვადები და პროცედურები;

ბ) უზრუნველყონ მიღებული ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით კოდიფიცირება და მათი ხელმისაწვდომობა<sup>3</sup>.

თვითმმართველი ერთეულში რეგისტრაციულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს უზღვება აქტების, მოამზადოს და შეიტანოს საკრებულოს დაგენერირებულ მოხელეების პროექტი, ან წარადგინოს წინადაღის საზოგადოებრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი ერთეულის განვითარებაზე, ის ერთი წლის განმავლობაში წარმართავს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობას და უზრუნველყოფს სოფლის მოსახლეობის ინტერესის კავშირს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებთან და თანამდებობის პირებთან<sup>21</sup>.

პეტიციის წესით საკითხი შეტანილ უნდა იქნეს წერილობა ან საქართველოს ორგანული კანონი—„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“. თბ. 2005 წ. მუხლი 58<sup>1</sup>.



## თვითმმართველობა

ასეთი მიდგომებით კიდევ უფრო მძიმდება სოციალური ფონი, რაც სამოლოდ მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას აუტანელს ხდის.

აქვთ საჭიროა ავღნიშნოთ, რომ ეკონომიკურ ღიტერატურაში არა არის მკაცრად განსაზღვრული, მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციას ამა თუ იმ ტერიტორიაზე. ზოგი კი ამ ცნების ქვეშ გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციას ამა თუ იმ ტერიტორიაზე. ზოგი კი ამ ცნების ქვეშ გულისხმობს ადგილობრივი ეკონომიკისა და მოსახლეობის კეთილდღეობას. მეცნიერ-ეკონომისტები თანხმდებან იმაში, რომ, თუ მუნიციპალიტეტებში არის დასქმებისა და შემოსავლების ნორმალური დონე, უზრუნველყოფილი სოციალური სფეროებით, ცხოვრების ნორმალური ხარისხი და თანამედროვე დონე, ასევე კვლავწარმოებისათვის შექმნილი ხელსაყრელი პირობები, მაშინ ასეთ მუნიციპალიტეტებში შეიძლება ითქვას, რომ არის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა<sup>1</sup>.

მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დადგენის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საინვესტიციო მიმზიდველობისა და რისკების ხარისხის დადგენას. მუნიციპალიტეტების საინვესტიციო პოტენციალს წარმოადგენენ: სამუშაო რესურსები; წარმოების განვითარების დონე; ინსტიტუციონალური პოტენციალი; ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების დონე; ფინანსური პოტენციალი.

რისკები შევვიძლია ასეთი სახით წარმოვადგინოთ;

- ფინანსური რისკები, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივი ბიუჯეტების მართვის ხარისხთან;
- რისკები, რომელიც დაკავშირებულია მუნიციპალიტეტების ადმინისტრირების ხარისხთან;
- რისკები, რომელიც დაკავშირებულია მუნიციპალიტეტის ვალების მართვასთან;
- რისკები დაკავშირებული სავალო ვალდებულებებთან;

საქართველოს მუნიციპალიტეტების განვითარების ტენდენციებზე დაკვირვებებმა ცხადყო, რომ საკონომდებლო დონეზე მისაღებია მრავალი ისეთი კანონი, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემდგომ განვითარებას. ჩემის აზრით, პირველ რიგში საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

• რადიკალურად გადასახედია ამჟამად მოქმედი საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“. სწავად უნდა გაუმდეს მუნიციპალიტეტების დონეზე მმართველობაში ჩამოყალიბებული პარალელური სტრუქტურები, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოსა და გამგეობის სახით. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვთ მათი ფუნქციების გაორებას, რაც მუნიციპალიტეტების განვითარებაზე წეგატიურად აისახება და მათ საქმიანობას არაეფექტურს ხდის;

• საერთოდ გასაუქმებელია პრეზიდენტის რწმუნებულის-გუბერნატორის ინსტიტუტი. განვლილ წლებზე დაკვირვებამ გვიჩვნა, რომ რწმუნებულის-გუბერნატორის პარატოლიტი დასაქმებულ პირთა შენახვაზე დახარჯული თანხები, ბევრად აღემატება იმ სიკეთებს, რომელიც უნდა მოეტანა ამავე ინ-

1 Игнатиева Е.Д Гимади И.Е. Аверина Л.М. Комплексная оценка социально-экономического благополучия муниципальных образований. Журнал „Экономика региона“ Москва. №2/ 2005. ст 115

სტიტუტის ფუნქციონირებას. რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციები ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელ ინსტრუმენტებად წარმოგვიდგება, ისინი პოლიტიკურ იარაღს წარმოადგენენ მმართველი პარტიის ხელში და არანაირი წვლილი არ შეაქვთ მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობებების საქმეში;

• რადიკალურად შესაცვლელია ამჟამად მოქმედი კანონი „საბიუჯეტო კოდექსის შესახებ“. ამ კანონით რეგულირდება საგადასახადო შემოსავლების შესაბამის ბიუჯეტებში ჩარიცხვის წესები. მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩარიცხვის ადგილობრივი თვითმმართველობების ტერიტორიაზე აკრეფილი ყველა სახის მოსაკრებელი, როგორც სახელწიფო, ასევე ადგილობრივი;

• ფაქტობრივად ახლიდანაა შესაქმნელი ფორმულა გამოთანაბრებითი ტრანსფერის გამოანგარიშების შესახებ. ამჟამად მოქმედი ფორმულა, რომელიც რეგულირდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივ დონეებზე მოქალაქეთა შემოსავლების გამოთანაბრებს. არ ითვალისწინებს დეპრესიული და პრობლემური მუნიციპალიტეტების თავისებურებებს. ფორმულით გამოანგარიშეულ ტრანსფერს პოლიტიკური ელფერი დაპკრავს და თვითმმართველობებისთვის გადასაცემი ტრანსფერის ოდენობა ყოველთვის მმართველი პოლიტიკური პარტიის ინტერესებიდან გამომდინარე იგეგმება; (ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით ასეა).

• მნიშვნელოვნად დასახვეწია კანონმდებლობა ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ქონების მართვა-განვარგვის კუთხით. მუნიციპალიტეტების საუთრებაში უნდა გადაეცეთ არა მარტო მათ ბალანსზე რიცხული უძრავ-მომრიცავი ქონება, არამედ მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული ყველა ქონება, გარდა სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებისა, რომელთა მართვა-განვარგვა ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა;

• მნიშვნელოვნად დასახვეწია კანონმდებლობა ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ქონების მართვა-განვარგვის კუთხით. მუნიციპალიტეტების საუთრებაში უნდა გადაეცეთ არა მარტო მათ ბალანსზე რიცხული უძრავ-მომრიცავი ქონება, არამედ მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული ყველა ქონება, გარდა სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებისა, რომელთა მართვა-განვარგვა ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა;

• მნიშვნელოვნად დასახვეწია კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“. კანონით შედგათები უნდა დაუწესდეს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლების განათავსებენ კაპიტალს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. დღეს კი მდგომარეობა მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ინვესტიციების განთავსების კუთხით მეტად სავალოა, ფაქტობრივად ინვესტორები თავს იკავებენ მუნიციპალიტეტებში ინვესტიციების განთავსებისგან, რაც გამოწვეული როგორც სუბიექტური ასევე ობიექტური ფაქტორებით;

• საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ყოველწლიურ კანონში საჭიროა მკაცრად გაიწეროს „რეგიონული განვითარების პროექტების ფონდზე ით გათვალისწინებული თანხები ბრძანებული თანხები“. ხშირ შემთხვევაში აღნიშნული ფონდიდან თვითმმართველობებს თანხები გადაეცემათ ყოველგვარი წინასწარი გეგმისა და გათვლების გარეშე;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული იყოს ისეთი კანონები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემდგომ განვითარებას. ჩემის აზრით, პირველ რიგში საჭიროა შემდეგი განვითარებაზე წეგატიურად აისახება და მათ საქმიანობას არაეფექტურს ხდის;

• საერთოდ გასაუქმებელია პრეზიდენტის რწმუნებულის-გუბერნატორის ინსტიტუტი. განვლილ წლებზე დაკვირვებამ გვიჩვნა, რომ რწმუნებულის-გუბერნატორის პარატოლიტი დასაქმებულ პირთა შენახვაზე დახარჯული თანხები, ბევრად აღემატება იმ სიკეთებს, რომელიც უნდა მოეტანა ამავე ინ-

ბორის ჭიჭინაძე,  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
ქუთაისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის დოქტორანტი

# სოფლის კომპარაციის განვითარების როლი სასოფლო-სამეურნეო ნარმობის გაღილები

სტატიაში მოცემულია გლეხური, ფერმერული მეურნეობების განვითარების თანამედროვე დონე საქართველოში. აღნიშნულია, რომ ისინი მცირე ზომის, დაბალეფექტურიანი სანარმოები არიან, რაც აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას ქვეყანაში. გაანალიზებულია მსოფლიო მონინავე ქვეყნების გამოცდილება განვითარების თვალსაზრისით. მათი გამოცდილების და საქართველოს პირობების გათვალისწინებით გლეხური, ფერმერული მეურნეობების მაღალ ეფექტურიან სანარმოებად ჩამოყალიბების გზად მიჩნეულია, კოოპერაცია ანუ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბება.



ქვეყნის სასურსათო პოლიტიკის ძირითადი მიზანია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნარმობის გადიდებასთან ერთად სოფლად გლეხური და ფერმერული მეურნეობებისათვის ფუნქციონირების ნორმალური პირობების შექმნა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სოციალური პრობლემების მოვარებას და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

საქართველოში უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე გატარებული აგრარული რეფორმის შედეგად სოფლად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი ფერმერები ფაქტურად მარტო აღმოჩნდნენ წლების მანძილზე დაგროვილი პრობლემების წინაშე.

საბაზო ეკონომიკის პირობებში სოფლად ნარმობის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და აღიარებული ფორმაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია. „კოოპერაცია“ წარმოიქმნა ლათინურ სიტყვა „ფორმერატიონ“-დან რაც ნიშნავს თანამშრომლობას. ამჟამად ამ ტერმინს აქვს ორი ასპექტი: პირველი – კოოპერაცია ვიწრო გაებით გულისხმობს ნარმობის ტექნიკურ-ტექნოლოგიურ პროცესს, ხოლო ფართო გაებით მოიცავს აგრეთვე ორგანიზაციულ-მართველობით დატვირთვას. კოოპერაციის, როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა განსაზღვრულია საქართველოს კანონით, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“.

საქართველოში მე-20 საუკუნის 90-იან წლებში განხორციელებული მინის რეფორმის შედეგად მინების კერძო საკუთრებაში გადაცემას არ მოჰყოლია სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნარმობის მკვეთრი ზრდა, მაგრამ კერძო სექტორი თანდათან გახდა ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარების განსაზღვრული ფაქტორი. უკვე 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან კერძო სექტორი იძლეოდა მეცხოველეობის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ციტრუსების, ყურძნის თითქმის მთელ პროდუქტიას და მარცვლეულის წარმოებას ნახევრაზე მეტს.

კოოპერაციული ტიპის ფერმერულ მეურნეობებზე სწრაფად გადასვლის პირობებში საბაზო სტრუქტურებისათვის შეუსაბამო აღმოჩნდა ინფრასტრუქტურის ობიექტებიც. ინფრასტრუქტურაში ადგილი ჰქონდა დეკაპიტალიზაციას. მთლიანობაში, ქვეყანაში აგრარულმა რეფორმამ ვერ უზრუნველყო სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის განვითარება და მოუგვარებელი დარჩ ფერმერული და გლეხური მეურნეობების მომარაგება სასუქით, ტექნიკით, შხამქიმიკატებით და ა.შ.

აგრარულ სფეროში განხორციელებული გარდა ქმნების დიდი გამოცდილება არსებობს. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია აშშში განხორციელებული რეფორმები, რომელმაც ქვეყანა გამოიყვანა დიდი დეპრესიის პროცესიდან. ამჟამინდებულ შეერთებულ შტატებში აგრარულ

სფეროში განხორციელებული ინტეგრაციული პროცესებიდან აღსანიშნავია კოოპერაციული ინტეგრაცია. მასში ჩართვა ფერმერებს საშუალებას აძლევს გადარჩენ კონკურენტულ ბრძოლაში და ამასთან ერთად კოოპერაციული ინტეგრაცია უზრუნველყოფს ფერმერების მნიშვნელოვან თავისუფლებას, რომელშიც იგულისხმება „ქვემოდან რეგულირების“ ფორმა. იგი ფერმერთა ინტერესებიდან გამომდინარე მოდიფიცირებას უკეთებს ბაზრის კონკურენტულ სტრუქტურებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ფერმერებს დახმარებას უწევენ მრავალი მიზნის მიღწევაში, მათ შორის:

– შემოსავლების ზრდაში, ბაზრის ინტეგრაციის და ეფექტური ნარმობის გაზრდით;

– დანახარჯების შემცირებაში, რესურსების შეენისას და მარკეტინგული პროდუქტების შეთავაზებისას;

– ფერმერების უზრუნველყოფაზე სპეციფიკური პროდუქტებით და მომასაზრებით;

– ბაზრების გაფართოებისა და სტაბილიზაციაში, რომელიც ასრულებს ცენტრალური ორგანისარღვას და ანიური კოოპერატივებისათვის სოფლის მეურნეობაში.

კოოპერატივები ფერმერებისათვის არ წარმოადგენს ჯადოსნურ არსებას, რომლებიც ეხმარებიან მათ ყველა ეკონომიკური პრობლემის მოგვარებაში. არსებობენ ურთიერთობები, რომელმაც ქვეყანა გამოიყვანა დიდი დეპრესიის პროცესიდან. ამჟამინდებულ უწევენ დახმარებას საკუთარ

## ესთონება

წევრებს. კერძოდ, პირველი რიგში კომისიურატივებს არ შესწევთ ძალა აკონტროლოს ფასები ბაზარზე თუ ის არ აკონტროლებს მიწოდებას; მეორე – კომპერატივების ასოციაციებს არ შესწევთ ძალა სხვა ეკონომიკური სუბიექტების ფუნქციების აღმოფხვრისა ბაზარზე; მესამე – ფერმერია კომპერატივების წარმატება და მოკიდებულია არა მათ უნიკალობაზე, არამედ მათ მომგებიან საქმიანობაზე და თავისი პარტნიორების ინტერესების დაკმაყოფილებაზე.

აშშ-ის და დასავლეთ ევროპის აგრარულ სფეროში განხორციელებული სახელმწიფო რეგულირების ღონისძიებებმა შექმნეს სასოფლო-სამეურნეო კომპერატივებისათვის ჯანსაღი „ბიზნეს გარემო“ რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ფერმერულ მეურნეობათა და სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებას (როგორიცაა გზები, ტელეკომუნიკაცია, ელექტროენერგია და ა.შ.). ზემოთაღნიშნული გარემოებების შეჯამება საშუალებას გვაძლევს ვალიართო, რომ განვითარებული ქვეყნების მიერ ათწლეულების მანძილზე გატარებული რეფორმები უშუალოდ პასუხობს ფერმერთა ინტერესებს და შესაბამისად აგრარულ სექტორთან კავშირში მყოფ ეკონომიკის სხვა სფეროებს. მსოფლიოში განვითარებული 24 ქვეყნის მიერ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისათვის გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 300 მლრდ. დოლარი. ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობაში საშუალოდ ერთი წევრი უფრო მეტ სუბსიდიას იღებს, ვიდრე დედამინის მოსახლეობის ნახევარი.

საქართველოსათვის გასათვალისწინებელია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში აგრარულ სფეროში განხორციელებული ტრანსფორმაციული ცვლილებები. ცენტრალური ევროპის ქვეყნებში (ჩეხეთი, უნგრეთი) გატარებული რეფორმების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ძალზე მნიშვნელოვანია დროის ფაქტორის გამოყენება და სასურველიარარისარსებული მსხვილი კომპერატივების დანაწევრება (დაქუცმაცება) საოჯახო ფერმერის დონეზე. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასა, რომ ფერმერულ მეურნეობის გადარჩენის და განვითარების ძირითად გზას პოლონე-

თის, ჩეხეთის, უნგრეთის აგრარულ სფეროში წარმოადგენს ფერმერული კომპერატივების განვითარება. დღეისათვის მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენს მათი საქმიანობისათვის ამ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური შეხედულებები, რადგან გარკვეული ტრადიციების თანახმად კომპერატივი გაიგივებულია კერძო სანარმოსთან.

ჩვენი ქვეყნისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს ჩინური გამოცდილების გათვალისწინებას. კერძოდ მე-20 საუკუნის 70-წლებიდან მოყოლებული „მინამეურნეობათა პასუხისმგებლობის სისტემის“ შემოღების შედეგად, რომელიც ფაქტიურად ნიშნავდა დეკოლექტივიზაციას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზების განვითარებას. გლეხებმა შეძლეს თავიანთი ინტერესების დამცველი დამოუკიდებელი ორგანიზაციის ჩამოყალიბება. ასეთი დამოუკიდებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბებამ რეალურად შეამცირა თითოეული გლეხური მეურნეობის ტრანსაქციული დანახარჯები და შექმნა ჩინეთში სოფლის მეურნეობის განვითარების პირობები.

ცენტრალური ევროპის ქვეყნებში არსებული ფერმერული მეურნეობები ხასიათდებიან არც თუ ისე მაღალი ეფექტიანობით. თვით პოლონეთში, სადაც ფერმერული მეურნეობები თავისუფლად ვითარდებოდნენ ათწლეულების განმავლობაში, თითოეული პოლონელი ფერმერის წარმოების დონე ერთი მესამედით ჩამორჩება

ევროკავშირში შემავალ ფერმერულ მეურნეობებს რაც უპირველეს ყოვლისა აიხსნება ფერმერული მეურნეობების დაქუცმაცებით. დღეისათვის პოლონეთში 2 მილიონშიმდევ ფერმერია და საშუალოდ ერთი ფერმის სიდიდე 8 ჰა-ს შეადგენს, მაშინ როდესაც (EC) საშუალოდ ერთ ფერმაზე საშუალოდ მოდის 18 ჰა მინის ფართობი.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სოფლის მეურნეობაშიც ანალოგიური მდგომარეობაა, როგორც ეს იყო 60-70 წლების წინ განვითარებული ქვეყნების აგრარულ სექტორში. აქედან გამომდინარე საქართველოსაც ესაჭიროება ეკოლოგიურად ყველა სტადიის გავლა აგრარულ სექტორის ფეხზე დასაყენებლად. ამ საქმეში თავისი სიტყვა უნდა თქვას 2013 წელს პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმა „სასოფლო-სამეურნეო კომპერატივების შესახებ“. წარმოდგენილი წარმოებული აქტის საფუძველზე შესაძლებელი გახდება ქვეყნის აგრარულ სექტორში მოქმედი ფერმერული და გლეხური მეურნეობების ჩამოყალიბების შექმნა ჩინეთში სოფლის მეურნეობის განვითარების პირობები.

### თ. ლაშვილიანი,

ეკონომიკის

აკადემიური დოქტორი

### 3. ზეიკიძე,

ეკონომიკის აკადემიური

დოქტორი

### 8. ცინცაძე,

თბილისის სასწავლო

უნივერსიტეტის

პროფესიონი

## გამოყენებული ლიტერატურა

1. კოდუაშვილი, გ. ზიბზიბაძე – სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბ., 2010.
2. უ. სამადაშვილი – ბიზნესის საფუძვლები. თბ., 2007.
3. აგრობიზნესი (გ. ძაგნიძის რედ.) თბ., 2003.

*T. ლაშვილიანი, B. ზეიკიძე, M. ცინცაძე*

## РОЛЬ РАЗВИТИИ В СЕЛЬСКОЙ КООПЕРАЦИИ В ИОВЫШЕНИЕ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ПРЕИЗВОДСТВА

В статье рассмотрены вопросы развития крестьянских, фермерских хозяйств в Грузии. Отлично, что они маломощные, малоэффективные. С учётом опыта развитых стран мира установлено, что одним из основных путей для высокого эффективного их развиия является кооперация маломощных хозяйств - создание в/х кооперативов. Всвязи с этим на янове анализа крестьянских, фермерских хозяйств даны предложения создания с/х кооперативов.

# ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმი ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის საკალრო პოლიტიკაში

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური პა-  
სუხისმგებლობაა ისეთი სასწავლო პროცესის შექმნა,  
რომელიც მოსწავლეს მოამზადებს და კონკურენტუ-  
ნარიანს განვითარების საერთაშორისო მასშტაბით. მან უნდა  
შეძლოს მულტიკულტურულ მსოფლიოში ცხოვრების  
და მუშაობის გაგრძელება.



ასეათ შავშია,  
სოხუმის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის დოქტორანტი

ამის აუცილებელი წინაპირობა კი ინტერკულტურუ-  
ლი განათლებაა, რომლის არსი, უპირველესად, საჭიროა,  
პედაგოგებმა გაიზიარონ. მულტიკულტურულ განათლე-  
ბასთან დაკავშირებული მრავალი პროექტი ევროპის ბევრ  
ქვეყანაში უკვე განხორციელდა და ამჟამადაც მუდმივი  
განვითარების პროცესშია. საქართველოს ამოცანა იყო,  
არის და იქნება, შეიქმნას გამოყენებადი სასწავლო მასა-  
ლა, რომელიც განათლებობს ინფორმაციას, იგი აუცილე-  
ბელია ეფუძნებოდეს მსოფლიო წამყვანი ქვეყნების თანა-  
მედროვე მიღწევებს. მულტიკულტურული განათლების  
პროექტი რთულია. ამიტომაც საჭიროა, ლირებული,  
შესაბამისი დონის სასწავლო-საგანმანათლებლო პროექ-  
ტები შეიქმნას. სწორედ თანამედროვე განმანათლებლები  
უნდა იყვნენ მაღალმოტივირებული ასეთი სახის სასწავ-  
ლო პროგრამის რეალიზაციაში. მასასადამე, პედაგოგის  
მოტივაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბერკეფს წარ-  
მოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის საკადრო  
პოლიტიკაში ეკონომიკური სტიმულირების შესაბამისი  
დონის მექანიზმის გათვალისწინება.

ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში, პედაგოგიუ-  
რი კადრების ეფუძნებიანი მართვის ამოსავალი პოზიციაა  
კარგად გააზრებული საკადრო პოლიტიკის შემუშავება, რაშიც იგულისხმება არა მარტო მოთხოვნების სტანდარ-  
ტის ამაღლება, არამედ ამ სტანდარტების რეალიზაციის  
მასტიმულირებელი მექანიზმების ფორმები და მეთო-  
დები. ასეთი სახის პროგრამების რეალურ ცხოვრებაში  
გატარების სუბიექტია ზოგადსაგანმანათლებლო სკო-  
ლა. ეს უკანასკნელი შეიმუშავებს ქვეყნის საგანმანათ-  
ლებლო სისტემაში წამოჭრილი დასახული ამოცანების  
მიღწევის შიდა განვითარების სპეციალურ პროგრამას,  
რომლის განმხორციებლები არიან თვით ამ სასწავლო  
დაწესებულებაში დასაქმებული პედაგოგიური კადრები.

ისინი მოსწავლეებს სთავაზობენ შესაბამისი სასწავლო  
პროგრამების მიხედვით გათვალისწინებულ ცოდნას. მას-  
წავლებლის დაინტერესება მოსწავლეებისთვის მაღალი  
ხარისხის ცოდნის მიცემაში, პირდაპირაა დაკავშირებუ-  
ლი პედაგოგის შრომის ანაზღაურების დონესთან, ასევე,  
სხვა მატერიალური და მორალური წახალისების ფორმები-  
თან და მეთოდებთან, რომელიც არა მხოლოდ მოცემულ  
ეტაპზეა გამოყენებადი, არამედ, განაპირობებს იმასაც,  
თუ როგორ წარიმართება ეს პროცესი მომავალში, 2 - 5  
წლის შემდეგ. მასწავლებელი უნდა ხედავდეს პერსექ-  
ტივას, როგორ იქნება დაფასებული მისი პედაგოგიური  
საქმიანობა და როგორ აისახება მისი კვალიფიკაცია მა-  
ტერიალური და მორალური სტიმულირების სისტემაში.  
ამრიგად, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის საკადრო  
პოლიტიკასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება, –  
პედაგოგიური კადრების შერჩევა, დასაქმება, პროფესი-  
ული განვითარება, მატერიალური და მორალური სისტე-  
მების გამოყენება და სხვ. – აისახება სკოლის სპეციალურ  
პროგრამებში, დროის გარკვეული მონაკვეთისთვის. მა-  
შასადამე, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ამოცანაა  
კარგად გააზრებული და ყველამხრივ დასაბუთებული  
საკადრო პოლიტიკის შემუშავება, რომელშიც ძირითადი  
ყურადღება უნდა მიექცეს პეგადოგების პროფესიულ  
განვითარებას და ამ პროცესებთან დაკავშირებულ მრა-  
ვალმიმართულებიან ასპექტებს.

კარგად მომზადებული პედაგოგიური კადრების ეფექ-  
ტიანი მართვის პროგრამა განაპირობებს პარმონიული  
ურთიერთობების დამკვიდრებას სკოლაში, რაც ზრდის  
შრომის მოტივაციას და შესაბამისად, მასწავლებლების  
საქმიანობაც უფრო სახალისო, მიმზიდველი და საინ-  
ტერესო ხდება. პედაგოგიური პერსონალის ეფექტიანი  
მართვა, თანამედროვე მენეჯმენტის მიღწევების საფუძ-

## ესცნერება

ველზე, ზოგადსაგანმანათლებლოსისტემის განვითარების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოში მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას, რასაკვირველია, სხვა მიმართულებებთან ერთად, სჭირდება ქმედითი მექნიზმების გამოყენება, რომელშიც უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ეკონომიკური სტიმულირების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას და მის შესაბამისობაში მოყვანას ზოგადსანამანათლებლოს სისტემის წინაშე მდგარი თანამედროვე მოთხოვნებისადმი. არაა დასამალი, რომ ახალგაზრდა თაობის დაინტერესება პედაგოგის პროფესიით არის ძალიან დაბალი. მიზეზად ხმირად მოჰყავთ პედაგოგიური საქმიანობის მატერიალური სტიმულირების შეუსაბამობა იმ შრომის ხარისხთან, რომლის განხვაც, ცხადია, მასწავლებლებს უხდებათ სკოლაში მოსწავლეების აღზრდასა და შესაბამისი განათლების მიცემაში. რასაკვირველია, შესაძლოა ამ დებულებას ჰყავდეს მოწინააღმდეგებიც, იმ არგუმენტით, რომ დღეს შემოლებულია მასწავლებლის სერტიფიცირება და სხვადასხვა გამოცდის ჩაბარების კრიტერიუმი, რითაც შესაძლებელია პედაგოგის შრომის ანაზღაურების გაორმაგება. ბუნებრივია ყოველივე ეს სწორი იქნება იმ შემთხვევაში, თუ გასაორმაგებელი ხელფასის დონე პედაგოგის მიერ შესასრულებელი სამუშაოს ხარისხისა და რაოდენობის შესაბამისი სიდიდე იქნება. ზემოთ ჩამოყალიბებული არგუმენტი, თანამედროვე პირობებში, საკმაოდ საფუძვლიანია, როგორც პედაგოგის პროფესიის არჩევისას, ასევე, ამ თანამდებობაზე პროფესიული მოღვაწეობის პრაქტიკიდან გამომდინარე.

ამრიგად, იმისათვის, რომ პედაგოგის პროფესია გახდეს პოპულარული, შესაბამისად აუცილებელია ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლოსისტემა უზრუნველყოფილი იქნეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლით, არ შეიქმნას პედაგოგიური კადრების დეფიციტი. ამისათვის საჭიროა, სახელმწიფომ

განახორციელოს ზოგადსაგანმანათლებლოსისტემის პედაგოგიური პერსონალის ეკონომიკური სტიმულირების ძირებითი მიერული გარდაქმნა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვაცნობიერებთ საქართველოს დღევანდელ საბიუჯეტო შესაძლებლობებს, მაგრამ როდესაც საქმე ეხება მომავალი თაობისთვის საფუძვლიანი განათლების მიღებას, ვფიქრობთ, მათვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ცოდნის მიცემა მაინც უნდა იყოს ქვეყნის უპირველესი პრიორიტეტი. რადგან თანამედროვე სახელმწიფოებს, მათ შორის, საქართველოსაც უნდა არსებობა ცოდნის ეპოქაში, ცოდნა კი განაპირობებს ქვეყნის მომავალს.

რა თქმა უნდა, მოსაწესრიგებელია მასწავლებლის სტიმულირების პრაქტიკა. დღეს არსებული ბერკეტებით ფაქტურად, შეუძლებელია პედაგოგს გაუჩინო უკეთ მუშაობის სურვილი. თანამედროვე განმანათლებელი ძალზე ცუდ ვითარებაში იმყოფება, ის, ფაქტობრივად, იმის მცდელობაშია, ფიზიკურად გადაირჩინოს თავი, გაექცეს სკოლას, დამატებით იმუშაოს ან კერძო მოსწავლეები აიყვანოს და ცოტათი მაინც გაიუმჯობესოს ფინანსური მდგომარეობა. საქართველოში მასწავლებლის პროფესია იმდენად არაპრესტიული გახდა, რომ განათლების ფაკულტეტის სტუდენტების აპსოლუტურ უმრავლესობას არ სურს პედაგოგობა. აქედან გამომდინარე, სრულიად ნათელია, თუ რატომ დაეცა ჩვენს ქვეყნაში მასწავლებლის პრესტიული საზოგადოების თვალში, რატომ არა აქვთ სკოლის უფროსკლასელებს ლტოლვა პედაგოგის პროფესიისადმი, რატომ ალქვამენ მასწავლებელს ხელმოცარულ ადამიანად. ფაქტი ჯოუტია: ეს პრობლემა კოპლექსურ ჭრილშია გადასაწყვეტი, მხედველობაში გვაქვს ფაქტორების სიმრავლე, მასწავლებლის ხელფასიდან დაწყებული მისი სტიმულირებით დამთავრებული.

დასახელებული პრობლემების მიუხედავად, თანა-



მეცნიერებების განვითარების სამინისტროს მუდმივი, აქტიური თანამშრომლობისთვის და ელიან სასიკეთო ცვლილებების დაწერების ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ მასშია ვლებლის პროფესია, სტრუქტურის თვალსაზრისით, პროფესიების პირველ სამეცნიერებლი. ბეჭედოვანია კითხვაზე, რატომ უნდა გაეხმარდოთ მასშია ვლებლებს ხელფასი საქართველოში? პასუხის სოციალური დატვირთვა ისედაც ნათელია, ხოლო რაც შეეხება ახალი კონცეფციის ძირითად მიზანთან, სწავლა/სწავლების ხარისხის ზრდასთან კავშირს, შევეცდებით პასუხები პუნქტობრივად ჩამოვაყალიბოთ:

- ხელფასის სიმცირე ხელს შეუშლის იმ ძირითად მიზანს, რაც დაისახა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ: კერძოდ, განათლების ხარისხის ზრდას. ფაქტია, რომ კვალიფიციური მასშია ვლებლების საკმაო ნაწილი კერძო სასწავლებლებში არიან დასაქმებულები. ამის მიზეზია არა მარტო ის, რომ ასეთ სკოლებში მათი შრომის ანაზღაურება უფრო მაღალია (სხვათა შორის განსხვავება საჯარო და კერძო სკოლების ხელფასებს შორის დიდი არ არის), არამედ, სასწავლო პროცესის ორგანიზების ხარისხის მაღალიდონებულები ამას, რასაკვირველია, თავისი მიზეზები აქვს;

- საჯარო სკოლებშიც ძალიან ბევრი კვალიფიციური მასშია ვლებელი მუშაობს; თუმცა, მათი უმეტესობა ფინანსური მოტივაციის ნაკლებობას განიცდიან. ცნობილია, რომ მხოლოდ ენთუზიაზმზე დამყარებული საქმიანობა დროთა განმავლობაში აქტუალობას კარგავს. ჩვენი პედაგოგიური საქმიანობიდან გამომდინარე წლების განმავლობაში გვინევს ურთიერთობა საქართველოს საჯარო თუ კერძო სკოლების მასშია ვლებლებითან. მათ შორის ბევრი კვალიფიციური და ძლიერი სპეციალისტია, რომლებიც განიცდიან უკმარისობის გრძნობას, განსაკუთრებით კი მათი შრომის რაოდენობის და ხარისხის თვალსაზრისით. თუმცადა, ამაზე საჯაროდ ნაკლებად მსჯელობენ. სწორედ ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ, ნინო ნამოგვენია არც თუ ისე პოპულარული თემები. ეს პრობლემა რომ სახელმწიფოს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს) აწუხებს, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ 2013 წელს პედაგოგების ნომინაციური ხელფასი 26%-60%-ით (რეალურმა მატებამ შეადგინა 98-164 ლარი), ანუ 60-205 ლარით გაიზრდა და, რიგ შემთხვევებში, 554 ლარით განისაზღვრება, ხოლო თუ მასშია ვლებელი, ამავდროულად, კლასის დამრიგებელია, მისი ნომინაციური ანაზღაურება 626 ლარს შეადგინს და ა.შ. ხოლო სერტიფიცირების შემთხვევაში, აღნიშნულ ხელფასს სერტიფიცირებული პედაგოგის დანამატი - 75 ან 125 ლარი ემატება. გაზრდილ ხელფასს იღებს საჯარო სკოლის ყველა მასშია ვლებელი. სწორედ ამ მიზნით, 50 მლნ. ლარით გაიზარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის ბიუჯეტი. ასევე წლის ბოლოს, გათვალისწინებულია პრემიის სახით 350

ლარის გაცემა (ე.წ. მეცამეტე ხელფასი). თუმცა, არაა დასამალი, რომ მასშია ვლებლების ძალიან დიდ ნაწილში ხელფასის მხოლოდ 60-205 ლარით მომატებამ გარკვეული იმედგაცრუება გამოიწვია. ჩვენი აზრით, აი აქ საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ უნდა მკაფიოდ განუმარტოს საზოგადოებას ამ ნაბიჯის ჭეშმარიტება, რადგან, ხელფასის ზრდას ქვეყანაში გააჩნია თავისი ეკონომიკური ლოგიკა, მან არ უნდა გამოიწვიოს ინფლაციური პროცესები. ამიტომაა, რომ ხორციელდება ხელფასის ეტაპობრივი ზრდის პოლიტიკა, რა თქმა უნდა, შემდეგი ზრდის პერსპექტივით, რომელმაც, ცხადია, უნდა მიიღოს სტაბილური ხასიათი იმისათვის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ შეინარჩუნოს მასშია ვლებლების კონტინგენტი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობის ნარმომადგენლები, რომლებიც უპერსპექტივობის გამო თავს ანებებენ პედაგოგიურ საქმიანობას. ბუნებრივია კარგად გვესმის, ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინების გარეშე ნინასწარ ასეთი დაპირების გაცემა ძალიან ძნელია, მაგრამ, დარწმუნებული ვართ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებაში. ვფიქრობთ, ასეთი განმარტებები და დაპირებები მასშია ვლებლების უმეტესობისთვის გასაგები და მისაღები იქნება, გარკვეულ უკმაყოფილებას ჩააქრობს და, რა თქმა უნდა, მცირეოდენი იმედის ნაპერნკალს მაინც გააჩენს პედაგოგებში, რაც, ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია მათი მოტივაციისთვის.

როგორც ზემოთუკვეთი გამოიყენებულ პედაგოგებს ემატებათ 125 ლარი, მთლიანად ნომინაციური ხელფასის სიდიდე დანამატით შეადგენს 385 - 405 ლარს. აქ, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ პედაგოგების ძალიან მცირე ნაწილს, რომლებმაც ჩაბარეს გამოცდა უცხო ენისა და კომპიუტერის ფლობაში და მხოლოდ საუკეთესო შედეგის შემთხვევაში, მათი ნომინაციური ხელფას შეადგენს 1000 ლარს.

თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში პედაგოგის შრომის ანაზღაურების დადგენილი სიდიდე, ყოველგვარი დანამატით, აფრთხობს დღევანდელ ახალგაზრდებს, რომლებიც ამთავრებენ სკოლას. იმისათვის, რომ მათ აირჩიონ პედაგოგის პროფესია, უნდა ჰქონდეთ გამოკვეთილი ნარმოდებენა, როცა ისინი დაასრულებენ სწავლებას და ჩამოყალიბებას, როგორც მასშია ვლებლები, რა შანსი ექნებათ მათ საბოლოოდ, შეძლებენ თუ არა პედაგოგიური მოღვაწეობით მოაგვარონ პირადი ცხოვრება და არ განაცდიდნენ მუდმივ შიშის, რომ ისინი ვერ გამოკვებავენ საკუთარო ჯახებს მასშია ვლებლების შრომის ანაზღაურებით. სწორედ ამიტომ ნარჩინებული აბიტურიენტების უმრავლესობა დღეს უკვე არ ირჩევს ამ სპეციალობას. ასეანიშნავია, რომ ჩვენი ანკეტური გამოკითხვებით, საქართველოს რეგიონების რამდენიმე სკოლაში (ძირითადად თბილისის, ზუგდიდის, ბათუმის და აფხაზეთისა/რსავარო სკოლები) მეთორმეტე კლასების საუბრის შედეგად, დავადგინეთ, რომ მიმდინარე წელს

## ესცნერება

მათი უმრავლესობა (99%) არ გამოთქვამს სურვილს ჩააბარონ განათლების ფაკულტეტზე. ეს სიტუაცია, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად ამცირებს მომავალში პედაგოგიური კადრების როტაციის დაკმაყოფილებას. რასაკვირველია, როდესაც ვსაუბრობთ ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმის გაუმჯობესებაზე ზოგად-საგანმანათლებლო სისტემაში, ჩვენ ვგულისხმობთ მის შესაბამისობას პედაგოგის კვალიფიკაციასთან, რომლის ამაღლება დღევანდელ სწრაფადცვალებად სამყაროში წარმოადგენს ზემოხსენებული სისტემის ეფექტურობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

მასწავლებლის ასაკობრივი სტრუქტურის, პედაგოგების რაოდენობის შესახებ 2012 წლის მონაცემები [2, 7] ცხრილი №1

როგორც ვიცით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არის სწრაფადგანვითარებადი მიმართულებები: ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია, ისტორია და სხვ. რასაკვირველია, ყველგან აუცილებელია პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება. განსაკუთრებით კი საჭიროა მასწავლებლების წახალისება საქართველოს რეგიონებში.

საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევების შედეგების თანახმად, [1, 7] 2018 წლისთვის საჭირო იქნება 20 000-მდე ახალი მასწავლებლის მომზადება, იმ დაშვებით, რომ არსებული კონტინგენტი დატოვებს სამსახურს მხოლოდ საპენსიო ასაკის მიღწევისას; თუ თბილისში პედაგოგების რაოდენობა საჭიროზე მეტია, რეგიონები მასწავლებლების მკვეთრ დეფიციტს განიცდიან. რამდენიმე საგანმი კატასტროფული მდგომარეობაა (მუსიკა, სპორტი, სამოქალაქო განათლება, ხელოვნება, დაწყებითი კლასების პედაგოგი), ასევე არასახარბიერო ვითარებაა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განმანათლებლების ნაკლებობის მხრივაც. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით დღეს კერძოდა საჯარო სკოლებში 69828 მასწავლებელია დასაქმებული [ცხრილი №1].

დედაქალაქსა და რეგიონებში 50 წლის და მეტი ასაკის მასწავლებლების ყველაზე დიდი ჯგუფია, ხოლო ნაკლებასაკიანი ჯგუფების რაოდენობა სულ უფრო და უფრო მცირდება. პედაგოგების ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ არსებული მონაცემები მეტყველებს, რომ ეს პროფე-

სია, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, ახალგაზრდებისთვის კარგავს მიმზიდველობას. დღევანდელი სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში წინასაპენსიო და საპენსიო ასაკის პედაგოგების რაოდენობა მასწავლებლების საერთო რაოდენობაში აჭარბებს 41%-ს (თითქმის 28 000 მასწავლებელი).

ეს რაც შექება საჯარო და კერძო სკოლებში დასაქმებული პედაგოგების ასაკობრივ სტრუქტურას დღევანდელი მონაცემებით. ახლა კი განვიხილავთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დასახული ღონისძიებების მიმდინარეობისა და შედეგების გავლენას საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგიური პერსონალის კვალიფიკაციის დონის ამაღლების საქმესა და პედაგოგების მატერიალური სტიმულირების ხარისხზე.

დღეისათვის მასწავლებლების საერთო რაოდენობა შეადგენს 69828-ს, აქედან სერთიფიცირებულია 8606 პედაგოგი, მათ შორის 394 მამრობითი, ხოლო 8212 მდედრობითი. [3, 8].

არსებული სტატისტიკის თანახმად, საქართველოში, სამი წლის განმავლობაში (2010-2012 წლები), 68584 პედაგოგიდან სერთიფიცირებულია 9,895 (14,38%). ამ ტენდენციის მიხედვით, საეჭვოა, რომ 2015 წლის 1 იანვრამდე მასწავლებლების სრული კონტინგენტი იყოს სერთიფიცირებული. კანონი კი, 2015 წლის იანვრიდან პედაგოგობის უფლებისთვის მათ ავალებულებს იყვნენ სერთიფიცირებულები. ასევე ამ მოსაზრებას ამყარებს ის რეალობა, რომ სასერტიფიკაციო გამოცდები ტარდება წელიწადში ერთხელ, შესაბამისად კი დარჩენილია მხოლოდ 2 საგამოცდო ციკლი.

აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე, ხარისხიანი სწავლების თვალსაზრისით, გამოვყოფთ რამდენიმე ძირითად პრობლემას, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარების თანამედროვე პირობებში:

- მასწავლებლების დაბალი მოტივაცია და დაბალი კომპეტენციები;
- პედაგოგების რაოდენობა და ასაკობრივი სტრუქტურა;
- განმანათლებლის პროფესიის არაპრესტიულობა;

### გასცავლებლების გადანაწილება ასაკის მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფები	20 წელზე ნაკლები	20-30	30-40	40-50	50-და წინა საპენსიო	საპენსიო
რაოდენობა	24	7057	16410	17756	18084	10497
ასაკობრივი ჯგუფების წილი საერთო რაოდენობაში	0,003%	10,10%	23,50%	25,43%	25,90%	15,03%



- შემოქმედებითი აზროვნების დაბალი დონე;
- მასწავლებლის (როგორც ინდივიდის) სოციალური დაუცველობა;
- პედაგოგის პროფესიაში კარიერული ზრდის შესაძლებლობების არარსებობა;
- სკოლის დონეზე პედაგოგების პროფესიული განვითარების ნაკლები მხარდაჭერა.

შესაბამისად, საქართველოში პედაგოგის პროფესიის გაზრდა უნდა მოხდეს:

ა) მასწავლებლის ანაზღაურების მინიმუმი (არა-სერტიფიცირებულის) ერთ პედაგოგზე სასურველია შეადგენდეს მშპ-ს 100%-მდე ერთ სულ მოსახლეზე (წელიწადში 3098 ლომარია) 2014 წლიდან. მშპ-ზე ხელფასის მიბმა უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების ზრდას ეკონომიკის ზრდის პარალელურად. ამ და შემდეგი პუნქტის განსახორციელებლად საჭიროა სასკოლო დაფინანსების ბიუჯეტის ზრდა. მასწავლებლებისთვის ხელფასის ზრდის უზრუნველყოფა დაახლოებით 20 წლის პერსპექტივაში უნდა იყოს ცნობილი და საჭიროა მიერა მშპ-ს;

ბ) ხელფასის ზრდა უნდა იყოს შესაძლებელი მასწავლებლის სტატუსის ამაღლებით, კარიერულ კიბეზე მისი წინსავლით, რომელიც უნდა ასახავდეს განმანათლებლის კომპეტენციების ზრდას და მიბმული არ უნდა იყოს პედაგოგად მუშაობის ხანგრძლივობაზე. მრავალი კვლევით დასტურდება, რომ განმანათლებლად მუშაობის ხანგრძლივობა არ გულისხმობს კომპეტენციების აუცილებელ ზრდას. მაშასადამე, მასწავლებლის ხელფასის ზრდა უშუალოდ უნდა დაუკავშირდეს მის მიერ კვალიფიკაციის ამაღლებას და არა პედაგოგიური საქმიანობის სტაჟს. ამავდროულად, გამორჩეულად წარჩინებული, ღვანლმოსილი და მონინავე მასწავლებლებისთვის უნდა შეიქმნას განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური პირობები, აქ საუბარია პედაგოგების მატერიალური და მორალური წახალი-სების განსაკუთრებულ სისტემაზე.

საგანმანათლებლო სისტემაში პედაგოგიური საქ-

მიანობის მატერიალური და სხვა ფორმის წახალისების სისტემის ძირული გარდაქმნა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- მასწავლებლის ანაზღაურების მინიმუმს, რომელიც განისაზღვრება სატარიფო განაკვეთით;
- მასწავლებლის სატარიფო საბაზისო განაკვეთის გადახედვა - მნიშვნელოვნად გაზრდის თვალსაზრისით, პედაგოგის 18-სათიანი დატვირთვიდან გამომდინარე.

ზემოთ ჩატარებული მსჯელობიდან აშკარად ჩანს, რომ მოცემული პრობლემის გადაწყვეტა საჭიროებს სპეციალური პროგრამის შემუშავებას, რომელიც გაიწერება ყველა ნაბიჯი, შესრულების ვადები და ლონისძიებების სისტემა, რომლის განხორციელების შედეგად ქვეყანაში შეიქმნება პედაგოგის, როგორც ინდივიდუალური ინტერესის მატარებლის, სტიმულირების მექანიზმი მისი მოღვაწეობის დაწყების დღიდან მთელი სიცოცხლის ხანგრძლივობის განმავლობაში. ამისათვის საჭირო ფინანსური რესურსები დათვლადია, რაც საშუალებას იძლევა დადგენილი იქნეს დაგეგმილი მიმართულებების განხორციელების ვადები. შესაბამისად, შესაძლებელი გახდება ქვეყანაში შეიქმნას პედაგოგიური პერსონალის მატერიალური წახალისების კომპლექსური და ყოვლისმომცველი სისტემა. ბუნებრივია დაისმება კითხვა, თუ რას უნდა მოიცავდეს ზემოხსენებული პროგრამა. პირველ ეტაპი: ჩვენი ხედვით, საჭირო იქნება შესაბამისი განათლების მიღების მსურველების წახალისების სისტემის და სახელმწიფოს მხრიდან პედაგოგიური პროფილის სტუდენტებისთვის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სწავლის სრული დაფინანსება, შეკვეთების წესით, რომელსაც საჭიროებს ყოველწლიურად ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის პედაგოგების თაობების ცვლის მოთხოვნების დაკმაყოფილება (პედაგოგების საერთო რაოდენობის 15-20% ანუ 7 000-10 000 მასწავლებელი). მეორე ეტაპი: საჭიროა გადაიხედოს საბაზისო სატარიფო სისტემა, რომ სრული დატვირთვის მქონე პედაგოგს შესაძლებლობა ჰქონდეს

## გეცნიარება

მთელი მისი საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო შრომით დაიკმაყოფილოს პირველადი მოთხოვნილებები. **მესამე ეტაპი** ეხება საპენსიო პერიოდში თაობების ცვლის წახალისებას. აქ საუბარია ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის საპენსიო ასაკის პედაგოგების პენსიაზე გასვლის წახალისებაზე. საჯარო მოხელეების საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა ჩვენი ხედვით გულისხმობს, რომ პენსიაზე გამსვლელ პედაგოგს უნარჩუნდება ბოლო სამი წლის სამუშალო ხელფასის გარკვეული პროცენტი. ეს კი წახალისებს საპენსიო ასაკის პედაგოგებს, რომ გამოათავისუფლონ სამუშაო ადგილები მასნავლებლების ახალი თაობის ჩანაცვლების მიზნით და ერთდროულად შეინარჩუნონ საკმაოდ მაღალი საპენსიო ანაზღაურება. რადგან პედაგოგობა არის საჯარო მოხელეების მიმართ არსებული წესების გამოყენების გავრცელება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თუ საპენსიო ასაკს მიღწეული მასნავლებელი მოინდომებს კუთვნილ პენსიაზე გასვლას, მას უნდა დაენიშნოს მისი სახელფასო განაკვეთის 80%. ეყოველივე ეს კი, როგორც უკვე ზემოთ ითქვა უზრუნველყოფა კადრების ცვალებადობას და სამუშაო ადგილების გაჩერნას ახალი თაობის პედაგოგებისთვის.

**ამრიგად, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში** ჩვენ ვიღებთ პედაგოგიური კადრების ეფექტუანი მართვის ინოვაციურ და ერთიან მოდელს. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი საჭიროებს ლოგიკურ გააზრებას და მის ფორმირებაში გამოცდილი მასნავლებლების, განათლების სისტემაში ჩახედული სპეციალისტების, განათლების სისტემის მმართველი რგოლების და სა-

ქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის აქტიურ კონსულტაციებს და კოორდინაციას. რასაკვირველია, ამ მოდელის დანერგვის შემდეგ უფრო მეტად გაიზრდება პედაგოგის კვალიფიკაციის მოთხოვნა, რაც ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია დროის გარკვეულ მონაცვეთში, რომლის დასაწყისი და დასასრული მკვეთრად იქნება განსაზღვრული და აუცილებლად შესაბამისობაში იქნება რეალობასთან იმისათვის, რომ პედაგოგებისთვის ყოველივე ზემოხსენებული სიახლე არ იყოს მიულწეველი მოლოდინი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი „ახალი განათლება“, „მასნავლებელთა მომზადების და კარიერული ზრდის კონცეფცია (სრული ვერსია)“, გვ. 3-4, №3 (597), თბ., 2013წ; ლორთქიფანიძე ბ., „რამდენიმე მოსაზრება საგანმანათლებლო სფეროში დაგეგმილი ზოგიერთი ცვლილების შესახებ“, გვ. 9, №1 (595), თბ., 2013წ; ნაჭყებია დ., „შვიდი პუნქტი“, გვ. 3-4, №39 (593), თბ., 2012წ.;
2. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებგვერდი: [www.emis.ge](http://www.emis.ge);
3. <http://catalog.edu.ge/index.php?module=statistics&page=statistics&item-id=38>;
4. Петров А. Стратегический менеджмент / Спб: Питер, 2008г;
5. Ames, A., C.. (1991). Motivation: What teachers need to know. University of Illinois.

## ECONOMICAL STIMULATE MECHANISM OF AN EDUCATIONAL PROCESS IN THE STAFF POLICY

**ASMAT SHAMUGIA,  
Postdoctoral student of Sukhumi State University**

### Summary

The market economics, development on modern stage in front of general education system's raises in a new manner the whole of row problems, from which the most important is effective use the staff potential as much as it possible. In order to, the aim suit achievement, the school should have in all its aspects well-founded staff policy.

Hence, the staff policy is the staff work principles, methods, forms, aims and problems collaborate, organization mechanizes in whole, which is direction to the staff potential collaborate, strengthening and development.

The staff policy cares for making skilled and highproductivity connected staff policy, which will have the ability for timely respond to market pulsating requests for school development and its personal manage strategies forming, which for one's part founds school general development strategy.

The estimation policy, which is used by the teachers has more meaning for motivation. The estimation policy means estimation standards, criterions, concrete methods and their frequency using.

In addition to estimation, there is also very important to discuss the encouragement police issue. To the final aim achievement rearrangement each step can, kindles human's motivation for the future effective steps realization. To say with another words, small success could cause more stimulation to achieve much more success.

In that way, the teacher's role is decisive on the stage of educational process and it is impossible, the education system to be mighty and functional without professional teachers.

Hence, desire, affair love and including in modern educidative processes the teachers help a lot on the way of professional development.

In up designation directions have many interesting sides. We denote that as many professionals include such sort of problems learn and value, as much objective and healthy will be exposed of school manager's manage quality.

# სოფლის ტურიზმის განვითარების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში

სტატიაში მოცემულია ტურიზმის განვითარების თეორიული საკითხები, გაანალიზებულია ტურისტული სფეროს დაწესებულებები მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები. საერთაშორისო და სოფლის ტურიზმის თეორიული საფუძვლები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში. გაკეთებულია დასკვნები და მოცემულია წინადადებები ტურიზმის მთლიანად და მათ შორის სოფლის ტურიზმის განვითარებისათვის.

მხოლოდ გონივრულად აგებული მარკეტინგული სტრატეგია, რომელიც თავს უყრის ფავორიტულ მიმართულებას ტურისტულ ბაზრებზე და ქვეყნის სასარგებლოდ ნარმართავს მათ, საშუალებას გვაძლევს ტურიზმი ყველაზე შემოსავლიან და შემადგენელ სექტორად იქცეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში. მაგრამ ყველა სიძლიერე, მათ შორის მარკეტინგულიც, არაფრის მაქნისი, ამაო იქნება თუკი ჩამოსულ ტურისტებს არ უზრუნველყოფით მსოფლიო სტანდარტების დონეზე მომსახურებით, სწორედ ამიტომ საჭიროა გონივრული და კომპლექსური მიდგომა ტურისტული მოღვაწეობასა და ლიცენზირებისათვის.

ტურიზმის სახეებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფლის ტურიზმი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა, რომელიც ფლობს მდიდარ და ძალზე ძალაში ბუნებრივ პირობებს განსაკუთრებით საინტერესოა უცხოელი ტურისტებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის ტურიზმის მიმართ მსოფლიოში ინტერესი დღითიდელე მატულობს. ამ ინტერესს აიგივებს ისიც, რომ ხალხი მზეს, ზღვას და ქვიშას ცვლიან პეიზაჟზე, ტრადიციებსა და ბუნებაზე. ამასთან ერთად ყველა ქვეყანა მიისწრაფვის რათა შექმნას სოფლის ტურიზმის განვითარების ეროვნული მოდელი.

დასავლეთ ევროპის რიგ განვითარებულ ქვეყანაში, ისეთები, როგორიცაა: საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, პოლანდია, ირლანდია, გერმანია, ესპანეთი სოფლის ტურიზმით დაკავებულები წახალისდებიან ეროვნულ დონეზე და განიხილება როგორც სოფლის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის განუყოფლი ნაწილი. განვითარებულ ქვეყნებში სოფლად ტურისტული მოგზაურობა მეორე ადგილზეა ზღვაზე დასვენების შემდეგ.

მრავალ ქვეყანაში ტურიზმის ეს სახე გახდა ეროვნული სოფლის ლანდშაფტის დაცვისა და აღდგენის მთავარი მიმართულება – სწორედ ამნაირად იქნა დაცული მშვენიერი ალტრი ვილები შევიცარიაში, წისქვილები და არხები ნიდერლანდებში, ძველი პარკები და ვილები იტალიაში.

სასოფლო-სამეურნეო სექტორში კრიზისი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია თანამედროვე სოფლის ტურიზმის განვითარების, ფერმერობა იცვლება აგრობიზნესით, ხოლო, მექანიზაცია და მოდერნიზაცია მთლიანად ცვლიან სოფლის სინამდვილის სახეს. ეკოროპის სოფლის მეურნეობის ბევრ რეგიონში ფაქტიურად სოფლის მეურ-

ნეობა აღარ არის მიწის გამოყენების ძირითადი ფორმა და სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი საქმიანობა.

კომლთა რაოდენობა, რომლებიც მხოლოდ სოფლის მეურნეობაში მუშაობენ მთლიან მიმუშავეთა რაოდენობაში საბერძნეთში – 30%-ია, პორტუგალიაში – 24%, ესპანეთსა და ირლანდიაში 17%, იტალიაში. 12%, ბელგიაში და დანიაში, ნიდერლანდებსა და დიდ ბრიტანეთში 2-დან 7%-მდე მერყეობს. საქართველოში ეს მაჩვენებელი ძალზე მაღალია და 50%-ზე მეტია. გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ ევროპის ქვეყნებში ქალაქის მცხოვრებთა 35% უპირატესობას ანიჭებს სოფლად შვებულების გატარებას. ნიდერლანდებში იგი 49%-ია.

ევროპაში ორგანიზაციული სტრუქტურებია, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის ტურიზმის მომსახურებას ბაზაზე პირველ პლანზე წამოწევას. ასეთ ცნობილ სტრუქტურებს წარმოადგენს სოფლის მწვანე ტურიზმის ევროპული ფედერაცია – „EUROGites“, ეს ორგანიზაცია დაარსდა 1989 წელს. ფედერაცია აერთიანებს ევროპის 17 ქვეყნის 20 ასოციაციას. ეს ქვეყნებია: გერმანია, ავსტრია, ბელგია, ესპანეთი, ფინეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ლიტვა, ლუქსემბურგი, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, შვეცია, შვეიცარია. ქსელი 30000 კერძო მფლობელია გაერთიანებული, რომლებიც სტუმრებს სთავაზობენ 130000 საცხოვრებელ ინდექსს მთელ ევროპაში.

მსოფლიო პრაქტიკით დადგენილია, რომ სოფლის ტურიზმის ელექტრონული მომსახურება კონკრეტური პროდუქტების გადაწყვეტას, რამდენადაც იგი უზრუნველყოფს:

- სოფლის მოსახლეობის და პირველ რიგში ქალების დასაქმებას;
- სოფლის მცხოვრებელთა შემოსავლისა და ცხოვრების დონის ამაღლების შედარებით მცირე ფინანსური დანახარჯების დროს;
- სოფლისა და ეზოების (ნაკვეთების) კეთილმოწყობა, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- პირად დამხმარე მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება;
- ადგილზე, პირად დამხმარე მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია, კერძოდ კვების მზა პროდუქციას;



- ადგილობრივი ღირსშესანიშნაობების, წესჩეულების, ფოლკლორის, ხალხური რეწვის სტიმულირება;
- სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლება;
- შეიძლება იყოს დამატებითი წყარო ადგილობრივი ბიუჯეტის შევსებისთვის;
- არ საჭიროებს დამატებით მნიშვნელოვან ინვესტიციებს და უმეტესად გამოიყენებიან ადგილობრივი დაფინანსებიდან, ხოლო კაპიტალდაბანდები სწრაფად ამოიგება;
- ნაილობრივ ათავისუფლებენ პოპულარულ ტურისტულ ცენტრებს, ამცირებს ნეგატიურ ეკოლოგიურ შედეგებს ძალზე პრესტიული, ტურისტული საქმიანობის დროს.

მსოფლიო ტურისტული ინდუსტრია მზარდი გლობალიზაციის პირობებში წარმოადგენს პრიორიტეტულ ინტერესს და პერსპექტივას საქართველოსთვის. ბუნებრივი უნიკალური პოტენციალის და კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებით საქართველო აუცილებლად პარმონიულად უნდა ინტეგრირებდეს მსოფლიო ტურისტულ სივრცეში და ქვეყანაში ტურისტულმა ინდუსტრიამ ინტენსიურ განვითარებას უნდა მიაღწიოს, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობას დასაქმების და შემოსავლიანობის მყარმატებას ტურისტულთან მონათესავე დარგების სტიმულირებასთან ერთად. ეს კი უცხოური ინვესტიციების მოზიდვასაც შეუწყობს ხელს.

თანმიმდევრული სწრომი პოლიტიკის რეალიზაციისა და განხორციელებული საბაზრო რეფორმების წყალობით

დღევანდელ პირობებში უკვე შეიქმნა ისეთი ტურისტული მომსახურების ბაზარი, რომელშიც ჭარბობს კერძო სექტორი. ქვეყანაში დღეისათვის არსებული მომსახურების ინფრასტრუქტურა ვერ პასუხობს აქტიურად განვითარებად ტურიზმის მოთხოვნებს, მაგრამ ის შეიძლება გახდეს საფუძველი ახალი უფრო თანამედროვე ინფრასტრუქტურისა, რომელიც უპასუხებს მრავალ სტანდარტებს და გაითვალისწინებს ეკოლოგიურ მოთხოვნებს.

საქართველოში ტურისტთა რაოდენობა 2000 წელს 387 ათასზე მეტი იყო, 2008 წელს შესაბამისად 3-ჯერ და 3,5-ჯერ გაზარდა. 2012 წელს მან 2 მლნ ტურისტზე მეტს მიაღწია. ზრდადა მშპ-ში ტურპროდუქციის ხევდრითი წილი 2008 წლის 8,5% გათვალისწინებულია 2013 წელს გაიზარდოს 15,9%-მდე.

საქართველოში დარგის სუბიექტების სტრუქტურაში ფუნქციონალური თავისებურებების მიხედვით შეიძლება გამოყოფა შემდეგი ძირითადი ინსტიტუტები:

- **საწარმო;**
- **საკანონმდებლო და დარგის სამმართველო;**
- **მაკონტროლებელი;**
- **საზოგადოებრივი;**
- **ინფრასტრუქტურა;**
- **საგანმანათლებლო;**
- **დანარჩენი.**

დარგის საფუძველია – ტურისტული მომსახურებით მწარმოებლები და ნორმატიულ-სამართლებრივი ფაზა, რომელიც არეგულირებს დარღსა და მენარმეობას. როგორც ცნობილია ტურისტული პროდუქტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:



- ტრანსპორტი;
- განთავსება;
- კვება;
- მიმზიდველობა;
- თანხლება;
- აღჭურვილობა.

ამ შემადგენელი ნაწილების მწარმოებლურ და ორგანიზაციორები არიან ძირითადი დაწესებულებები, რომელთა მეშვეობითაც დარგის ერთობლივი მიდა პროდუქტის ფორმირება ხდება.

ტურისტების ძირითადი ნაკადის ჩამოსვლა კერძო ფირმების ხელშეწყობით ხდება. ეს კერძო ინდუსტრიის სექტორი საქართველოში 1990-იან წლებში ჩამოყალიბდა, როცა შეიქმნა რეალური შესაძლებლობები კერძო მეწარმეობის განვითარებისთვის მოუხედავად იმისა, რომ დღეისათვის საქართველოში 2500-მდე მოქმედი სუბიექტია აღიარებული ამ სფეროში ტურისტული მიღებით დაკავებული კერძო ფირმების 90% შეადგენენ.

ძირითად ტურისტულ მომსახურებას, რომლებსაც გვთავაზობენ ეს ფირმები წარმოადგენენ: ავიაბილეთების დაჯავშნა და გაყიდვა; ტრანსპორტისა და სასტუმროს დაჯავშნა; ტურისტების დახმარება და განთავსება (დაბინავება); ვიზების, დაზღვევის პოლისების, პასპორტების განვითარების მომსახურება გიდ-თარჯიმნის მომსახურება; ტურებისა და მოგზაურობების ორგანიზება; სატრანსპორტო და საექსკურსიო მომსახურება საკუთარი

რესურსებით და აგრეთვე უცხოელი პარტნიორების დახმარებით სხვადასხვა მომსახურების განევა.

ტურისტული გადაადგილებები გვევლინება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად ტურისტულ ინდუსტრიაში. საქართველოს ამ მხრივ ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა აქვს და ეს ხელს უწყობს ძირითადი ამოცანის რეალიზებას – გახდეს ქვეყანა ხელმისაწვდომი უცხოელი ტურისტისთვის. ჩვენთან ტრანსპორტით მოსმახურების სურათი ასეთია: ავტობუსით მოგზაურობდა – 47%, საკუთარი ავტომობილით – 28%, ნაქირავები ტრანსპორტით – 5%, საერთაშორისო ავიახაზებს შე მოდის 12%; საქართველოს ავიახაზებზე – 3%, მატარებლებზე 3 და საზღვაო ტრანსპორტზე – 3%.

ტურისტების გადაყვანიდან მიღებული შემოსავალი 2004 წელთან შედარებით თითქმის 2-ჯერ გაიზარდა. სასტუმრო მეურნეობა გვევლინება ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად ტურისტულ ინდუსტრიაში, რომლის გარეშეც შეუძლებელია დარგის განვითარება. სასტუმრო ინდუსტრია წარმოდგენილია განთავსების საშუალებებით როგორიცაა: სასტუმროები, სპეციალიზებული. განთავსების საშუალებები. კერძოდ არსებულ 1051 განთავსების საშუალებებში 34751 საწოლია, ადგილობრივ სასტუმროებზე მოდის 63%; სასტუმრო სახლებზე 16 და საოჯახო სახლებზე 16%. უმნიშვნელოვანესია კვების ინდუსტრია, რომელიც წარმოდგენილია რესტორნებით, ბარებით, კაფეებით, სასადილოებით, მზა

## ესცნერება

კვების ობიექტებით.

ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება დაგასაკვნათ, რომ როგორც მთლიანად, ასევე სოფ-ლის ტურიზმის პრობლემების გადაჭრისთვის საჭიროა:

სახელმწიფო თავის თავზე აიღოს ფუნქცია იმისა, რომ კონკრეტული გაუნიოს ტურისტული დარგის განვითარებას, შემოსავლიანი დარგის თვალსაზრისით;

აუცილებელია სახელმწიფო მმართველობის სისტემის რეფორმა, რომელიც გამიზნული იქნება ბიუროკრატიული პირობების შემცირებისკენ. აგრეთვე უნდა შეიქმნას მექანიზმი, რომელიც მიმართული იქნება ამ სფეროში ქრონიკული და კორუუფციის აღმოფხვრისაკენ. აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერისა და ხელშეწყობის მოქნილი სისტემის შემუშავება.

ტურიზმი ესაა-დამოუკიდებლობის, კავშირების და მოვლენების ერთობლიობა, რომელიც ასახავს მოგზაურობას და ადამიანების ყოფნას მართვის სასურველ ადგილებში. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ცივილიზაციის განვითარების დონესთან.

ტურიზმი დღეისთვის წარმოადგენს ეკონომიკური მოღვაწეობის ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურად განვითარებულ დარგს. განურჩევლად იზრდება ტურიზმის გავლენა, როგორც მსოფლიო ეკონომიკაზე მთლიანად, ასევე ფალკეული ქვეყნებისა და რეგიონების ეკონომიკაზე მთლიანად.

ეროვნულ ეკონომიკაში ტურიზმი მსხვილ დამოუკიდებელ დარგად იძლევა, რომლის მოღვაწეობაც მიმართულია მოსახლეობის სპეციფიკური მოთხოვნილებების და კმაყოფილებისკენ. ამ მოთხოვნილებების მრავალსახეობათა და კმაყოფილება ხდება არა მარტო ტურისტული დაწესებულებების მიერ, არამედ სხვა დარგებიდანაც, რაც ტურიზმის, როგორც ერთ-ერთი ფაქტორის გავლენას განაპირობებს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე.

ტურიზმი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მსოფლიო ინტეგრაციული პროცესებისა, ხოლო, ტურისტული ბიზნესი ხდება დღეისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორი ეკონომიკაში.

საქართველო ფლობს რა უნიკალურ ბუნებრივ რესურსებს და თვითმყოფად უძველეს კულტურას, უზარმაზარი გამოყენებული პოტენციალი გააჩნია ტურიზმის განვითარებისთვის მართვის და რეგიონალურ ბაზარზე.

ტურიზმის სფერო წარმოადგენს მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოსათვის და ჩვენს პირობებში კი მას გამხსნელი მნიშვნელობა აქვს სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებში, რომლებიც ეკონომიკური განვითარების ლიბერალიზაციისაკენ არის მიმართული.

და ბოლოს: ტურიზმი მჭიდროდაა დაკავშირებული ცივილიზაციის განვითარების დონესთან. ამ დონეზე დამოკიდებულია შემოთავაზებული მოგზაურობის კომფორტაბელურობა და სიხშირე, საზოგადოების ინფორმირებულობა დასვენების მიმზიდველი ადგილების შესახებ; უსაფრთხოება – რომელიც განისაზღვრება არა მარტო ბუნებრივი პირობებით, არამედ, პოლიტიკური გარემოთი ქვეყნის შიგნით და გარეთ, ასე და იმგვარად რაც მოგზაურობის მიზანს წარმოადგენს.

**თ. ლაჭებაიანი,  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი  
მ. ციცაძე,  
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი პროფესორი  
ნ. ნატოშვილი,  
აკადემიური დოქტორი**

## ლიტერატურა

1. მესტვირიშვილი გ. ტურიზმის ეკონომიკა. თბ., 2002.
2. საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის მიმოხილვა. თბ., 2012.
3. მეტრეველი მ. ტურიზმი და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში. თბ., 2002.
4. Балабанов И.Т. Экономика туризма. Учебное пособие. М. 2002.

*Т. Лачебиани, М. Цинцадзе, Н. Натроцвили*

## НЕКОТОРЫЕ СПЕКТЫ РАЗВИТИЯ СОЛЬСКОГО ТУРИЗМА В ГРУЗИЕ

### РЕЗЮМЭ

В статье дан теоретические вопросы развития туризма, проанализирована основные направления обеспечения начальства обслуживания в учреждениях туристической сферы, теоретические основы в целом и в том числе сельского туризма и перспективы его развития в Грузии. Сделано заключение и даны предложения для развития этой отрасли экономики в стране.

# რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ზეგავლენა უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებზე განვითარებად ქვეყნები

რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის მსოფლიო ეკონომიკის განვითრების უმთავრესი დამახასიათებელი თავისებურებაა, რასაც ვაჭრობის, კაპიტალისა და წარმოების ინტერნაციონალიზაცია განაპირობებს.

ტერმინი – **რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია**, როგორც წესი, გულისხმობს, რეგიონული საგაჭრო ბარიერებისა და კაპიტალის მოძრაობის შეზღუდვების შემცირებას. უცხოურ ინვესტიციათა შესახებ ადრეულ თეორიულ ლიტერატურასა და ემპირიულ კვლევებში ვაჭრობა და კაპიტალი განიხილება,

როგორც უცხოური ბაზრის მომსახურების ურთიერთჩანაცვლებადი რეჟიმი. ვაჭრობასა და წარმოების ფაქტორთა მობილობას შორის არსებული ურთიერთვავ-შირი ხაზს უსვამს სატარიფო ბარიერების მნიშვნელობას იმპორტშემცვლელი უპი-ების განხორციელებაში. ზოგადად კი, ტარიფების მთლიანი შემცირება განაპირობებს უპი-ების მცირე ნაკადებს და ასტიმულირებს ტეკ-თა აქტივების „რეპატრიაციას“ ბაზირების ქვეყნებში. ფირმა, რომელიც უცხოურა საერთაშორისო საქმიანობას, საჭიროებს ისეთი არამატერიალური აქტივების ფლობას, როგორიცაა: **ტექნოლოგიური და მარკეტინგული გამოცდილება**, რომელთა მეშვეობითაც ისინი კონკურენტული უპირატესობას იძენენ. აღნიშნული აქტივების ეფექტიანი გამოყენება ზოგჯერ მოითხოვს უცხოური ფილიალების დაარსებას საზღვარგარეთ, რამდენადაც უცხოურ ბაზარზე შესვლის სხვა რეჟიმი, როგორიცაა ექსპორტი და ტექნოლოგიათა ლიცენზირება, დაკავშირებულია ბიზნესგარიგებების შედარებით მაღალ დანახარჯებთან. ამრიგად, უპი-ები ხორციელდება მარინაც, როდესაც ქვეყნებს შორის არ არსებობს ფორმალური საგაჭრო ბარიერები, თუმცა სავაჭრო შეზღუდვების ლიბერალიზაცია უმეტესწილად მიმზიდველია ექსპორტისთვის, რამდენადაც რეგიონული ბაზრების მომსახურების შედარებით ეკონომიური ფორმაა.

ავტორებმა **მ. ბლომსტორმისმა და ა. კოკომი<sup>1</sup>** გამოიკვლეუს რეგიონული ინტეგრაციის ზეგავლენა უპი-ების შემოდნებაზე. მეცნიერების დასკვნით, არსებობს ინტეგრაციული გაერთიანებების განსხვავებული ზეგავლენა უპი-ების ნაკადებზე, კერძოდ:

\* რეგიონული ინტეგრაციის ზეგავლენა უპი-ზე და-მოკიდებულია მიმღებ ქვეყანაში განხორციელებულ უცხოურ ინვესტიციათა ფორმებზე;

\* რეგიონული ინეგრაციის ზეგავლენა უპი-ებზე განსხვავებულია ბლოკის წევრ ქვეყნებსა და სხვა ქვეყნებს შორის;

\* რეგიონული ინტეგრაციის უპი-ებზე ზემოქმედების ანალიზისას მნიშვნელოვანია, განისაზღვროს საგარეო ვაჭრობისა და უპი-ების ურთიერთდამოკი-



დებულება, წარმოადგენენ ისინი სუბსტიტუტებს თუ ავსებენ ერთიმეორეს;

\* რეგიონული ინტეგრაციის ზეგავლენა უპი-ებზე დამოკიდებულია საგარეო ვაჭრობის სატარიფო და არასატარიფო ბარიერებზე.

\* და ბოლოს: რეგიონული ინტეგრაციის ზემოქმედება უპი-ებზე დამოკიდებულია ინვესტიციათა მიმღები ქვეყნის რეგიონულ ბლოკში ადგილმდებარეობაზე. კერძოდ, სად მდებარეობს ქვეყანა: რეგიონული ბლოკის ცენტრალურ, თუ პერიფერიულ ნაწილში.

რეგიონული ინტეგრაციის ზეგავლენა რეგიონის წევრ ქვეყნებზე განისაზღვრება უპი-ების სახეების მიხედვით. აღნიშნული ეხება კერძოდ, ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად ორიენტირებულ უპი-ებს. ჰორიზონტალური უპი-ები ეფუძნება ორი ძირითადი ფაქტორის არსებობას: დადებითი სავაჭრო ხარჯებისა და ფირმათა დონეზე მასშტაბის ეკონომიკას. აღნიშნული სახის ინვესტიციების ძირითადი მიზანია თავიდან აიცილოს სატრანსპორტო დანახარჯები და მიიღოს საგარეო ბაზრებზე იოლი წვდომა. ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი მოდელი ფირმათა დონეზე მასშტაბის ეკონომიკას მიიჩნევს ჰორიზონტალური უპი-ების მამოძრავებელ ძალად, ეკუთვნის მარკეტებს. ბრეინარდმა<sup>2</sup> 1993 წელს უფრო ზოგად მოდელში მასშტაბის ეკონომიკის არსებობა განიხილა ფირმათა და საწარმოთა დონეზე, რომელიც დაკავშირებულია სატრანსპორტო დანახარჯებთან. ბრეინარდის მოდელის მამოძრავებელი ძალაა ალტერნატივის არსებობა ბაზრის სიახლოეს (რომელიც საშუალებას აძლევს ფირმას, თავიდან აიცილოს სატრანსპორტო დანახარჯები) და მასშტაბის ეკონომიკას შორის, თუ წარმოება იქნება კონცენტრირებული ერთსანარმოში. ახალი საწარმოს მშენებლობისას მასშტაბის ეკონომიკის

2 Brainard, S. Lael. "An Empirical Assessment of the Factor Proportions Explanation of Multinational Sales ." NBER Working Paper #. 4583, 993.

## ესცნერება

განაპირობებს მუდმივი ხარჯები. მოდელში აღნეროლია ორი გარემოება: 1. როდესაც უპი-ები აჭარბებს ექსპორტს ან 2. გამოდევნის ექსპორტს მთლიანად. წილიველ შემთხვევაში სატრანსპორტო ხარჯები აღემატება საწარმოს მუდმივ ხარჯებს, მეორე შემთხვევისას კი მასტუბის ეკონომიკი ფირმის დონეზე გაცილებით მეტია, ვიდრე, საწარმოს დონეზე. უპი-ების განხორციელებისთვის სტიმული წარმოიშობა, როდესაც სატრანსპორტო დანახარჯები გადააჭარბებს მუდმივ ხარჯებს და შემოსავლის ზრდა მეტი იქნება ფირმის დონესთან შედარებით.

**მარკუსენის და ვენებლისის<sup>1</sup> თანახმად, ქვეყნებში,** სადაც არსებობს მასტუბის ეკონომიკა ფირმათა დონეზე, ხელს უწყობს პორიზონტალური ინვესტიციების დაბანდებას. მათ ხაზი გაუსვეს უპი-ების შემდეგ თავისებურებებს: 1. პორიზონტალური უპი-ები ამცირებს სავაჭრო ნაკადებს ქვეყნებს შორის, რამდენადაც ბაზარი გაჯერებულია ადგილობრივი პროდუქციით, იმის ნაცვლად, რომ მოხდეს საქონლის ექსპორტი. 2. პორიზონტალურ უპი-ებს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საქონლის იმპორტზე დანახარჯები აღემატება ინვესტიციებზე დანახარჯებს. პორიზონტალური ინვესტიციების დაბანდებით მცირდება ფირმის ზღვრული ხარჯები, რამაც შეიძლება წაქეზოს სხვა კომპანიები, შეამცირონ თავისი გაყიდვების მოცულობა. ახალი საწარმოს დარსება ავალდებულებს ფირმას, საქონლით უზრუნველყოს ადგილობრივი ბაზრები. აღნიშნული ვალდებულება კი ცვლის ბაზარზე კონკურენტი საწარმოს ქცევის წესს. ქვეყნებს შორის რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები ამცირებს შიდა რეგიონულ პორიზონტალურ უპი-ებს, რამდენადაც რეგიონის ფარგლებში სხვა ქვეყნების მომსახურება ვაჭრობით შედარებით იაფია, ვიდრე, საზღვარგარეთ ფილიალების დარსება და ხარჯების გაღება. პორიზონტალური უპი-ები ძირითადად ორიენტირებულია გავიდეს საგარეო ბაზრებზე, მაშინ, როდესაც ვერტიკალური უპი-ები ემსახურება ადგილობრივ ბაზრებს და საფუძვლად უდებს განსხვავება ქვეყნებს შორის წარმოების ფაქტორთა მოცულობაში. მცირე სავაჭროდანახარჯები სტიმულს აძლევს ვერტიკალურ უპი-ებს და, პირიქით, აბრკოლებს პორიზონტალურს, რადგანაც მათი შემცირება ნაკლებად აისახება ვერტიკალური უპი-ების წარმოების ფაქტორთა ფასებში. **სავაჭრო დანახარჯების შემცირებისას წარმოება გადაადგილდება მდიდარი ქვეყნიდან, მაგალითად, აშშ-დან, ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა:** ჩინეთი და მექინიკა, სადაც სამუშაო ძალა შედარებით იაფია, მაგრამ ნაკლებად მწარმოებლური კულტურების უმრავლესობაში ხაზგასმულია პორიზონტალური უპი-ების უპირატესობებზე ვერტიკალურთან შედარებით. მაგალითად, **ჯ. ნეარიმ<sup>2</sup>** 2007 წელს დაასაბუთა, რომ პორიზონტალური უპი-ები, რომელიც ხორციელდება სავაჭრო ბლოკებს შორის, ხელს უწყობს ვაჭრობის ლიბერალიზაციას. უცხოური კომპანი-

ები ცდილობენ, დააპანდონ ინვესტიციები სავაჭრო ბლოკის წევრ ქვეყნებში, მაგალითად, ამერიკული ფირმები ცდილობენ, ანარმონ საქონელი ირლანდიაში, რომ შემდგომ პროდუქცია გაიტანონ მთელ ევროპაში. ან გერმანული ფირმები განათავსებენ საწარმოებს კანადაში, რომ განახორციელონ საქონლის ექსპორტი ჩრ. ამერიკის ქვეყნებში.

პორიზონტალური უპი-ები მიზნად ისახავს, განახორციელოს საქონლის ექსპორტი, ვიდრე, პროდუქციით უზრუნველყოს ადგილობრივი ბაზრები. ბოლოპერიოდში უპი-ები სულ უფრო დიდი მოცულობით მიემართება მესამე სამყაროს ქვეყნებში, სავაჭრო ბარიერების შემცირება სავაჭრო ბლოკის წევრ ქვეყნებს შორის ხელს უწყობს აღნიშნულ ტენდენციას იმის გათვალისწინებით, რომ ინვესტიციათა მასპინძელი ქვეყნის შიდა ბაზრები არ ცუა ისე დიდია, პროდუქციის ძირითადი ნაწილი ამ შემთხვევაში ექსპორტირებული იქნება სავაჭრო ბლოკის წევრ სხვა ქვეყნებში. **მ. მოტტა და ჯ. ნორმანი**<sup>3</sup> მიზნევენ, რომ უპი-ების დაბანდება ბლოკის წევრ ქვეყნებში მიმზიდველია უცხოური ფირმებისთვის, რამდენადაც ისინი აღნიშნული მეთოდით შედარებით მეტ ბაზრებზე გადიან და საზღვარგარეთ დიდი მოცულობით საქონლის ექსპორტი გააქვთ, ნაცვლად იმისა, რომ დამოკიდებული იყვენენ მიმღები ქვეყნის მცირე შიდა ბაზრებზე. მათ ექმნებათ ასევე შესაძლებლობა, განახორციელონ ექსპორტი მთელ რეგიონში, რამდენადაც სავაჭრო ბლოკები ძირითადად იქმნება რეგიონულ დონეზე, რათა თავი აარიდონ ხელოვნურ სავაჭრო (მაგ., ტარიფები) და ბუნებრივ ბარიერებს (მაგ., სატრანსპორტო დანახარჯები). შეთანხმებები რეგიონულ ინტეგრაციაზე, როგორც უპი-ების ადგილმდებარების განმასზღვრული ფაქტორის განვითარებადი ქვეყნებისათვის, მნიშვნელოვანი განხილვის საგანია. ამასთან, რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებები სხვადასხვაგვარად ახდენს ზეგავლენას ინვესტიციათა დაბანდების ადგილმდებარეობაზე. მაგალითად, ფირმები საზღვარგარეთ ინვესტიციას იმისათვის ახორციელებენ, რომ მათი ფილიალების გაყიდვებით მოემსახურონ დაცულ ბაზრებს. რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებები დაჯგუფების წევრ ქვეყნებს შორის ბაზარს ნაკლებად დაცულს ხდის და, შესაბამისად, ასუსტებს ფირმების მოტივს, განახორციელონ ინვესტირება. ალტერნაციულად, უცხოური ფირმების მიზანი კაპიტალდაბანდებების განხორციელების დროს, სხვადასხვა ქვეყნების შეფარდებით უპირატესობებით სარგებლობაა პროდუქციის წარმოების სხვადასხვა სტადიაზე. წარმოების გარკვეული სტადიის შემდეგ, პროდუქცია კვეთს ეროვნულ საზღვარს და ეჯახება სატარიფო ხარჯებს. რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებები ამცირებს აღნიშნულ ხარჯებს და ასტიმულირებს უცხოური ფირმების მოტივს, განახორციელონ კაპიტალდაბანდებადაჯგუფების წევრ ქვეყნებში. ეკონომიკურ ლიტერატურაში ინტეგრაციულ გაერთიანებებს შემდეგ სამ ძირითად ჯგუფად ყოფენ.

**1. ჩრდილოეთ – ჩრდილოეთი ინტეგრაცია, გულისხმობს მაღალგანვითარებული ქვეყნების ინტეგრაციულ გაერთიანებას, რომლებიც ხასიათდებიან უხვირესულებით, კაპიტალითადაც კუალიფიციური მუშახლით;**

**4 International Economic Review, vol. 37 (4), pp. 757-783.**

**1** Markusen, James R., Venebles, Antonely J., : "multinational firms and New Trade Theory," vol. 46. pp.183-203, 1998

**2** Markusen, James R., Venebles, Antonely J., : "multinational firms and New Trade Theory," vol. 46. pp.183-203, 1998

**3** Motta, M., and G. Norman (1996) 'Does economic integration cause foreign direct investment?'



**1.2. სამხრეთ-სამხრეთი ინტეგრაცია, მოიცავს ჭარბი სამუშაო ძალის მქონე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს შორის ინტეგრაციას;**

**1.3. ჩრდილოეთ-სამხრეთი ინტეგრაცია, განსხვავებული განვითარების დონის და წარმოების ფაქტორების მქონე ქვეყნების გაერთიანება.**

თითოეულ შემთხვევაში რეგიონული ინტეგრაციის ზეგავლენა უპი-ებზე განსხვავებულია. მაგალითად, **ჯ. დანინიგი**<sup>1</sup> მიიჩნევს, რომ 1985 წელს ევროპის მიერ შიდა ბაზრის შექმნის პროგრამამ პიძგი მისცა, როგორც ეპროკავშირის შიდარეგიონულ, ასევე უპი-ების მოზიდვას გარე რეგიონებიდან. კუპიტალის შემოწინება, ძირითადად, მეცნიერებატევად დარგებში გაიზარდა, ამასთან, უპი-ები გახდა რეგიონში ვაჭრობის შემასტებელი ფაქტორი. სამხრეთ-სამხრეთი ინტეგრაციის გაერთიანების შემთხვევაში, **ჩიდნოვსკი და ლოპესი** თვლიან, რომ უპი-ების ზრდა “MERCOSUR”-ში მნიშვნელოვან დონეზე განპირობებული იყო რეგიონის ფარგლებს გარედან მოზიდული იჩვესტიციებით და განხორციელდა ძირითადად “შერწყმისა და შთანთქმის” გარიგებებით, რომელმაც ჩანაცვლა შიდა ინვესტიციები. ამასთან, იგი მიმართული იყო რეგიონის შიდა ბაზრების მომარაგებაზე. ინტეგრაციის შესახებ შეთანხმება ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, რომლის ნათელი მაგალითია “NAFTA”, მექსიკაში უპი-ების ზრდის მასტიმულირებელი ფაქტორი გახდა. კანადასა და ამერიკას შორის დადებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ჩრდილოეთ-ჩრდილოეთი ინტეგრაციის მაგალითია, რომელმაც ორივე ქვეყნის თვის შეამცირა შიდარეგიონული უპი-ების მნიშვნელობა, მაგრამ გაზარდა ინვესტიციები გარე რეგიონებიდან, კერძოდ, კანადაში.

სანარმოო დონეზე ვაჭრობის არასატარიფო ბარიერები ზემოქმედებს რეგიონში კაპიტალის შემოდინებაზე, მაგალითად, ევროკავშირის მიერ კვოტების შემოღებამ და ანტიდემპინგურმა ლონისძიებებმა სტიმული მისცა იაპონურ ტეკ-ებს, დაეწყოთ საქმიანობა ევროკავშირის ქვეყნებში. რ. ბარელისა და ნ. ფეინის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აღმოაჩინა, რომ 1980-1991 წწ. შირომის დანახარჯებისა და ბაზრის კონტროლის შემდეგ,

1 Dunning J.H, "Multinational Enterprises and the Global Economy, Oxford, UK, Oxford University press, 1993

ევროკავშირის მიერ გატარებული ანტიდემპინგური ღონისძიებები გახდა იაპონურ ინვესტიციათა ზრდის მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ფაქტორი ევროკავშირის ფარგლებში. გარდა ამისა, არსებობს სხვადასხვა არხები, რომელთა მეშვეობითაც რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები ზეგავლენას ახდენს უპი-ათა ნაკადებზე, თუმცა მათი კლასიფიკაცია ზოგიერთ ასპექტში არცთუ ისე მარტივია. მაგალითად, სხვადასხვა რეგიონულ დაჯგუფებებს, როგორიცაა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფო ასოციაცია (ASEAN) და სამხრეთამერიკული საერთო ბაზარი (MERCOSUR), გააჩნიათ თანამშრომლობის სქემა, რომელთა მიზანია, დააარსონ რეგიონული სანარმოები და ხელი შეუწყონ ერთობლივ სანარმოებს. ამ სფეროში მონინავე პოზიციებით გამოირჩევა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ასოციაცია (ASEAN), რომლის ინდუსტრიული თანამშრომლობის სქემა ხელს უწყობს სამრენველო სანარმოთა საქმიანობას. მაგალითად, 100—ზე მეტი ფირმა შეირჩა ასოციაციის ფარგლებში, რომლებიც სარგებლობენ საგადასახადო და სატარიფო შეღავათებით. ამასთან, არსებობს ინვესტიციათა მოზიდვის ხელშემწყობი სააგენტოები, რომლებიც აუცილებელი ინფორმაციით უზრუნველყოფს უცხოელინვესტორებს. რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების უპი-ებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა დინამიური პროცესია კონკურენციასთან დამოკიდებულებაში, ქმნის უფრო ეფექტურ მრეწველობას და ხელსუნიკობებს ეკონომიკურ ზრდას, რაც შესაბამისად დადგებითად აისახება უპი-ათა ნაკადებზე.

## რეისტინა ჯდანჯლავა ბიზნესის აღმინისტრირების დოქტორი

### RESUME

The analysis has focused on the impact of Regional Integration on FDI in developing countries. The main conclusion of the study is that membership of a region can lead to further extra regional FDI inflows. Moreover, the findings suggest that the most positive impact on FDI has occurred when in the member countries exist liberal trade agreements, In addition regional integration increase FDI as gives possibility to TNCs, that are main investors, produce and export products in extra markets

# პირადი დაზღვევის სახეობი საქართველოში

დაზღვევის სახეებს შორის, რომელიც მკვიდრდებიან საქართველოში, განსაკუთრებულობით პირადი დაზღვევა გამოირჩევა. მის მიმართ ინტერესი და განსაკუთრებულობა, პირველყოვლისა, განპირობებულია სოციალური ფუნქციით, რომელსაც ის ასრულებს. ამიტომ ბუნებრივია, დაზღვევის ამ სახის განვითარება პრიორიტეტულია სხვა ქვეყნებში და მით უმეტეს, მნიშვნელოვანია საქართველოს სოციალური ფუნქციის მიმართ დაზღვევის განვითარების მასშტაბში მკვეთრი აღმასვლით არ ხასიათდება, არის ზოგადად დაზღვევის, მათ შორის, პირადი დაზღვევის არსის და რაობის შესახებ პერსპექტიული კონტიგუნტის (აუდიტორიის) ინფორმირებულობის ჯერ კიდევ არასასურველი სტარტი.



თენიზ მეზურნიშვილი  
საქართველოს პოლიტექნიკური  
უნივერსიტეტის დოქტორანტი

ზოგადი განმარტებით, დაზღვევის სახეს, რომელიც დაკავშირებულია დაზღვეულის სიცოცხლესთან, მის ჯანმრთელობასთან, შრომისუნარიანობასთან, საპენსიო უზრუნველყოფასთან და სხვა პირადი ინტერესებთან, პირადი დაზღვევა ეწოდება.

განმარტებიდანაც ჩანს და ფაქტობრივი მნიშვნელობითაც, პირად დაზღვევას მიეკუთვნება: **სიცოცხლის დაზღვევა, უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა, სამედიცინო დაზღვევა, საპენსიო დაზღვევა** (აუდიტორული მას არსიდან გამომდინარე უნივერსიტეტი - დამატებითი შემოსავლის დაზღვევა).

შემთხვევითი არ არის, რომ დაზღვევის სახეობათა ერთობლიობა ტრადიციულად ორ დიდ ჯგუფად იყოფა: **სიცოცხლის დაზღვევა და დაზღვევის დანარჩენი სახეობები** (არასიცოცხლის დაზღვევა). ამგვარი დაყოფა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ სიცოცხლის დაზღვევის სახეობებს მართლაც მრავალი გამართოთ ანებელი მახასიათებელი ნიშანი გააჩინათ. ამ ნიშანთაგან უმთავრესია, რომ რისკი აქ ძირითადად ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის განუსაზღვრელობითაა განპირობებული. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ არასიცოცხლის დაზღვევის სახეობებისგან განსხვავებით, სიცოცხლის

დაზღვევა, როგორც წესი, გრძელვა-დიანია.

გრძელვადიანი ბიზნესის, მათ შორის სიცოცხლის დაზღვევის სწორი ფინანსური დაგეგმარება მეცნიერული კელევისთვის აქტუალურ თემას ნარმოადგენს.

სავსებით კანონზომიერია, რომ სიცოცხლის დაზღვევის ბიზნესი დასაწყისში მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვს, რომელთა ანაზღაურება და მოგების მიღება მხოლოდ წლების შემდეგ ხდება. აქედან გამომდინარე, აქციონერებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა სიდიდის კაპიტალის დაპანდებაა საჭირო, როგორი იქნება ფულადი ნაკადები მომდევნო წლების განმავლობაში, როდის მოხდება მოგებაზე გასვლა და როგორი იქნება ეს მოგება. ამასთან ერთად, მარკეტინგული მოსაზრებებიდან გამომდინარე, სასურველია, რომ აქციონერებს მოვლენათა განვითარების რამდენიმე ვარიანტის განხილვის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

ცხობილია სიცოცხლის დაზღვევის კლასიკური ფორმები და შესაბამისი შემდეგი აქტუარული მოდელები: **ვადიანი (რისკობრივი)** სიცოცხლის დაზღვევა – Term Life (მათ შორის, ცვალებად სადაზღვევო თანხიანი, მაგალითად, საკრედიტო სიცოცხლის დაზღვევა), დაზღვევა

ასაკის მიღწევამდე – Pure Endowment დაშერეული სიცოცხლის დაზღვევა – Endowment. ეს კლასიკური მოდელები, როგორც წესი, ითვალისწინებენ ბიზნესის ერთჯერადად, ან განვადებული მუდმივი საპრემიო შენატანებით დაფინანსებას. ასეთ შემთხვევაში, შედარებით მარტივია მოცემული პრემიის შესაბამისი საშუალო ჯამური მოგების გამოთვლა ბიზნესის დასრულების მომენტისთვის და პირიქით, სასურველი საშუალო ჯამური მოგების მისაღწევად - საჭირო პრემიის განსაზღვრო.

ისევე, როგორც სიცოცხლის დაზღვევა, პირადი დაზღვევის ერთერთი გაფრცელებული, მოთხოვნადი სახეობაა უბედური შემთხვევის დაზღვევა, რომლის ძირითადი მიზანია სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა უბედური შემთხვევის შედეგად დაზღვეულის ჯამრთელობაზე მიყენებული ზარალის, ან გარდაცვალების დროს. უბედურ შემთხვევად განიხილება არაპროგნოზირებადი (უცარი) მოვლენა, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობაზე დაროებით, ან მუდმივ უარყოფით ზეგავლენას ახდენს, ვითარდება ინვალიდობა, ან სრულდება ფატალური შედეგით. დაზღვევის ამ სახისთვისაც დაფიქსირებულია სადაზღვევო თანხა, რომელიც სრულად (ფრანშიზის გათვალისწინების გარეშე) გაიცემა

მოსარგებლებები დაზღვეულის გარდაცვალების გამო. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ასეთ დროს თანხა გაიცემა სადაზღვევო პერიოდის განმავლობაშივე მომხდარი უბედური შემთხვევის (გარდაცვალების) გამო. ამასთან, პოლისში ტიპურად მითითებულია, რომ სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაზღვეული გარდაცვლება სადაზღვევო პერიოდის დასრულების შემდეგ (როგორც წესი, ორი წლის განმავლობაში), თუ დამტკიცდა, რომ ეს გარდაცვალება იყო სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მომხდარი უბედური შემთხვევის პირდაპირი შედეგი.

ამგვარად, უბედური შემთხვევის დაზღვევით ძირითადად იფარება დაზღვეულის გარდაცვალება, რომელიც გამოწვეულია გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი მოვლენით.

გარდა ძირითადი დაფარვისა, უბედური შემთხვევის დაზღვევა ითვალისწინებს დამატებით დაფარვებსაც, რომელთა შორის ყველაზე მარტივია (გავრცელებულია) სხეულის ნაწილების და კარგით გამოწვეული ზიანისა ანაზღაურების გამოთვლა ე.ნ. კონტინენტალური სკალის მეშვეობით. აღნიშნული სკალის გამოწვენებით ხდება სადაზღვევო ანაზღაურების იდენტური დადგენა სხეულის სხვადასხვა ნაწილის ფიზიკური თუ ფუნქციონალური დაკარგვის გამო. ამ სკალაში სხეულის სხვადასხვა ნაწილისათვის განსაზღვრულია პროცენტი სადაზღვევო თანხიდან (ძირითადი ლიმიტიდან), რაც იმას ნიშნავს, რომ უბედური შემთხვევის გამო კონკრეტული სხეულის ნაწილის დაკარგვის დროს გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლისთვის საკმარისია შესაბამისი პროცენტის მისადაგება, თუმცა ამ ოპერაციაზე უპრინანი უფრო საფუძვლიანი ნარმოდგენის შექმნა.

მართალია, სხეულის ნაწილების დაკარგვის დაფარვა არსებულ დაფარვებს შორის ყველაზე მარტივია, მაგრამ, შეიძლება ითქვას, ის „უხეშია“. გაცილებით უფრო მოქნილი და ფართო დაფარვა ეფუძნება ე.ნ. შრომისუუნარობის ტიპი, დონე (ხარისხი) დაგინდება ექსპერტული მეთოდების

გამოყენებით და ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის საფუძველზე. პროცენტები, რომლებიც მოყვანილია კონტინენტალურ სკალაში, დაგინდება სტატისტიკური დაკვირვებების საფუძველზე. კერძოდ, ამ დაკვირვებების გამოყენებით ხდება იმის ალბათობის შეფასება, რომადამიანის სხეულის კონკრეტული ნაწილის დაკარგვა გამოიწვევს ამა თუ იმ ტიპისა თუ დონის შრომისუუნარობას. რაც უფრო მაღალია ალბათობა იმისა, რომ სხეულის ნაწილის დაკარგვა გამოიწვევს მუდმივი/სრულ შრომისუუნარობას, მით უფრო მაღალია შესაბამისი პროცენტი კონტინენტალურ სკალაში. ასხვავებენ დროებით და მუდმივ, ნაწილობრივ და სრულ შრომისუუნარობას. ასევე, შრომისუუნარობას მხოლოდ საკუთარ პროფესიასთან მიმართებით და ზოგად შრომისუუნარობას. ამ ტერმინების შინაარსი ისედაც გასაგებია, მაგრამ მაინც არ იქნება ზედმეტი დაგვარი რომ შესაძლებელია აღნიშნული შრომისუუნარობების ყველანაირი კომბინაცია. მათ შორის, შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

- ჰიანისტმა უბედური შემთხვევის შედეგად დაიზიანა თითო (იღრძო, სერიოზულად გაიჭრა ან მოიტეხა). ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს საკუთარი პროფესიის მიმართ დროებით სრულ შრომისუუნარობასთან;
- უბედური შემთხვევის შედეგად პირვენებას სერიოზულად დაუზიანდა ხერხემალი და ცენტრალური ნერვული სისტემა. იგიჩართნილია ლოგინად და, ექიმების აზრით, მისი სხეულის ნაწილების ფუნქციის ოდესმე აღდგენა ნაკლებად სავარაუდოა. ასეთ შემთხვევაში, სახეზეა მუდმივი, სრული, ზოგად შრომისუუნარობა;
- უბედური შემთხვევის შედეგად ეირუგმა სამუდამოდ დაიზიანა ხელი და მას აეკრძალა ოპერაციების ჩატარება. თუ მას შეუძლია დარჩეს მედიცინაში და პროფესიული გადამზადება გაიაროს, მაშინ ადგილი აქვს მუდმივ ნაწილობრივ შრომისუუნარობას. როგორც წესი, ასეთ დროს ხდება უფრო დაბალანაზღაურებად თანამდებობაზე გადასვლა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დაგინდება ექსპერტული მეთოდების

ბაშიც სწორედ რომ შემოსავლების იმ განსხვავებას ითვალისწინებენ, რაც ამ შემთხვევამ გამოინვია.

შრომისუუნარობის დადგომის შემთხვევაში, როგორც წესი, სადაზღვევო ანაზღაურებას პერიოდული გადახდების ფორმა აქვს. გადახდების ხანგრძლივობა რეგულირდება დაზღვევის პირობებითა და არსებული კანონმდებლობით.

პრაქტიკაში შესაძლებელია შემდეგი კომბინაციაც: ვთქვათ, დაზღვეული დაფარვები იყო, როგორც სიცოცხლის, ასევე უბედური შემთხვევის დაზღვევით და გარდაიცვალა უბედური შემთხვევის შედეგად. ასეთ დროს ერთდროულად ამოქმედდება, როგორც სიცოცხლის, ასევე უბედური შემთხვევის დაზღვევის პოლისებიდასადაცვევო ანაზღაურება გაიცემა როგორც ერთი, ასევე, მეორე პოლისის პირობების შესაბამისად. უფრო მეტიც, ხშირად სიცოცხლის დაზღვევის პოლისში (იმ დროს, როდესაც უბედური შემთხვევის დაზღვევა არარის შექნილი) გათვალისწინებულია გაორმაგებული (ან გასამაგებულიც კი) სადაზღვევო თანხის გაცემა იმ შემთხვევაში, როდესაც დაზღვეული გარდაიცვლება საკუთრივ უბედური შემთხვევის გამო. ეს იმითა გამართლებული, რომ ამგვარი მოულოდნელი, უცარი ტრაგიკული მოვლენა გაცილებით უფრო მძიმე პირობებში აყენებს დაზღვეულის ახლობლებს, ვიდრე მაგალითად, ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში.

ზემოაღნიშნული სახეობების გარდა, პირვენული რისკების მატარებელი ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა სამოგზაურო დაზღვევა. სამოგზაურო დაზღვევა ასევე მიეკუთვნება პერსონალური დაზღვევის სახეობათა ჯგუფს. ამ დაზღვევით იფარებას რისკები, რომელიც დამასაიათებელია მოგზაურობისათვის.

განვითარებად ბაზრებზე სამოგზაურო პოლისებმი, როგორც წესი, აქცენტი კეთდება საზღვარგარეთ მოგზაურობაზე. ძირითად დაფარვას წარმოადგენს გადაუდებელი სამედიცინო ხარჯები, რომელიც გამოწვეულია საზღვარგარეთ მომხდარი უბედური შემთხვევით ან ჯანმრთელობის მდგომარეობის

## ესცნერება

უფარი, მკვეთრი გაუარესებით. სხვადასხვა სადაზღვევო კომპანია მომზმარებელს სხვადასხვანაირ მომსახურებას სთავაზობს, თუმცა შესაძლებელია როგორც პირდაპირი ანგარიშსწორება საზღვარგარეთ არსებულ პროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებასთან, ასევე, ე.წ. ქვითრების ანაზღაურება. მნიშვნელოვანი პირობა იმაში მდგომარეობს, რომ დაზღვეული, მისი ახლობელი ან სამკურნალო დაწესებულების წარმომადგენელი ვალდებულია, რაც შეიძლება სწრაფად ჩააყენოს საქმის კურსი მზღვეველი და მიიღოს ამ უკანასკნელისგან დაპირება, რომ ეს კონკრეტული შემთხვევა დაიფარება. რასაკირველია, სადაზღვევო პოლისში მითითებულია ზოგადი ლიმიტი და სხვადასხვა ტიპის ქველიმიტები, რომელთა ფარგლებშიც ხდება სადაზღვევო ანაზღაურება.

ძირითად დაფარვასთან ერთად სამოგზაურო პოლისები ითვალისწინებენ მთელ რიგ დამატებით დაფარვებს. მაგალითად: დაზღვეულის რეპარიიაციას მისი გარდაცვალების შემთხვევაში, თავმდგმურის მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას, ვადამდე ადრედაბრუნებას, ბარგის დაკარგვას, რეისის გადადებასთან დაკავშირებული სასტუმროს ხარჯების ანაზღაურებას და სხვა.

სამოგზაურო დაზღვევის ძირითადი დაფარვა განვითარებად ბაზრებზე, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სამედიცინო დაზღვევა არ მოქმედებს საზღვარგარეთ. განვითარებულ ბაზრებზე, სადაც სამედიცინო დაზღვევა მოქმედებს ყველავან, სამოგზაურო დაზღვევა გამოიყენება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ მოგზაურობისას და მასში ძირითადი აქცენტი კეთდება არა სამედიცინო ხარჯებზე, არამედ, დაზღვეულის ტრანსპორტირებაზე უბედური შემთხვევის გამო, სხვა საჭირო გადაუდებელ ღონისძიებებზე, ბარგის დაკარგვაზე და სხვა. სამოგზაურო დაზღვევა მიეკუთვნება ე.წ. მასობრივ დაბალრისკიან პროდუქტებს. ანდერაიტინგული პროცედურა არის უკიდურესად გამარტივებული და პროდუქტის გაყიდვა დიდწილად ხდება სამოგზაურო სააგენტოების და სხვა მსგავსი ორგანიზაციების

მეშვეობით. როგორც წესი, დაზღვევა ძალზედ მოკლევადიანი (მაქს. 3 თვე), თუმცა ბოლო დროს ბაზარზე გაჩნდა ახალი პროდუქტი, რომელიც მოქმედებს მრავალჯერადი ვიზტბის პრინციპით: მასში მითითებულია გარკვეული გრძელი პერიოდი (მაგ.: 1 წელი) და მეორე პერიოდი (მაგ.: 3 თვე). დაფარვა მოქმედებს ჯამურად სწორედ სამი თვის განმავლობაში, ოღონდ ეს სამი თვე შეიძლება დაგროვდეს რამდენიმეს სხვადასხვა ხანგრძლივობის მოგზაურობის შედეგად. „დიდი პერიოდის“ დასრულების შემდეგ დაზღვევა აღარ მოქმედებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ „მოკლე პერიოდი“ არ არის მთლიანად გამოყენებული.

პირად დაზღვევის სახეებს შორის საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული და მთავარი პროდუქტია ჯანმრთელობის დაზღვევა. მას ხშირად სამედიცინო დაზღვევას ან ავადმყოფობისგან დაზღ-

ვევის სახელითაც მოიხსენიებენ. ყველაზე მეტად დაზღვევის სოციალური ფუნქცია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ვლინდება. ჯანმრთელობისადაზღვევა გულისხმობს სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული დაზიანების დროს სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად წარმოშობილი სამედიცინო ხარჯების ანაზღაურებას და პროფილაქტიკური ღონისძიებების დაფინანსებას.

ქართულ ბაზარზე დღეს გავრცელებულია ჯანმრთელობის დაზღვევის ბევრი ფორმა, რომელთაც თავიანთი სპეციფიკა აქვთ და ეს ძირითად დამოკიდებულია იმ სტრატეგიაზე, რომელსაც ესა თუ ის სადაზღვევო კომპანია ირჩევს. განსაკუთრებით პოპულარულობით სარგებლობს საყოველთაო დაზღვევა, რომელიც ჯანმრთელობის საპაზისო პაკეტს მოიცავს და სახელმწიფო რეგულირების ქვეშ იმყოფება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- თ. ვერულავა, ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა, თბ 2009;
- შათირიშვილი ჯ., კაკაშვილინ., „სადაზღვევო საქმე“ თბ., 2012;
- საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“, თბ., 1997;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N165, 2011;
- [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge);
- [www.mof.gov.ge](http://www.mof.gov.ge);
- [www.heconomic.wodrpress.com](http://www.heconomic.wodrpress.com);

### PERSONAL INSURANCE TYPES IN GEORGIA REZUME

**T. Mezurnishvili**

All types of insurance are normally classified in two large groups: life insurance and other types of insurance (non-life insurance). The reason for such classification is that life insurance types have several traits which make them particularly distinct from other types of insurance. The most important characteristic is that in case of life insurance the risk mainly stems from the difficulty to predict length of a person's life. Compared to non-life insurance, life insurance contracts are mainly long-term.

Personal accident insurance, as well as life insurance, is a type of personal insurance. There is a fixed insurance amount that is paid in full (without franchise) to the beneficiary in case of death of the insured.

*Personal accident is an unexpected and sudden event, which was caused by obvious external forces and which resulted in a death, body injury, or disability of the insured.*

Travel insurance also belongs to personal insurance.

As for the most important product – health insurance – many of its types are available on Georgian market; each of these types has its own distinctive characteristics which mainly depend on the strategy chosen by the insurance company. Universal insurance is particularly popular today; it covers basic healthcare package and is state-regulated.

## ტურისტული საწარმო და მისი ფუნქციონირების ნორმატიული რეგულირება, როგორც ტურიზმის განვითარების მიზანების წინაპირობა

ტურიზმის განვითარება და მისი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა დღითი დღე იზრდება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ტურისტულ საწარმოთა არსებობა და მით უმეტეს, მათი ფუნქციონირების ნორმატიულ ჩარჩოებში მოქცევა. ტურიზმი დარგთაშორისი კომპლექსია და მას ბიზნესის თავისებურებები ახასიათებს. ტურიზმს დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისა და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.



**ნარგიზ ფალავაძეიშვილი  
ბიზნესის მართვის დოქტორი**

ჩვენს ქვეყანაში ტურისტული ბაზრის გაფართოებისა და განვითარებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაძლიერებას. კერძოდ, საქართველოს ტურიზმის სფეროში და მის თანმდევ დარგებში არსებული საკანომდებლო ბაზის სრულყოფას ევროპულთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციის თვალსაზრისით. ასევე, ტურიზმსა და საკურორტო მეურნებაში უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოსაზიდად მიმზიდველი და ხელსაყრელი საგადასახადო ბაზის შექმნას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მინიმალური საკანონმდებლო ნორმატიული ბაზა არსებობს, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- „მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ტურიზმის ქარტისა და ტურისტის კოდექსის აღიარების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილება №406 27/01/1994;

- „საქართველოში ტურისტული და საკურორტო საქმიანობის ნებაყოფლობითი ლიცენზირების დებულების დამტკიცების შესახებ“ აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანება და ეროვნული კომისიის დადგენილება №2-ს 28/01/1999;

- თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონი №3754-II ს 26/10/2010;

- თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №340 03/11/2010;

- ქობულეთის, ანაკლიის, განმუხურისა და საქართველოს სხვა ტერიტორიებზე არსებული თავისუფალი ტურისტული ზონების კოორდინატების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №309 27/07/2012;

- „პირისათვის ტურისტული საწარმოს სტატუსის მინიჭების, ფუნქციონირებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის №413 03/10/2012 დადგენილება;

ცხადია, ამ აქტებს გააჩნიათ მარეგულირებელი დატვირთვა, თუმცა პირველ რიგში, საინტერესოა ის ნორმატიული აქტები, რომლებიც იძლევა ტურისტული

ზონის მეწარმე სუბიექტის, ტურისტული საწარმოს და ა.შ. განმარტებებს:

ტურისტული საწარმოს განმარტება მოცემულია საქართველოს მთავრობის 2012 წლის 3 ოქტომბრის №413 დადგენილებაში „პირისათვის ტურისტული საწარმოს სტატუსის მინიჭების, ფუნქციონირებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმად, „ტურისტული საწარმო არის იურიდიული პირი, რომელიც შენებს სასტუმროს, ახორციელებს სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის სხვა პირისათვის მიწოდებას მათი იჯარით უკან მიღების მიზნით“. ამ მუხლის შესაბამისად, მან უნდა უზრუნველყოს შენობის, როგორც სასტუმროს, ფუნქციონირება და უნდა დააკმაყოფილოს ტურისტული საწარმოსათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

აღსანიშნავია ის, რომ ამ მუხლის თანახმად, იჯარად ითვლება ტურისტული საწარმოსგან სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის შეძენა და ამავე საწარმოსთვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ფასიან სარგებლობაში გადაცემა გამოსყიდვის უფლებით, ან უამისოდ;

ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტი განმარტებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსში, კერძოდ, 37-ე მუხლის თანახმად, ეს არის პირი, ან მეწარმე იურიდიული პირი, ასევე მეწარმე ფიზიკური პირიც და აქ მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მათ საკუთრებას უნდა წარმოადგენდეს თავისუფალ ტურისტულ ზონაში (მაგ ქობულეთის, ანაკლიის, განმუხურისა და საქართველოს სხვა ტერიტორიებზე არსებული თავისუფალი ტურისტული ზონების კოორდინატების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №413 03/10/2012 დადგენილება);

ცხადია, ამ აქტებს გააჩნიათ მარეგულირებელი დატვირთვა, თუმცა პირველ რიგში, საინტერესოა ის ნორ-

## ესცნერება

ირების საკითხებს, სტატუსს, შემოსავლების სამსახური აწესრიგებს. ტურისტული საწარმოს სტატუსს ის კონკრეტული ობიექტის (სასტუმროს) მიხედვით ანიჭებს. შემოსავლების სამსახურს უფლება აქვს ტურისტული საწარმოსგან მოითხოვოს ისეთი უზრუნველყოფის საშუალებების წარდგენა, რომელთა ღირებულება არ აღემატება მიწოდებული აქტივების საკომპენსაციო თანხის 18 პროცენტს.

მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს მთავრობის მიერ 2012 წლის 4 ოქტომბერს განისაზღვრა ტურისტული საწარმოს სტატუსის მინიჭების, ფუნქციონირებისა და გაუქმების წესი, რომელიც თავისთავად განსაზღვრავს სტატუსის მინიჭების პირობებს, ფუნქციონირებისა და გაუქმების წესს და შენობის მთლიანი ფართობიდან სასტუმრო ნომრებად გამოსაყენებელი მინიმალური ფართობის ოდენობას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიხედვით. მათ მიმართ სხვა და სხვა მოთხოვნებს ადგენს საქართველოს მთავრობა, ხოლო ტურისტულ საწარმოთა რეესტრს აწარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

აღნიშნულ წესში განმარტებულია, თუ რა ითვლება იჯარად, შენობად, სასტუმრო ნომრად და სასტუმრო აქტივებად. ის საკითხები, რაც ნორმატიული აქტებით რეგულირდება, არ შეიძლება მრავალმხრივი ინტერპრეტაციის მატარებელი იყოს, ამიტომაც ეს წესი ზუსტად განმარტავს თითოეულის მნიშვნელობას, რაც გარკვეულწილად სცემს პასუხს ამ საკითხებთან დაკავშირებულ ყველა შესაძლო კითხვას.

ტურისტული საწარმოს სტატუსის მინიჭება განისაზღვრება კონკრეტული ობიექტის (სასტუმროს) მიხედვით, რომელიც სამშენებლო დოკუმენტის პრეექტით გათვალისწინებულია სასტუმროდ. სასტუმროს ექსპლუატაციაში მიღებამდე მან განცხადებით უნდა მიმართოს შემოსავლების სამსახურს სტატუსს მინიჭების მიზნით. აღნიშნული განცხადება უნდა შეიცავდეს: საფირმო სახელწოდებას, პირის სარეგისტრაციო მონაცემებს (საიდენტიფიკაციო კოდი, დასახელება, მისამართი), საქმიანობის მოკლე აღწერას. ასევე განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მშენებლობის ნებართვა, მიწის საკუთრების/სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და იმ ტერიტორიის საკადასტრო რუკა, სადაც მიმდინარეობს მშენებლობა და სამშენებლო დოკუმენტის პროექტი. შემოსავლების სამსახური 10 სამუშაო დღის ვადაში მიღებას გადაწყვეტილებას პირისათვის ტურისტული საწარმოს სტატუსის მინიჭების, ან მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე. ტურისტული საწარმოს სტატუსის მინიჭებასთან ერთად შემოსავლების სამსახურს შეუძლია მოითხოვოს ისეთი უზრუნველყოფის საშუალებები, როგორიცაა: საბანკო გარანტია, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირების მიერ გაცემული დაზღვევის პოლისი და ქონების გირავნობით/იპოთეკით დატვირთვა, რომლის ღირებულების შეფასება ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრული საწარმოებისთვის აუდიტირებული ფინანსური ახგარიშების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა წუსხიდან ერთ-ერთი პირის მიერ. შემოსავლების სამსახურისთვის ქონების ღირებულების შეფასების შესახებ დასკვნის წარდგენის

ვალდებულება ეკისრება ტურისტულ საწარმოს.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ტურისტული საწარმოს სტატუსის მქონე პირებს, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ვალდებულებები გააჩნიათ, კერძოდ, მათ უნდა უზრუნველყონ, შენობის (სასტუმროს) ექსპლუატაციაში მიღებიდან არა უმეტეს 10 კალენდარული წლის განმავლობაში სასტუმროს ფუნქციონირებისათვის მოწვევული პირების დღგ-ით დასახეგრი დეკლარირებული შემოსავალი ჯამურად (გარდა დღგ-ისაგან გათავისუფლებული ოპერაციებისა) არ იყოს ამავე სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მიწოდების შედეგად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ღ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დღგ-ით დასახეგრ საკომპენსაციით თანხაზე ნაკლები. ამ მუხლის თანახმად კი განსაზღვრულია, რომ „ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია: ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის სხვა პირისათვის მიწოდებიდან 2 წლის განმავლობაში იჯარით უკან მიიღებს ამავე აქტივებს, ოპერაცია ასევე თავისუფლდება ჩათვლის უფლებით და ტურისტულ საწარმოს უფლება აქვს, წარადგინოს მიწოდების შესაბამისი პერიოდის შესწორებული დეკლარაცია“ (12.06.2012. N6446);

„პირისათვის ტურისტული საწარმოს სტატუსის მინიჭების, ფუნქციონირებისა და გაუქმების წესის“ მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, ტურისტული საწარმოს სტატუსის მქონე პირი ასევე ვალდებულია: „ შენობის მთლიანი ფართობის არანაკლებ 30 პროცენტი გამიზნული ჰქონდეს სასტუმრო ნომრად/აპარტამენტად, რომლის არა უმეტეს 20 პროცენტი შესაძლებელია შემძენთა მიერ გამოყენებული იყოს მუდმივ საცხოვრებლად. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა ვრცელდება ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე“.

ტურისტული საწარმოს სტატუსის გაუქმება იმ შემთხვევაში ხდება, როცა საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული საქმიანობის პირობები ირღვევა, ან კიდევ, ტურისტული საწარმოს ინიციატივით, თუ რა თქმა უნდა, მისი შენობის (სასტუმროს) ექსპლუატაციაში მიღებიდან არა უმეტეს 10 კალენდარული წლის განმავლობაში კონკრეტული მიწის მიერ გაცემული დოკუმენტი და მუდმივი საცხოვრებლად. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა ვრცელდება ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე“.

ტურისტული საწარმოს სტატუსის გაუქმება იმ შემთხვევაში ხდება, როცა საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული საქმიანობის პირობები ირღვევა, ან კიდევ, ტურისტული საწარმოს ინიციატივით, თუ რა თქმა უნდა, მისი შენობის (სასტუმროს) ექსპლუატაციაში მიღებიდან არა უმეტეს 10 კალენდარული წლის განმავლობაში კონკრეტული მიწის მიერ გაცემული დოკუმენტი და მუდმივი საცხოვრებლად. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა ვრცელდება ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე“.

ტურისტული საწარმოს სტატუსის გაუქმება იმ შემთხვევაში ხდება, როცა საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული საქმიანობის პირობები ირღვევა, ან კიდევ, ტურისტული საწარმოს ინიციატივით, თუ რა თქმა უნდა, მისი შენობის (სასტუმროს) ექსპლუატაციაში მიღებიდან არა უმეტეს 10 კალენდარული წლის განმავლობაში კონკრეტული მიწის მიერ გაცემული დოკუმენტი და მუდმივი საცხოვრებლად. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა ვრცელდება ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე“.

ტურისტული საწარმოს სტატუსის გაუქმება იმ შემთხვევაში ხდება, როცა საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული საქმიანობის პირობები ირღვევა, ან კიდევ, ტურისტული საწარმოს ინიციატივით, თუ რა თქმა უნდა, მისი შენობის (სასტუმროს) ექსპლუატაციაში მიღებიდან არა უმეტეს 10 კალენდარული წლის განმავლობაში კონკრეტული მიწის მიერ გაცემული დოკუმენტი და მუდმივი საცხოვრებლად. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა ვრცელდება ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე“.

ტურისტული საწარმოს სტატუსის გაუქმება იმ შემთხვევაში ხდება, როცა საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული საქმიანობის პირობები ირღვევა, ან კიდევ, ტურისტული საწარმოს ინიციატივით, თუ რა თქმა უნდა, მისი შენობის (სასტუმროს) ექსპლუატაციაში მიღებიდან არა უმეტეს 10 კალენდარული წლის განმავლობაში კონკრეტული მიწის მიერ გაცემული დოკუმენტი და მუდმივი საცხოვრებლად. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა ვრცელდება ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე“.

ტურისტული საწარმოს სტატუსის გაუქმება იმ შემთხვევაში ხდება, როცა საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული საქმიანობის პირობები ირღვევა, ან კიდევ, ტურისტული საწარმოს ინიციატივით, თუ რა თქმა უნდა, მისი შენობის (სასტუმროს) ექსპლუატაციაში მიღებიდან არა უმეტეს 10 კალენდარული წლის განმავლობაში კონკრეტული მიწის მიერ გაცემული დოკუმენტი და მუდმივი საცხოვრებლად. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა ვრცელდება ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე“.

ლებათავისუფლდება მოგების გადასახადისაგან. ასევე, 2026 წლის 1 იანვრამდე ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის სასტუმრო მომსახურებასთან დაკავშირებული ქონება თავისუფლდება ქონების გადასახადისაგან. კოდექსის გარდამავალი დებულებების მიხედვით ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის მიერ ინვესტიციის ფარგლებში აშენებული სასტუმროს გასხვისების შემთხვევაში ახალ მესაკუთრეზე ასევე ვრცელდება ეს შეღვათი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ახალი მესაკუთრე აღარ უზრუნველყოფს სასტუმროს ფუნქციონირებას. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტი არ უზრუნველყოფს სასტუმროს ფუნქციონირებას, ამ შეღვათის გაუქმების შესახებ (ირიბად) გათვალისწინებულია საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლისმე-18 ნაწილით, რომლის თანახმად, 2026 წლის 1 იანვრამდე ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის მიერ სასტუმრო მომსახურების გაწევით მიღებული მოგება, აგრეთვე, ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის მიერ მიღებული მიწის ნაკვეთის (ნაკვეთების) ღირებულება და გარდამავალი დებულებების მე-17 ნაწილით „დადგნილი შედავათები არ მოქმედებს, თუ ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტი ან ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის მიერ ინვესტიციის ფარგლებში აშენებული სასტუმროს გასხვისების შემთხვევაში ახალი მესაკუთრე აღარ უზრუნველყოფს სასტუმროს ფუნქციონირებას“. ეს ნორმა ძალაშია 2010 წლის 31 დეკემბრიდან.

ასევე, საგადასახადო კოდექსით, დამატებული ღირებულების გადასახადში გათვალისწინებულია შეღვათები, კერძოდ: ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია ტუროპერატორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტულ ობიექტებში უცხოელი ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა და მათთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურების პაკეტის მიწოდება.

ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა არსებითად შეუწყობს

ხელს ტურისტულ საწარმოთა, და შესაბამისად, ტურიზმის განვითარებას საქართველოში, რაც ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი;

2. „მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ტურიზმის ქარტიისა და ტურისტის კოდექსის აღიარების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილება №406 27/01/1994;

3. „საქართველოში ტურისტული და საკურორტო საქმიანობის ნებაყოფლობითი ლიცენზირების დებულების დამტკიცების შესახებ“ აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანება და ეროვნული კომისიის დადგენილება №2-S28/01/1999;

4. თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონი №3754-II ს 26/10/2010;

5. თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №340 03/11/2010;

6. „ქობულეთის, ანაკლიის, განმუხრისა და საქართველოს სხვა ტერიტორიებზე არსებული თავისუფალი ტურისტული ზონების კოორდინატების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №309 27/07/2012;

7. „პირისათვის ტურისტული საწარმოს სტატუსის მინიჭების, ფუნქციონირებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №413 03/10/2012 დადგენილება;

#### ANOTACION

#### TOURISTIC INDUSTRY AND ITS NORMATIVE REGULATION AS A NECESSITY OF TOURISM DEVELOPMENT

**Nargiz Phalavandishvili**  
Doctor of buziness management

Tourism Development and it's social and economic importance is growing every day, therefore Touristic company existence is important as well as its activity framings under the legislative norms.

For touristic market growth and development it's necessary to strengthen the State's regulating functions, mainly the legislative system developments to make it closer to the European ones as well as creating effective Tax legislation to attract foreign and local investments.

The article concerns the abovementioned issues. It gives the main legislative acts regulating the touristic company activities nowadays. The article is about existing tax exemptions also according to the current Tax Code, which is important for tourism development and investment attractions.